ბიულეტენი

№ 67
2002
აპრილი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ISSN 1512-0813

- 2001 წლის განმავლობაში საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში და მეზობელ ქვეყნებში არსებული ვითარების მიმოხილვა
- კრიზისი. მისი მართვა და გადაწყვეტა (ნატო-ს ქვეყნების გამოცდილება)
- მსოფლიო პოლიტიკის ცივილიზაციური ასპექტების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 03 - 00411

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ზვიად ჩხაიძე
2001 წლის განმავლობაში საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში და მეზობელ ქვეყნებში არსებული ვითარების მიმოხილვა ---------- 2

მამუკა ნებიერიძე
კრიზისი, მისი მართვა და გადაწყვეტა (ნატო-ს ქვეყნების გამოცდილება) ---------- 53

ნუგზარ დურმიშიძე
ირაკლი ტორონჯაძე
მსოფლიო პოლიტიკის ცივილიზაციური ასპექტების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა ---------- 64

C03 - 00411

2001 წლის განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია 11 სექტემბერს აშშ-ში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა, რის შედეგადაც მსოფლიო ორ, ქრისტიანულ და მუსლიმანურ, ბანაკად დაყოფის საფრთხის წინაშე დადგა.

აშშ-ს მიერ საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანიის დაწყებამ და ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ძალთა გადანაწილების ახალი პროცესის დაწყებას, რომელშიც მომგებიანი პოზიციები დაიკავეს აშშ-მა და დასავლეთის ქვეყნებმა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ანტიტერორისტულ კამპანიაში აშშ-ს მხარდაჭერის სურვილი მისი სტარტეგიული პარტნიორების და ნატოს წევრი ქვეყნების გარდა გამოხატეს ისეთმა ქვეყნებმაც (პაკისტანი, საუდის არაბეთი, შუა აზიის რესპუბლიკები), რომლებიც ბოლო პერიოდამდე აშშ-ის და, ზოგადად, დასავლური ორიენტაციის საწინააღმდეგო პოლიტიკას ახორციელებდნენ, ან რუსეთის გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეული.

აღნიშნული კუთხით საყურადღებოა პაკისტანის და შუა აზიის რიგი რესპუბლიკების ხელისუფლების (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი) პოზიცია, რომელთაც დაუთმეს საკუთარი სამხედრო ბაზები აშშ-ს ავღანეთში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კავკასიის რეგიონში და მის მეზობელ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებზე კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ინარჩუნებს რუსეთი, რომლის სტრატეგიული ინტერესების ძირითადი მიმართულებები უცვლელი რჩება. ამასთანავე, რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის დასავლეთისაკენ გარკვეული შემობრუნება იწვევს რუსეთის ე.წ. ევრო-აზიური განვითარების მომხრეთა და რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი გენერალიტეტის უმრავლესობის უარყოფით ემოციებს.

საყურადღებოა, რომ სტრატეგიული ღერძი რუსეთი-სომხეთი-ირანი ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების განხორციელებას, რომლის მიზანია კავკასიაში დასავლეთის გავლენის განეიტრალება, რის გამოც რუსეთი ცდილობს ამ ალიანსში გარკვეულწილად აზერბაიჯანის ჩართვასაც. საქართველოს ხელისუფლების პრო-დასავლური კურსის გამო, დღესდღეობით რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა საგრძნობი დაძაბულობით გამოირჩევა, ხოლო აზერბაიჯანის ზემოაღნიშნულ ღერძში ჩართვის შემთხვევაში, ერთი მხრივ ჩიხში ექცევა კავკასიის გავლით დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების აღმოსავლეთისაკენ გავრცელება, ხოლო, მეორე მხრივ, კავკასიის ერთ-ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქვეყანა - საქართველო, აღმოჩნდება იზოლაციაში და რუსეთის მხრიდან ადვილად კონტროლირებადი გახდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, განვიხილოთ 2001 წლის განმავლობაში კავკასიის რეგიონის და საქართველოს სხვა მეზობელ სახელმწიფოებში, ასევე, საქართველოს შიდაკონფლიქტურ რეგიონებში განვითარებული ზოგადპოლიტიკური, სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები.

რუსეთის ფედერაცია

შიდაპოლიტიკური ვითარება. 2001 წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაციაში არსებული შიდაპოლიტიკური ვითარების ძირითადი ტენდენციების ფორმირების დომინანტურ ფაქტორს წარმოადგენდა პრეზიდენტ ვლ. პუტინის და მისი გარემოცვის მიერ წარმოებული აქტიური, მიზანმიმართული და გეგმაზომიერი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებზე სრული კონტროლის დაწესებას და მიმართული იყო ხელისუფლების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულებების რეალიზაციისაკენ. ამასთანავე, ქვეყანაში ახალი ეკონომიკური მოდელის - „რეგულირებადი ბაზრის“ დანერგვის პარალელურად, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან შეინიშნებოდა სპეციფიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა, რომელიც განისაზღვრება ხელისუფლების მკაცრი, პრაქტიკულად ავტორიტარული კონტროლის დაწესებით რუსეთის სხვა სახელისუფლო ორგანოებზე, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე,

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გასულ წელს რუსეთში მიმდინარე პროცესები შემდეგი ძირითადი ასპექტებით ხასიათდებოდა: რუსეთის პრეზიდენტის მიერ ხელისუფლების ვერტიკალის განმტკიცების პოლიტიკის პარალელურად შეინიშნებოდა ფედერაციის ხელმძღვანელების და მათი სახელისუფლო ორგანოების უფლებამოსილების მკვეთრი შეზღუდვის მცდელობა. კერძოდ, ვლ. პუტინის მიერ სახელისუფლო ორგანოების სისტემის შეცვლის, კონკრეტული საკადრო და სტრუქტურული ცვლილებების რეალიზაციის (შვიდი ფედერალური ოლქის შექმნა, ფედერაციის საბჭოს ფორმირების პროცედურის შეცვლა, ახალი სტრუქტურის - სახელმწიფო საბჭოს ფორმირება, რუსეთის პრეზიდენტისათვის ფედერაციის სუბიექტების ხელმძღვანელების გადაყენების უფლების მინიჭება, პასუხისმგებელ თანამდებობებზე პრეზიდენტის დაახლოებული პირების დანიშვნა) შემდგომ პრეზიდენტის და მისი გუნდის მიერ აქტიურად ხორციელდებოდა ფედერაციის სუბიექტების სახელისუფლო ორგანოებზე სრული კონტროლის დაწესების მცდელობა, ცენტრალიზებული პოლიტიკის შეუზღუდავად განხორციელების მიზნით. მსგავსი პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებაა ქვეყნის ფედერალური მოწყობის არსებული სტრუქტურის შეცვლა, რაც გამოიხატება ცენტრისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის ახალი საბაზო ხელშეკრულების ფორმირებაში, ცალკეული რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების შეცვლაში, შემდგომში სუბიექტების რაოდენობის შემცირებაში. ეს უკანასკნელი კი, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს სახელისუფლო სტრუქტურების შემცირებას და საშუალებას მისცემს პრეზიდენტს როტაციის საფუძველზე წამყვან თანამდებობებზე მისდამი ლოიალური პირების დანიშვნა განახორციელოს (ვლ. რუშაილოს - უშიშროების საბჭოს მდივნის, სერგეი ივანოვის - თავდაცვის მინისტრის, ხოლო ბ. გრიზლოვის - შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნის მსგავსად).

ზემოაღნიშნული პოლიტიკის წარმატებით რეალიზაციის მიზნით 2001 წლის მეორე ნახევარში რუსეთის სახელმწიფო დუმაში პრეზიდენტის მიერ განსახილველად შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი კანონშროეკტები, რომელთა მიღების შემთხვევაში, სავარაუდოდ, შეიქმნება ის აუცილებელი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა, რომელიც საშუალებას მისცემს ცენტრალურ ხელისუფლებას მომავალში შეცვალოს ფედერაციის შემადგენლობა. კერძოდ, პრეზიდენტმა სახელმწიფო დუმას წარუდგინა კანონპროექტები - „რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების შესახებ“ (რომელიც სახელმწიფო დუმამ დაამტკიცა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ის ფედერაციის საბჭოს გადაეგზავნა დამატებითი დამუშავებისათვის), „რუსეთის ფედერაციის საზღვრების და მათი შესაძლო შეცვლის შესახებ“ და „რუსეთის ფედერაციის სტატუსის შეცვლის შესახებ.“ ამავე დროს გასული წლის ივლისში პრეზიდენტის მიერ შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს და პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის და არსებული ურთიერთობის სტრუქტურაში შესაძლო ცვლილებების შეტანის ახალი წინადადებები.

მსგავსი პოლიტიკური ნაბიჯების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში პრეზიდენტი უშუალოდ შესძლებს ნებისმიერი სახის პოლიტიკური, სტრუქტურული და სხვა სახის ცვლილებები განახორციელოს ფედერაციის სუბიექტების მხრიდან რაიმე საკანონმდებლო წინააღმდეგობების გაწევის გარეშე.

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნულის პარალელურად ხელისუფლების მიერ აქტიურად მიმდინარეობდა პრეზიდენტის ნებას დაქვემდებარებული და სრულიად კონტროლირებადი პარტიული სისტემის შექმნის მცდელობა. ამ მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული და პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ფედერალური კანონი „პოლიტიკური პარტიების შესახებ.“

აღნიშნული კანონი მკაფიოდ და მკაცრად განსაზღვრავს რუსეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიის ცნებას, მისი საქმიანობის მიმართულებას და პირობებს, ასევე ზღუდავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და გაერთიანებების მონაწილეობას. კერძოდ, ე.წ. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, რომელიც 2004 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრა, რუსეთში მოქმედი ყველა საზოგადოებრივი გაერთიანება, მოძრაობა და ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბდეს საკუთარი სტატუსის შესახებ, რაც გულისხმობს ძირეულ რეორგანიზაციას და შედეგად პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აეკრძალებათ პოლიტიკური საქმიანობა და უფლება ექნებათ განაგრძონ მოღვაწეობა მხოლოდ საზოგადოებრივი მიმართულებით. ამასთანავე, რუსეთში არსებული დროისათვის მოქმედი ყველა პოლიტიკური მოძრაობა ვალდებულია გააიაროს ხელახალი რეგისტრაცია. ეს კი სავარაუდოდ ხელს შეუწყობს პარტიულ სისტემაში დამატებითი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას, რაც საშუალებას მისცემს პრეზიდენტს გავლენა იქონიოს პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე.

პარტიული სისტემის აღნიშნული რეორგანიზაციის ფონზე, საყურადღებოა რუსეთში მოქმედი წამყვანი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება პრეზიდენტის პოლიტიკური კურსი-სადმი და ძალთა ბალანსი რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში.

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn Bibliothek

უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში აქტიურად მიმდინარეობდა პრეზიდენტის მხარდამჭერი პოლიტიკური პარტია „ედინსტვო“-ს პარტიული და პოლიტიკური ინტერესების გაძლიერება, რაც სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში პარტიის და პრეზიდენტის ერთგული პიროვნებების დანიშვნაში გამოიხატება.

მოსკოვის მერის ი. ლუჟკოვის პოლიტიკური მოძრაობა „ოტეჩესტვო“, რომელიც შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსით გამოირჩეოდა, საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, დათანხმდა პრეზიდენტის მხარდამჭერ პარტია „ედინსტვო“-სთან გაერთიანებას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური მოძრაობა „ოტეჩესტვო-ედინსტვო.“ საგულისხმოა, რომ მომავალში საკუთარი სახელისუფლო ამბიციების შენარჩუნების მიზნით, ი. ლუჟკოვმა უარი თქვა „ედინსტვო“-სთან სრულ გაერთიანებაზე. მიუხედავად ამისა, სახელისუფლო პარტიასთან კავშირით მან სრული მხარდაჭერა გამოხატა პრეზიდენტის მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის მიმართ, რითაც განიმტკიცა საკუთარი პოზიციები და დაიტოვა შესაძლებლობა მომავალში დამოუკიდებლად აწარმოოს აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა.

რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში ახალი პირობებისადმი სრული ადაპტაციის მიზნით, მემარჯვენე მიმართულების გაერთიანება „მემარჯვენე ძალთა კავშირი“-ს ლიდერების მიერ მოწვეულ იქნა ახალი დამფუძნებელი ყრილობა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა იმავე სახელწოდების ახალი პარტია ბ. ნემცოვის ხელმძღვანელობით. სხვადასხვა მემარჯვენე მიმართულების მოძრაობების ერთ პარტიაში გაერთიანება გამოკვეთილი ლიდერით, საგრძნობლად გაზრდის პარტიის შესაძლებლობას პოლიტიკური გავლენა იქონიოს როგორც უშუალოდ საპარლამენტო საქმიანობაში, ასევე, მთლიანად რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში.

ახალი მემარჯვენე მიმართულების პარტიის ჩამოყალიბება არაერთაზროვნად იქნა აღქმული რუსეთში არსებული სხვა მემარჯვენე მიმართულების პარტიების მიერ. „იაბლოკო“-ს პარტიის ლიდერის გ. იავლინსკის განცხადებით, ქვეყანაში ორი მძლავრი მემარჯვენე მიმართულების პარტიის არსებობა გამოიწვევს ელექტორატის დეზორიენტაციას. ეს კი ხელს შეუწყობს მომავალში მოსახლეობაში პარტიების პოპულარობის დაცემას და მათ მიერ პოლიტიკური გავლენის სფეროების დაკარგვას.

ქვეყანაში პოლიტიკური გავლენის და მძლავრი იდეოლოგიური სისტემის შენარჩუნების მიზნით, დღესდღეობით „იაბლოკო“-ს ლიდერების მიერ შემუშავდა პარტიის ახალი იდეოლოგიური პლატფორმა, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების საფუძველზე ჩამოყალიბდა. აღნიშნულთან დაკავშირებით პარტიის ლიდერები განიხილავენ რამოდენიმე კონცეპტუალურ იდეოლოგიურ მიმართულებას, ხოლო თვით პარტიას შეეცვალა სახელწოდება და ამჟამად იწოდება როგორც „რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია - იაბლოკო.“

ამავე დროს, რუსეთის პარტიულ სისტემაში შექმნილი ვითარების ფონზე, რუსეთის კომუნისტური პარტიის და სხვა მემარცხენე მიმართულების პარტიების მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურად გამოიყურება. საკუთარი ელექტორატის შენარჩუნების მიზნით, კომუნისტური პარტიის ლიდერების მიერ ხშირია სხვადასხვა ხასიათის საპროტესტო აქციები, რომელთა დიდი უმრავლესობა ნეგატიურად აღიქმება მოსახლეობის ფართო ფენების მიერ. კომუნისტური პარტიის პოზიციაზე სერიოზული ნეგატიური გავლენა იქონია სახელმწიფო დუმაში შემავალ ფრაქცია „სახალხო დეპუტატის“ ბაზაზე შექმნილმა ახალმა პარტიამ სახელწოდებით „რუსეთის ფედერაციის სახალხო პარტია.“ აღნიშნული პარტია საკუთარი იდეოლოგიით უფრო მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულებისაა, რაც მას სახელისუფლო პარტია „ედინსტვო“-სთან უფრო აახლოებს, ვიდრე რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის სახელისუფლო სტრუქტურებში და პოლიტიკურ პარტიათა სისტემაში მიმდინარე პროცესები პრეზიდენტის მიერ გატარებული პოლიტიკის ერთგვარი ანარეკლია, რომლის ძირითად მიზანს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სრული გაკონტროლება და შემდგომში სასურველი პოლიტიკური ფონის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

2001 წლის მეორე ნახევარში მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა გავლენა იქონია რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მიმართ გატარებულ პოლიტიკაზე. ტერორიზმის საფრთხის საერთაშორისო დონეზე გააქტიურებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა დასავლეთის დამოკიდებულება ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის მიერ წარმოებული ანტიტერორისტული ოპერაციების მიმართ. ამასთანავე, ოფიციალური მოსკოვი ქვეყნის შიდა ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად აქტიურად ახორციელებდა რეგიონის ცენტრალიზაციისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. თუმცა წლის ბოლოს აღნიშნული პოლიტიკა გარკვეული სიფრთხილით გამოირჩეოდა, რაც განპირობებული იყო 2002 წლის დასაწყისში დაგეგმილი რეგიონის რესპუბლიკების საპრეზიდენტო არჩევნებით.

ჩრდილოეთ კავკასიაში ანტიტერორისტული ოპერაციების წარმოებით რუსეთი ტერორისტული და კრიმინალური ელემენტების ლიკვიდაციასთან ერთად, მართავს რეგიონის რესპუბლიკური დაქვემდებარების ძალოვან სტრუქტურებს და აკონტროლებს რეგიონში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს აფხაზეთში სიტუაციის დაძაბვასთან დაკავშირებით განხორციელდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაში მყოფი 67-ე საარმიო კორპუსის რეორგანიზაცია, კერძოდ მის შემადგენლობაში მყოფი 131-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა გადავიდა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაში და მიენიჭა სამშვიდობო ძალების სტატუსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამხრეთ ფედერალურ ოლქში განხორციელებულ ფედერალურ პოლიტიკას ოფიციალური მოსკოვი დადებითად აფასებს. ამავე დროს ნელი ტემპით, მაგრამ ეტაპობრივად მიმდინარეობს რეგიონის სტაბილიზაციის და ცენტრალიზაციის პროცესი. მიუხედავად ამისა, რეალურად ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია და აღნიშნულს ხაზს უსვამს ჩეჩნეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი, ჩრდილოეთ ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის შედეგების მოუწესრიგებლობა, დაღესტნის პოლიტიკურ-ეთნიკური კრიზისი, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკების ეთნიკური დაპირისპირებები, რომლებიც რადიკალური ისლამის გავლენის და ტერორისტული საფრთხის არსებობის ფონზე მიმდინარეობს.

ზემოაღნიშნული კუთხით საყურადღებო იყო ჩრდილოეთ ოსეთში, ინგუშეთში და ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები. ჩრდილოეთ ოსეთისთვის, როგორც ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტისთვის, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ფედერალური მხარდაჭერა წარმოადგენდა. თავის მხრივ სტაბილური და ცენტრის ინტერესების გამტარებელი ჩრდილოეთ ოსეთი მოსკოვის ინტერესების გატარების გარანტს წარმოადგენს მთლიანად კავკასიის რეგიონში. ცენტრი დიდ ყურადღებას აქცევდა ქ. მოზდოკს, სადაც განლაგებულია ჩრდილოეთ კავკასიაში ფედერალური ჯარების დაჯგუფების შტაბი, და მიმდებარე ტერიტორიის ეკონომიკურ უზრუნველყოფას, სტავროპოლი-მოზდოკი-კრაინოვკის ავტომაგისტრალისა და მდ. თერგზე რკინაბეტონის ხიდის რეკონსტრუქციასა და მოზდოკის აეროდრომის ზედაპირული დაბინძურების ლიკვიდაციის ტექნოლოგიების შემუშავებას.

რესპუბლიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინგუშეთთან და ჩეჩნეთთან ადმინისტრაციული საზღვრების დაცვა, რაც გაძლიერებულია არა მარტო რესპუბლიკური, არამედ ფედერალური შსს მობილური რაზმებით. ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოების განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშაა სუარგომის და ჯეირახის ხეობების გადასასვლელები, რომელთა გავლითაც შეიძლება რესპუბლიკის სიღრმეში შელწევა. ფედერალური სასაზღვრო სამსახურის მონაცემებით, ყველა გადასასვლელი და ბილიკი კონტროლდება მესაზღვრეთა გაძლიერებული რაზმებით. მათ შორის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობისაა დარიალის ხეობა, რომელიც რუსეთის სამხრეთ საზღვრის ერთ-ერთი რთული მონაკვეთია.

გაძლიერებული დაცვის ქვეშ იქნა აყვანილი აგრეთვე რუსეთ-საქართველოს ტრანსკავკასიური მაგისტრალის ჩრდილოეთ ოსეთის მონაკვეთი. დღის წესრიგში დგას როკის გვირაბის შეკეთების საკითხი, რომელიც ზამთრის პერიოდში წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სატრანსპორტო კორიდორს რუსეთსა და სამხრეთ კავკასიას შორის. სასაზღვრო-საბაჟო პუნქტ „ნიჟნი ზარამაგ“-თან (გვირაბის ჩრდილოეთით), სადაც განსაკუთრებით გადატვირთული მოძრაობაა, დაიწყო საერთაშორისო მრავალმხრივი გამშვები პუნქტის მშენებლობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო სტანდარტებს.

გასულ წელს ოფიციალური ვლადიკავკაზი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობის და ინტეგრაციის საკითხს, რასაც მოწმობს ალექსანდრე ძასოხოვის აქტიური გამოხმაურება ცხინვალში პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებულ პროცესებზე.

ამავე დროს, გამოიკვეთა ჩრდილოეთ ოსეთის თურქეთთან ურთიერთობის გააქტიურების ტენდენცია, რაც რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ ოსეთ-ინგუშეთის 1992-94 წ.წ. კონფლიქტის უარყოფითი შედეგების (ლტოლვილთა საკითხი) ლიკვიდაცია დიდი ხანია დგას რესპუბლიკების და ფედერალური ხელისუფლების შესაბამისი უწყებების დღის წესრიგში, აღნიშნული საკითხი კვლავ მოუწესრიგებელი დარჩა. ლტოლვილი ინგუში მოსახლეობა, რომლის გარკვეული ნაწილი დაბრუნდა პრიგორადნის რაიონში, უკმაყოფილებას გამოთქვამდა ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლების მიმართ და მას მათი უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდა. თავისთავად უკმაყოფილია მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა დაბრუნებას ხელს უშლის სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის ინგუშების ყოფილი საცხოვრებელი სახლების ცხინვალის რაიონიდან ლტოლვილი ოსი მოსახლეობის მიერ დაკავების ფაქტი. არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, მათი სხვა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფარესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში ჩრდილოეთ ოსეთი კვლავაც შეინარჩუნებს ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სტაბილური რესპუბლიკის სტატუსს, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი ხელისუფლების და მოსახლეობის

უდიდესი ნაწილის პრორუსული ორიენტაცია და შიდაეთნიკური დაძაბულობის არარსებობა.

გასული წლის განმავლობაში ინგუშეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩეჩნეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის საკითხი. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარე „წმენდითი“ ოპერაციების შედეგად ინგუშეთში იმატა ლტოლვილთა რაოდენობამ. აღსანიშნავია, რომ ლტოლვილები ჩეჩნეთში დაბრუნებას არ აპირებენ, ვინაიდან მათ არ აქვთ უსაფრთხოების გარანტია და დაბრუნების შემთხვევაში ისინი კარგავენ არსებობის ერთადერთ წყაროს - საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულ ჰუმანიტარულ დახმარებას. ინგუშეთში ლტოლვილთა არსებობა რესპუბლიკაზე უარყოფით გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ფედერალურ ცენტრთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. რუსლან აუშევი იჩქერიის პრეზიდენტ ასლან მასხადოვსა და ოფიციალურ მოსკოვს შორის მოლაპარაკებების დაწყების მომხრე იყო. აღნიშნულს გარკვეულწილად განაპირობებს ის ფაქტორი რომ, ინგუშეთში მყოფ ლტოლვილ ჩეჩნებზე მართვის გარკვეული ბერკეტები გააჩნია ასლან მასხადოვს, მასთან დაახლოებული პირების ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში ეწყობა მასობრივი დემონსტრაციები ჩეჩნეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების შეწყვეტის მოთხოვნით, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ცენტრის ინგუშეთის ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაზე. ჩეჩენი ლტოლვილების ინგუშეთში არსებობის კიდევ ერთ უარყოფითი შედეგს წარმოადგენს რესპუბლიკაში კრიმინოგენური ვითარების გამწვავება და იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელება. ამავე კონტექსტში მოიაზრება ინგუშეთში ვაჰაბიზმის გავრცელებასთან დაკავშირებით ვითარების გაუარესება. რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ინგუშეთის რესპუბლიკაში გაძლიერდა უსაფრთხოების ზომები. შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობა გაძლიერებულ რეჟიმზე იქნა გადაყვანილი. მილიციის თანამშრომლებმა გაამკაცრეს კონტროლი სარკინიგზო მაგისტრალებზე. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა რუსეთ-საქართველოს ინგუშეთის საზღვრის მონაკვეთზე სასაზღვრო კონტროლის გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ ინგუშეთში როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროში არსებობდა ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც რუსლან აუშევის 9 წლიანი მმართველობის პერიოდში თანდათან მტკიცდებოდა, თუმცა გარეგნულად პრეზიდენტი ცდილობდა მისი ერთპიროვნული მმართველობისკენ მიმართული პოლიტიკური მოღვაწეობა შეესაბამებინა ფედერალური პოლიტიკისთვის. აღნიშნულის ერთ-ერთი გამოხატულებაა ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილება. კერძოდ, რესპუბლიკური კანონმდებლობის ფედერალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მცდელობა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევის საკითხების მოწესრიგება.

ინგუშეთის საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შედეგადაც რესპუბლიკის სათავეში რუსლან აუშევი მეორე ვადით მოვიდა, გაიმართა 1998 წელს. რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად იმ პერიოდისთვის საპრეზიდენტო ვადა განსაზღვრული იყო 5 წლით. 2001 წლის ნოემბერში კონსტიტუციაში შეტანილი შესწორების თანახმად, პრეზიდენტის მმართველობის ვადა 5-დან 4 წლამდე შემცირდა. აღნიშნული შესწორების თანახმად, რესპუბლიკის პარლამენტის დადგენილებით, რუსლან აუშევის მმართველობის ვადა 2003 წლის ნაცვლად 2002 წლის მარტში უნდა ამოწურულიყო. პარლამენტის აღნიშნული დადგენილება გააპროტესტა რესპუბლიკის პროკურატურამ და საბოლოოდ ინგუშეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით რუსლან აუშევის მმართველობის ვადა განისაზღვრა იმ კანონმდებლობის თანახმად, რომელიც მოქმედებდა მისი არჩევის დროს (2003 წლის მარტამდე). მიუხედავად ამისა, რუსლან აუშევმა გააკეთა ოფიციალური განცხადება პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ. სავარაუდოდ, აუშევის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა ბოლო პერიოდში ფედერალურ ცენტრთან ურთიერთობის დაძაბვამ როგორც ჩეჩნეთთან მიმართებაში, ასევე ფედერალური ურთიერთობების საკანონმდებლო საკითხებთან მიმართებაში.

რუსლან აუშევის გადადგომამ მძაფრი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია რესპუბლიკის მოსახლეობაში. ინგუშეთის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში გაიმართა მასობრივი აქციები, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ინგუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „დაიმოჰკი“-ს (ლიდერი საბარბეკ სადიშევი) წევრები. მოსახლეობა და რესპუბლიკის პოლიტიკური წრეები თხოვნით მიმართავდნენ აუშევს დარჩენილიყო პრეზიდენტის პოსტზე.

გასული წლის სექტემბრიდან მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ფედერალური ცენტრის პოლიტიკამ ჩეჩნეთის მიმართ, რაც გარკვეულწილად განპირობებული იყო რეგიონში და განსაკუთრებით ჩეჩნეთში ვითარების დაძაბვისა და კონფლიქტის გაჭიანურების ტენდენციებით. ოფიციალური მოსკოვი კიდევ უფრო აქტიურად ჩაერია ჩეჩნეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. ვლადიმერ პუტინმა სექტემბრის ბოლოს შეიარაღებულ ფორმირებებს ნებაყოფლობითი განიარაღების 72-საათიანი ულტიმატუმის პირობით, მშვიდობიანი მოლაპარაკების წარმოება შესთავაზა. აღნიშნული წარმოადგენდა კონფლიქტის მოწესრიგების მეტ-ნაკლებად რეალურ გზას, რომელსაც უნდა განეპირობებინა

რუსეთის პოლიტიკის საერთაშორისო მხარდაჭერა, თუმცა ზემოთ დასახელებულ მეთოდს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამასთანავე, რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა ჩეჩნეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ჩარჩოებში წარმოეჩინა, ხაზს უსვამდა რა 11 სექტემბრის ტერაქტებში მონაწილე 4 ტერორისტი-კამიკაძის ჩეჩნეთში მიმდინარე სამხედრო კამპანიაში მონაწილეობის, ხატაბის და სხვა საველე მეთაურთა მჭიდრო კავშირების ფაქტებს უსამბენლადენთან. რუსეთისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნატო-ს მხარდაჭერა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩოებში. ნატო-ს გენერალური მდივნის - ჯორჯ რობერტსონის თქმით, ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ, აშშ და ნატო სხვაგვარად აფასებენ ჩეჩნეთში არსებულ ვითარებას.

ოფიციალურად, რუსეთის პოლიტიკა ჩეჩნეთში კონფლიქტის მოწესრიგების სამხედრო, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებათა ერთობლიობით ხასიათდებოდა. ცენტრი კვლავაც აგრძელებდა კონფლიქტის მოწესრიგებაში პოლიტიკური ასპექტების გამოყენებას, რომლებიც რესპუბლიკაში ადმინისტრაციის და მთავრობის შექმნით დაიწყო. აღნიშნული ინსტიტუტების შექმნის ძირითად მიზანს ჩეჩნეთისთვის ფედერაციული სუბიექტის სტატუსის განმტკიცება და იჩქერიის მთავრობის ალტერნატიული ინსტიტუტის არსებობა წარმოადგენს. თუმცა განვითარებული მოვლენების და ჩეჩნეთში არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ ახმად კადიროვის და სტანისლავ ილიასოვის ხელმძღვანელობით მოქმედი რესპუბლიკის ადმინისტრაციისა და მთავრობის პოლიტიკურ მოღვაწეობას რეალური დადებითი შედეგი არ მოუტანია. იგი ძირითადად მიმართულია საკუთარი პოლიტიკური გავლენის გაფართოებისკენ და ემყარება ტეიპურ-ნათესაობრივ ინსტიტუტს.

არაეფექტური აღმოჩნდა აგრეთვე ჩეჩნეთის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენის პროგრამა. ვითარებას განსაკუთრებით ამძიმებს ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხის ბოლომდე გამოყოფის შეფერხება და უკვე გამოყოფილი თანხის არამიზნობრივი რეალიზაცია. აღნიშნული ვითარება, ერთი მხრივ, ხელს უშლის რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენას, მეორე მხრივ, წარმოქმნის ფინანსურ კლანებს, რომელთა ინტერესებში შედის არსებული კონფლიქტური მდგომარეობის გაჭიანურება. 2002 წლის ბიუჯეტის (დაახლოებით 1 მლრდ. რუბლით განისაზღვრა) საშემოსავლო ნაწილის შევსება დაგეგმილია, ჩეჩნეთის მთავრობისა და სხვა კერძო სტრუქტურების მიერ რეალიზებული ნავთობიდან შემოსული სახსრებით. აღნიშნული ფაქტი გარკვეულწილად განაპირობებს დამოუკიდებელი ბიუჯეტის ფორმირებას და ხელს შეუწყობს ნავთობის არაკანონიერი მოპოვება-რეალიზაციის აღკვეთას. ნავთობის არაკანონიერ მოპოვებასთან ბრძოლას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები. თუმცა აღსანიშნავია, რომ უკანონო ნავთობმოპოვებასთან ბრძოლის პროცესის ეფექტურად წარმართვას ხელს უშლის ის ფაქტორი, რომ ნავთობის უკანონო მოპოვება და გადამუშავება შემოსავლის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს არა მარტო ბოევიკებისთვის, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობისა და ჩეჩნეთში მოქმედი ფედერალური ძალების თანამშრომლებისათვისაც. აღსანიშნავია, რომ ნავთობის გადამტან სატვირთო ავტომანქანებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სწორედ რუსი სამხედროები აცილებენ.

რუსეთის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულ მოსაზრებათა ანალიზის შედეგად შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ კრემლი გარკვეულწილად მზადაა აღიაროს ჩეჩნეთი, როგორც ფედერაციის დამოუკიდებელი სუბიექტი, იმ შემთხვევაში თუ მოხდება მის სათავეში მოსკოვისთვის მისაღები ხელმძღვანელობის ფორმირება. ჩეჩნეთის მომავალი ხელისუფლების მხრიდან მოსკოვი მოითხოვს ანტირუსულ პოლიტიკასა და რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ დასავლეთთან და არაბულ სამყაროსთან თანამშრომლობაზე უარის თქმას. შესაბამისად, ჩეჩნეთის მომავალმა ხელისუფლებამ უნდა გაატაროს პრორუსული ეკონომიკური პოლიტიკა და ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა ნავთობის მოპოვება-რეალიზაციის სფერო, უშუალოდ უნდა ჩართოს რუსეთის ფინანსური სტრუქტურები და ეკონომიკური გაერთიანებები.

ჩეჩნეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო იყო სამხრეთ ფედერალურ ოლქში რფ-ს პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ვ. კაზანცევისა და ა. მასხადოვის ემისრის - ა. ზაკაევის შეხვედრა, რაც მათ შორის მოლაპარაკების პროცესის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. ცნობილია, რომ ურთიერთობის შემდეგი ნაბიჯი განხორციელდება რფ-ს პრეზიდენტის განცხადების ჩარჩოებში, რაც ბოევიკების მიერ იარაღის ჩაბარებასა და მათი მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ დაბრუნებას ითვალისწინებს. მოსკოვში კატეგორიულად გამორიცხავენ საერთაშორისო შუამავლების მონაწილეობას ჩეჩნეთის პრობლემის დარეგულირების საკითხში. მიუხედავად ამისა, კაზანცევისა და ზაკაევის აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა თურქეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბესიმ ტიბუკი. თურქეთის წარმომადგენელის დასწრება ახმედ ზაკაევის პირადი ინიციატივით განხორციელდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მოლაპარაკების შემდეგ, ა. ზაკაევი თურქეთში გაემგზავრა.

ჩეჩნეთის მომავალ რესპუბლიკურ მოწყობას აქტიურად უჭერს მხარს მისი ამჟამინდელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ახმედ კადაროვი. მისი ინიციატივით, რომელიც „კადიროვის გეგმის“ სახელითაა ცნობილი, დაიწყო საკონსულტაციო საბჭოს ფორმირების პროცესი. აღნიშნული ორგანიზაცია კონტროლს გაუწევს სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებას და შემოსულ თანხებს, რომელიც უნდა მოხმარდეს ჩეჩნეთის სოციალურ-ეკონომიკური სფეროს აღდგენას. აღნიშნულის გარდა ორგანიზაციის წევრები მონაწილეობას მიიღებენ შიდაჩეჩნური დიალოგის ორგანიზებასა და განხორციელებაში.

მიუხედავად ბოლო პერიოდში განცდილი მნიშვნელოვანი დანაკარგებისა, უკანასკნელი მონაცემებით ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მოქმედ ბოევიკთა რაოდენობა ოფიციალური მოსკოვის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაახლოებით 2 ათას კაცს შეადგენს. ისინი გაერთიანებული არიან 100-მდე დაჯგუფებაში. მათ შორის უმსხვილესია ხატაბის შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც დაახლოებით 550 ბოევიკს შეადგენს, შამილ ბასაევის შეიარაღებული დაჯგუფება - დაახლოებით 450 ბოევიკი, რიზვან ახმადოვის - დაახლოებით 200 ბოევიკი, ხოლო ასლან მასხადოვის ექვემდებარება დაახლოებით 150 კაციანი შეიარაღებული დაჯგუფება. ჩეჩნეთში მოქმედ დაქირავებულ მებრძოლთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 500-მდე კაცით, თუმცა ზამთრის დადგომასა და ავღანეთში მიმდინარე სამხედროოპერაციებთან დაკავშირებით, აღნიშნული რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან არაბი და სხვა ეროვნების დაქირავებულ მებრძოლთათვის ჩეჩნეთში დარჩენას ართულებს ის ფაქტი, რომ მათ მიმართ უნდობლობას დაუმყოფილებას გამოხატავს ადგილობრივი მოსახლეობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის მიერ ავღანეთზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად ისლამური რადიკალური ორგანიზაციების ფინანსური დახმარების დიდი ნაწილი მიმართულია თალიბებისკენ, რის გამოც ჩეჩნეთში უკანონო შეიარაღებული ფორმირებები ფინანსებისა და საბრძოლო მასალის დეფიციტს განიცდიან. აღნიშნულ პროცესში დიდი როლი ითამაშა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ იმ ბანკების ნაწილის აღმოჩენამ და განეიტრალებამ, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა არაბული სამყაროდან მიღებული ფინანსური დახმარების განაღდება და ვაჰაბიტებისათვის მიწოდება. ჩეჩნეთა მდგომარეობას აღნიშნულთან ერთად, გარკვეულწილად ამძიმებს დასავლეთის მხარდაჭერის დაკარგვაც. ბოლო პერიოდში რუსეთსა და აშშ-ს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად ოფიციალურმა ვაშინგტონმა ხელი უნდა შეუშალოს ისლამური სამყაროდან ჩეჩნეთში ბოევიკთა ფინანსური დახმარების შეღწევას. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამ სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აშშ-ში ისლამური საზოგადოების წარმომადგენლები ალ-კაზდინი და ალ-ამუდი. მათ მიერ აშშ-ში წარმოებული ჩეჩენთა მხარდამჭერი სამთვიანი კამპანიის შედეგად შეგროვებულია 5 მლნ. აშშ დოლარი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩეჩენი სეპარატისტების მხარდამჭერ ღონისძიებებს კოორდინირებას უწევს სპეციალური კომიტეტი, რომელსაც იორდანული წარმოშობის რაიდ აბდელ ხალიმ აბდალა ხელმძღვანელობს. შვედეთში ანალოგიური სტრუქტურის შტაბბინა სტოკჰოლმშია განლაგებული და მას ომარ იასირ მახმუდი ხელმძღვანელობს. ჩეჩენთა დახმარების კომიტეტი ფუნქციონირებს დანიაშიც (ხელმძღვანელი - უსამა ფაიზ ალ-ახმედი). ასეთივე ორგანიზაციები მოქმედებენ აგრეთვე იტალიაში, ესპანეთსა და ჩეხეთში.

დაფინანსების შემცირებამ, რასაც ტაქტიკური გეგმების შეუთანხმებლობაც დაემატა, განაპირობა ჩეჩენ საველე მეთაურთა შორის არსებული დაპირისპირების გაღრმავება. დაპირისპირება დაიწყო, ერთი მხრივ, ხატაბსა და შამილ ბასაევს, რომელთაც მხარს უჭერს ასლან მასხადოვი და, მეორე მხრივ, რუსლან გელაევს შორის ფინანსების ხარჯვის თაობაზე. რუსლან გელაევმა ხატაბი ფულის მითვისებაში დაადანაშაულა. აღსანიშნავია, რომ რუსლან გელაევის მიმართ ჩეჩენ საველე მეთაურებში აზრთა სხვადასხვაობაა. რუსლან გელაევს ძირითადად მერყეევი პოზიციის გამო ადანაშაულებენ. ხშირად ვრცელდება ინფორმაცია მის მიერ ჩეჩნეთის საზღვრების დატოვების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური მოსკოვი რუსლან გელაევის ფიგურას აქტიურად იყენებს საქართველოს წინააღმდეგ. რუსული წყაროები ხშირად ავრცელებენ ინფორმაციას რუსლან გელაევის და მისი დაჯგუფების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის და მოქმედების შესახებ. ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები დიდ გავლენას ახდენს რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობებზე, ხოლო თავისთავად საქართველო-რუსეთის ჩეჩნეთის სასაზღვრო ტერიტორიაზე შეიარაღებული შეტაკებები საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოებას.

შიდაეკონომიკური ვითარება. გასული წლის მანძილზე რუსეთის ხელისუფლების მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ქვეყნის ეკონომიკაში ახალი ეკონომიკური მოდელის - „რეგულირებადი ბაზრის“ ფორმირების და დანერგვის პროცესი.

აღნიშნული ეკონომიკური მოდელის ძირითად საფუძველს წარმოადგენს შემდეგი მიმართულებები:

- ეკონომიკის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი ელექტროენერგეტიკა, სათბობენერგეტიკა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, მეტალურგია

და მსხვილი მონოპოლიები ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს ან პრეზიდენტისადმი ლოიალურად განწყობილი პირების მიერ უნდა იმართებოდეს. ეკონომიკის აღნიშნული კომპონენტები განიხილება, როგორც ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო და პოლიტიკური გავლენის გაძლიერებისა და სტრატეგიული საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება;

- ეკონომიკის სხვა სფეროების სწრაფი პრივატიზაცია და მათი გადაყვანა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. ამით შესაძლებელი გახდება საბიუჯეტო საწარმოებში მომუშავე მოსახლეობის დიდი ნაწილის გადაყვანა კერძო დაფინანსებაზე, რაც, ერთი მხრივ, საგრძნობლად შეამცირებს ფედერალურ ბიუჯეტზე ზეწოლას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობას მოუხსნის ფედერალურ ხელისუფლებას შესაძლო სოციალური დაძაბულობის გამო ქვეყნის ზოგიერთ ეკონომიკურად სუსტ რეგიონებში.

ზემოაღნიშნული ეკონომიკური პრიორიტეტების პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, ხელისუფლების ყურადღება მიმართული იყო მსხვილ მონოპოლიებზე და წამყვან სამრეწველო-საფინანსო ჯგუფებზე სრული კონტროლის დაწესებისაკენ.

საგულისხმოა რუსეთის მსხვილი მონოპოლიების - „რაო გაზპრომ“-ის და „რაო ეეს“-ის რეფორმირების ირგვლივ შექმნილი ვითარება. რუსეთის ხელისუფლების წამყვანი და დამოუკიდებელი ანალიტიკოსების მიერ შემუშავდა აღნიშნული მსხვილი მონოპოლიების რესტრუქტურიზაციის რამოდენიმე კონცეფცია, რაც ინტეგრირებული უნდა ყოფილიყო ხელისუფლების სპეციალურ პროგრამებში და მიზნად ისახავდა კომპანიების დაყოფას ენერგორესურსების მაგენერირებელ და გამსაღებელ სტრუქტურებად, თუმცა აღნიშნული პროცესი ჯერჯერობით შეჩერებულია პრეზიდენტის უშუალო ჩარევით, რაც შეიძლება შემდეგი ასპექტებით აიხსნას:

- პრეზიდენტის გუნდის მიერ „გაზპრომ“-ის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვლ. პუტინის ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის ო. მილერის დანიშვნის შედეგად შესაძლებელი გახდა აღნიშნული კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოების გაკონტროლება, რამაც თავის მხრივ დადებითად იმოქმედა ფედერალურ ბიუჯეტში ფულადი სახსრების შედინების სათანადო რაოდენობის შენარჩუნებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ „გაზპრომი“ ფედერალური ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა (დაახლოებით 33% მოდის);
- კომპანიების ყველაზე მოგებიანი ელემენტების მართვა კვლავაც ხორციელდება ყოფილი ე.წ. გავლენის ჯგუფების, კერძოდ „გაზპრომ“-ში რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვ. ჩერნომირდინის და კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელის რ. ვიახირევის დაახლოებული პირების მიერ. აღნიშნულის გამო, მონოპოლიების დაყოფის შემთხვევაში პრეზიდენტის გუნდს ძალზედ გაუჭირდება მათი სრული პრივატიზაციის განხორციელება;
- კომპანიების რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში შემცირდება ფულადი შემოსავლები, რაც უარყოფითად აისახება 2003 წელს დაგეგმილი საგარეო ვალის დაფარვის პერსპექტივაზე;
- მსხვილი მონოპოლიების რესტრუქტურიზაცია (პრივატიზაცია) გამოიწვევს პრეზიდენტის და მისი გუნდის მიერ ენერგორესურსების რეალიზაციიდან შემოსულ თანხებზე კონტროლის ნაწილობრივ დაკარგვას, რაც მათთვის არახელსაყრელია მოახლოებული საპარლამენტო (2003წ.) და საპრეზიდენტო (2004წ.) არჩევნების წინ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2004 წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მსხვილი მონოპოლიების რესტრუქტურიზაცია ნელი ტემპებით განხორციელდება და არ გამოიღებს რეალურ შედეგებს. ვლ. პუტინის მეორე საპრეზიდენტო ვადით არჩევის შემთხვევაში კი „გაზპრომ“-ის და „ეეს“-ის საბოლოო რესტრუქტურიზაცია და პრეზიდენტთან დაახლოებული პირების მიერ მათი პრივატიზაცია შესაძლებელი გახდება.

გასული წლის განმავლობაში რუსეთის ეკონომიკური სისტემა განვითარების დადებითი ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც პირველ რიგში გამოწვეული იყო მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე, ბუნებრივ აირზე, ელექტროენერგიაზე და ფერად ლითონებზე ფასების ზრდით, ასევე, შიდა სამომხმარებლო ბაზრის და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებით. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპების შესუსტებამ, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა იქონია რუსეთის ეკონომიკური სისტემის განვითარებაზეც და საგრძნობლად შეანელა ეკონომიკური განვითარების შემდგომი ზრდა, რის გამოც 2000 წლის მაჩვენებლები შენარჩუნდა.

საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური კურსის ძირითადი პრიორიტეტები

2001 წლის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლება საგრძნობი აქტიურობით ახორციელებდა საკუთარ საგარეო პოლიტიკურ კურსს. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე, რუსეთის ხელისუფლების ახალი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესაძლო რეალიზაცია, მიმართულია არსებული საერთაშორისო პოლიტიკური იმიჯის გასაუმჯობესებლად, რაც სამომავლოდ შეიძლება მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენდების მიღების წინაპირობა გახდეს.

ვლ. პუტინის აქტიურობა საგარეო პოლი-

ტიკურ სცენაზე მეტწილად აიხსნება, რუსეთის მცდელობით მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში და დაიკმაყოფილოს საკუთარი გეოსტრატეგიული ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგულისხმოა რუსეთის ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფოებთან.

გასულ წელს რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობაში რამოდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი აღინიშნა. პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო რუსეთის ხელისუფლების მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება აშშ-ის მიერ ნაციონალური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის და 1972 წლის რაკეტსაწინააღმდეგო ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხთან დაკავშირებით. რუსეთის ხელისუფლება ქვეყნის, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული პოლუსის წარმოჩენის მიზნით, არ გამორიცხავდა აშშ-ის გეგმების წინააღმდეგ ადეკვატური ზომების განხორციელებას, კერძოდ რუსმა სამხედრო ექსპერტებმა წარმოადგინეს აშშ-ის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შექმნის შემთხვევაში რუსეთის მხრიდან შესაძლო „ასიმეტრიული პასუხის" ძირითადი პარამეტრები, რომლებიც ძირითადად შეიარაღების მოდერნიზებასა და საბრძოლო საშუალებების ახალი სახეობების გამონახვაში გამოიხატებოდა.

მსგავს ნეგატიურ რეაქციას გამოხატავდა რუსეთის ხელისუფლება ნატო-ს გაფართოების საკითხთან დაკავშირებითაც და დემონსტრაციული, დიპლომატიური, ინფორმაციული თუ სამხედრო ხასიათის მკვეთრი ნაბიჯებით ცდილობდა წარმოეჩინა რუსეთის შესაძლებლობა წინააღმდეგობა გაეწია ნატო-ს გაფართოებისადმი.

რუსეთ-აშშ-ის თანამშრომლობა და რუსეთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ახალი პრიორიტეტები სრულიად გამოვლინდა აშშ-ში განხორციელებული 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდგომ. მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესებისადმი სწრაფი ადაპტაციის და აქედან გამომდინარე, მაქსიმალური პოლიტიკურ-ეკონომიკური დივიდენდების მიღების მიზნით, პუტინის მიერ განხორციელდა კონკრეტული და გარკვეულწილად ქმედითი საგარეო პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯები, რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვე მსოფლიოში რუსეთის ახალი როლის წარმოჩენას.

რუსეთის ხელისუფლების მიერ ახალი **საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები შემდეგი ასპექტებით განისაზღვრება:**

➢ **რუსეთის ხელისუფლება აშშ-თან უფრო** მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი თანამშრომლობის მომხრეა, რომლის ფუნდამენტალურ მიმართულებად მსოფლიო გლობალური უსაფრთხოება, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნაში რუსეთის შესაძლო მონაწილეობა უნდა გახდეს;

➢ რუსეთის ხელისუფლება არ გამორიცხავს მომავალში ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსთან მჭიდრო პარტნიორულ თანამშრომლობას, იმ შემთხვევაში, თუ ნატო სამხედრო ორგანიზაციიდან ეტაპობრივად გადაიქცევა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად.

საყურადღებოა რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსი ჩინეთის, ირანის, ჩრდილოეთ კორეის და ლიბანის მიმართ. აშშ-ის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის წინააღმდეგ დამატებითი ზეწოლის ბერკეტების ამოშავების მიზნით, თანამშრომლობა აღნიშნულ სახელმწიფოებთან, რომელსაც აშშ განიხილავს პოტენციურ საფრთხედ, სულ უფრო სისტემატიურ ხასიათს იღებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია რუსეთსა და ჩინეთს შორის ხელშეკრულება „სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ" და ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელის ხანგრძლივი ოფიციალური ვიზიტი რუსეთში. ამასთანავე, რუსეთს გააჩნია ეკონომიკური ხასიათის დაინტერესება აღნიშნულ სახელმწიფოებთან, რაც სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაში გამოიხატება (აღსანიშნავია რუსეთის აღნიშნულ ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულება იარაღით ვაჭრობის შესახებ).

პარალელურად, რუსეთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას გაერთიანებული ევროპის სტრუქტურებში მჭიდრო ინტეგრაცია წარმოადგენს, რაც უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს.

ზემოაღნიშნული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები განსაზღვრულია გრძელვადიანი პოლიტიკური შედეგების გათვალისწინებით და მათი შესაძლო რეალიზაცია საკარაუდოდ დადებითად აისახება რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, კერძოდ:

➢ აშშ-თან მჭიდრო პარტნიორული თანამშრომლობა რუსეთს, სავარაუდოდ, საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს შესაძლო ერთობლივი რაკეტსაწინააღმდეგო ტექნოლოგიების შექმნასა და განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რუსეთის ახალი ბირთვული და სარაკეტო პროგრამების სრულყოფას.

➢ რუსეთის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლება აცნობიერებს, რომ აშშ-თან კონფლიქტაცია უარყოფითად იმოქმედებს რუსეთის ეკონომიკაზე, რომელიც არსებული დროისათვის კრიზისში იმყოფება **და ამ მდგომარეობიდან მისი გამოყვანა ბევრად იქნება დამოკიდებული აშშ-ის მხარდაჭერაზე და მის ინვესტიციებზე რუსეთის ეკონომიკაში.**

➢ **პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთ-**აშშ-ის თანამშრომლობის გაღრმავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა

წარმოადგენს. რუსეთის ხელმძღვანელობა ავღანელ თალიბებს და პაკისტანს რუსეთის სტრატეგიული ინტერესების მატარებელი ტერიტორიის (შუა აზიის რესპუბლიკები) წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ განიხილავს. კრემლი ასევე შიშობს, რომ ფუნდამენტალისტური იდეოლოგია გამოიწვევს სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერებას რუსეთის მუსლიმანურ რეგიონებში. თავის მხრივ, აშშ უარყოფითად აფასებს ისლამური ფუნდამენტალიზმის გაძლიერებას საუდის არაბეთში, პაკისტანში და ახლო აღმოსავლეთში. აღნიშნული მიუთითებს რუსეთისა და დასავლეთის ინტერესების გარკვეულწილად თანხვედრას ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლაში.

➢ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნატო-რუსეთის მჭიდრო თანამშრომლობა სავარაუდოდ მიზნად ისახავს ალიანსის გაფართოების გარკვეული დროით შეფერხებას. ნატო-ს მიერ რუსეთისათვის მიცემული მყარი გარანტიების მიუხედავად, მოსკოვის დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით მომავალ წელს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ალიანსში გაერთიანებას მოჰყვება ანალოგიური პოლიტიკის განხორციელება ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მხრიდანაც, რაც რუსეთის მიერ ყოფილ საბჭოთა სივრცეზე გავლენის დაკარგვის საფუძველი გახდება. ამავე დროს, რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სისუსტის გამო, ოფიციალური მოსკოვი მოკლებულია საერთაშორისო საკითხებზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას.

რუსეთისათვის ევროკავშირის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ძირითად პრიორიტეტს კონკრეტული ხასიათის ეკონომიკური საკითხების განხორციელება წარმოადგენს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტების რეალიზაცია და ევროპული საფინანსო ორგანიზაციების მიმართ არსებული ვალების რესტრუქტურიზაცია. კავშირში შემავალ სახელმწიფოებთან კეთილმეგობრული და ხშირ შემთხვევაში დამთმობი პოლიტიკური კურსის გატარებით რუსეთი ცდილობს დაარქაროს საკუთარი განვრცობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც დადებითად აისახება რუსეთში უცხოური კაპიტალდაბანდებების საერთო კლიმატსა და რაოდენობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფონზე აღსანიშნავია რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსი თანამეგობრობის სახელმწიფოების მიმართ, რომლის ძირითად მიზანს რუსეთის პოლიტიკური (სამხედრო-პოლიტიკური) და ეკონომიკური ზეწოლის ბერკეტების შენარჩუნება და მათი შემდგომი გაძლიერება წარმოადგენს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პრორუსული მიმართულების თანამეგობრობის სახელმწიფოების მიმართ საკუთარი ინტერესების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად რუსეთი ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მეთოდს მიმართავს.

აღნიშნული პოლიტიკის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს გარემოება, რომლის თანახმად პრორუსულად განწყობილი სახელმწიფოებისა (სომხეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ბელორუსია, უზბეკეთი) და რუსეთის ფედერაციის თანამშრომლობის გაღრმავება მიმდინარეობს საერთაორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის საფუძველზე (ხელშეკრულება კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ და ევროაზიური ეკონომიკური თანამეგობრობა), ხოლო იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ საკუთარ პოლიტიკას (აზერბაიჯანი, საქართველო, უკრაინა), რუსეთის ხელისუფლება ახორციელებს ფართომასშტაბიან პოლიტიკური, ეკონომიკური და ინფორმაციული ხასიათის ზეწოლას, მისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური კლიმატის შესაქმნელად, შემდგომში აღნიშნული სახელმწიფოებზე გეოპოლიტიკური გავლენის შენარჩუნებისა და მათი ეკონომიკური სისტემების ხელში ჩაგდების მიზნით.

სამხედრო-კოლიტიკური ვითარება, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა

2001 წელს რუსეთის შეიარაღებულ ძალებში აქტიურად მიმდინარეობდა კოსმოსური ჯარების ჩამოყალიბებისა და მათი საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის პროცესი. აღნიშნული სახეობის ჯარების საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფის და მათი სრულყოფილად ფუნქციონირების მიზნით „პლესეცკ"-ის კოსმოდრომიდან განხორციელდა თანამგზავრ-ჯაშუშის გაშვება, რომლის კოდური სახელწოდებაა „მოლნია." ორბიტაზე თანამგზავრი გაიყვანა კოსმოსურმა ხომალდმა „კოსმოს"-მა. აღსანიშნავია, რომ ხომალდის სტარტს უშუალოდ ესწრებოდა კოსმოსური ჯარების სარდალი ა. პერმინოვი, რომელმაც თავი აარიდა თანამგზავრის შესაძლო ფუნქციებზე საუბარს, თუმცა დასძინა, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილია კიდევ ერთი თანამგზავრ-ჯაშუშის ორბიტაზე გაყვანა.

ზემოთქმულის პარალელურად რუსეთის ხელისუფლება ახორციელებს ნატო-ს გაფართოების საწინააღმდეგოდ მიმართულ ღონისძიებებს, რაც შეიარაღებული ძალების ზოგიერთი ქვედანაყოფების მოდერნიზებაში და გადაჯგუფებაში გამოიხატება. კერძოდ, დღესდღეობით კალინინგრადის ოლქში განლაგდა ოპერატიულ-სტრატეგიული შენაერთები, რომლის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა კლასის ხომალდები, სახმელეთო ჯარების და სანაპირო დაცვის ქვედანაყოფები, საზღვაო ავიაცია და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები.

აღსანიშნავია, რომ კალინინგრადის ოლქი

რუსეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ოპერატიულ-სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს. მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ნატო-ს სამხრეთისაკენ გაფართოებისა და რუსეთის საზღვრებთან უშუალოდ მიახლოების შემთხვევაში, აღნიშნულ ოლქს სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მიმდინარე წლის დასაწყისში აშშ-ს ხელისუფლებამ რუსეთი კალინინგრადის ოლქში მცირე რადიუსის მოქმედების ატომური რაკეტების ფარულად განთავსებაში დაადანაშაულა, რაც მიანიშნებს ოლქში აშშ-ის და ნატო-ს წინააღმდეგ ეფექტური და მძლავრი სამხედრო დაჯგუფების ჩამოყალიბებაზე.

გასულ წელს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა უცხოეთის ქვეყნებთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

უცხო ქვეყნებთან ტექნიკური და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას მიეძღვანა რუსეთის ფედერაციის ქ. ულიანოვსკში ჩატარებული მე-5 საერთაშორისო ავიაკოსმოსური სალონი MAKC-2001, რომლის მსვლელობისას გაფორმდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება. კერძოდ, ფირმა Boeing-თან ხელი მოეწერა მემორანდუმს რეგიონალური თვითმფრინავების შემუშავებისა და წარმოების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პროექტში მონაწილეობას მიიღებს რუსული კომპანია Илюшин-ი და კორპორაცია Сухой.

ავიასალონზე ანტონოვის სახელობის საავიაციო სამეცნიერო-ტექნიკურმა კომპლექსმა გააფორმა ხელშეკრულება ჩკალოვის სახელობის ნოვოსიბირსკის საავიაციო საწარმოო გაერთიანებასთან. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, უახლოეს მომავალში დაიწყება Ан-38 ტიპის თვითმფრინავის სადესანტო ვარიანტის წარმოება. ასევე გაფორმდა ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის იარაღის ექსპორტის სახელმწიფო კომპანიისა და კორპორაცია Р.Е.Т Кронштадт-ს შორის, რომელიც ხელს შეუწყობს რუსული კომპანიების მიერ წარმოებული სამხედრო მოხმარების პროდუქციის ექსპორტს. შეთანხმების თანახმად მხარეები დაინყებენ იარაღის გასაღების ბაზრის ერთობლივ ძიებას.

MAKC-2001-ზე კორპორაცია Сухой-მ წარმოადგინა ახალი გამანადგურებელი С-37, გამანადგურებლები Су-27СК, Су-30СМК, Су-25ТМ და Су-33. ასევე სასწავლო-სამხედრო თვითმფრინავები Су-25УБК და Су-35УБ.

ავიასალონზე წარმოდგენილი საფრენი აპარატებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ასევე მრავალფუნქციონალურმა გამანადგურებლებმა МиГ-29СМТ, МиГ-29УБТ, МиГ-29К და Ми-35ПМ, Ми-171Ш, Ми-17-1В, Ка-50, Ка-50-2, Ка-52, Ка-62 და Ка-226 ტიპის ვერტმფრენებმა.

იაკოვლევის სახელობის ავიამწარმოებელი ქარხანა სალონზე წარმოდგენილი იყო Як-130-ის ტიპის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავით, რომელიც პირველად იქნა გამოტანილი საერთაშორისო ავიასალონზე არა როგორც სასწავლო-საწვრთნელი, არამედ როგორც საბრძოლო თვითმფრინავი.

იარაღის ექსპორტის სახელმწიფო კომპანიამ MAKC-2001-ზე წარმოადგინა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, მათ შორის საზენიტო სარაკეტო სისტემები და კომპლექსები С-300ПМУ2-Фаворит, Антей-2500, Бук-М1-2, Тор-М1, Тунгуска-М1, Игла, ასევე რადიო და რადიოტექნიკური დაზვერვის საშუალებები Вега, Орион, Охота, თანამედროვე რადიოლოკაციური სადგურები Гамма, Противник, Небо, Небо-СВУ, Каста-2Е2, ავტომატური მართვის საშუალებები Поляна-Д4М1, Фундамент, Крым. ამავე დროს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ წინა თაობის ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების მოდერნიზებულ ვარიანტებს Шилка, Стрела-10, ПЗРК Стрела-2, Оса-ЛКМ, Куб (Квадрат), Печора, РЛС П-18, П-37.

ავიასალონზე აგრეთვე წარმოდგენილი იქნა სახმელეთო ჯარების შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ახალი ნიმუშები. მათ შორის სარაკეტო კომპლექს - Искандер-Э-ს თვითმავალი გამშვები დანადგარი, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა - Смерч-ის საბრძოლო მანქანა ცეცხლის მართვის კომპლექსით - Слепок-М1, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექს - Хризантема-С-ის საბრძოლო მანქანა, მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში მოქმედი, მოდერნიზებული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი - Штурм-С და აგრეთვე დისტანციურად მართვადი (უპილოტო) საფრენი აპარატი - Пчела-1, რომელსაც შესაძლებლობა გააჩნია დროის რეალურ მასშტაბში უზრუნველყოს სადაზვერვო ინფორმაციით შესაბამისი სახმელეთო ქვედანაყოფები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი ცდილობს მჭიდრო სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა დაამყაროს სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებთან, კერძოდ რუსეთში იმყოფებოდა სირიის დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა С-300-ტიპის სარაკეტო სისტემების შესყიდვის თაობაზე.

ორ ქვეყანას შორის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აგრეთვე იორდანიის მეფის ვიზიტისას რუსეთში.

ამჟამად იორდანიისათვის სამხედრო-საავიაციო ტექნიკის ძირითადი მიმწოდებლები არიან აშშ, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. იმისათვის, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალები არ გახდნენ დამოკიდებულნი რომელიმე სახელმწიფოზე, ოფიციალური ამანი ცდილობს გაზარდოს სამხედრო ტექნიკის მომწოდებელთა სია, რაც უბიძგებს მას დაუკავშირდეს რუსეთს. აღნიშნული კავშირი სავარაუდოდ ორმხრივად მომგებიანი იქნება.

რუსული სამხედრო ავიაციის, კერძოდ კი Су-30-ის ტიპის გამანადგურებელი ბომბდამშენის

ესკადრილიის შეძენის სურვილი გამოთქვა ასევე ინდონეზიამ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აშკარა ხდება, რომ რუსეთი ცდილობს კვლავ დაიბრუნოს დაკარგული სამხედრო ტექნიკის ბაზარი და გაზარდოს სამხედრო ავიაციის ექსპორტის რაოდენობა, რისი მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მომგებიანი და ნაკლებ-ხარჯიანი გზაა ძველი თაობის თვითმფრინავების მოდერნიზება და სრულყოფა.

საყურადღებოა რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობა სამხედრო სფეროში. მოლაპარაკებების შედეგად სომხეთისა და რუსეთის სამხედრო უწყებების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს 40 სამთავრობათაშორისო და სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებას, რომელთა შორის საყურადღებოა, სომხეთ-რუსეთის ერთობლივი შეიარაღებული ქვედანაყოფების შექმნის შესაბამისი ოქმი. სომხეთის თავდაცვის მინისტრის ს. სარქისიანის განცხადებით, სომხეთი რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზას სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის უთმობს გარკვეულ ტერიტორიას. მისი თქმით, რუსეთი ხელს შეუწყობს სომხეთის შეიარაღებული ძალების შემდგომ გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ სომხეთი რუსეთის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამხედრო პარტნიორს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გაძლიერებით და პოლიტიკური მხარდაჭერით, გამოიყენოს სომხეთის ხელისუფლება და მის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზები კავკასიის რეგიონის სხვა სახელმწიფოებზე ზეწოლის პლაცდარმად, რაც ასევე მისაღებია სომხეთის ხელმძღვანელობისათვის, მისი მეზობლების მიმართ არსებული ტერიტორიული, პოლიტიკური და სხვა სახის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

რუსეთის ფედერაცია კვლავ აქტიურად ცდილობდა სამხედრო ხასიათის ურთიერთობების გაღრმავებას მის ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორთან - ირანთან. ქვეყნებს შორის ხელმოწერილ იქნა ჩარჩო ხელშეკრულება სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რომლის თანახმად, რუსეთი თეირანს მიაწვდის თანამედროვე კლასის რაკეტსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღო თავდაცვის იარაღს, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდება ირანის საჰაერო სივრცის უმეტესი ნაწილის დაცვა. ირანი ასევე შეისყიდის KOPBET-ის და МОСКИТ-ის ტიპის შეიარაღებას, რაც ხელს შეუწყობს რუსეთისაგან ადრე შესყიდული 877ЕКМ პროექტის „კილოს“ კლასის წყალქვეშა ხომალდებთან ერთად გარკვეულწილად შეცვალოს ძალთა ბალანსი სპარსეთის ყურეში. რუსეთის ირანისადმი მიწოდებული შეიარაღების თანხა დაახლოებით 300 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ რუსეთის ფედერაცია ცდილობს კიდევ უფრო გააღრმავოს არსებული სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებთან და გააფართოოს იარაღის და საბრძოლო ტექნიკის გასაღების ბაზარი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სამხედრო-თავდაცვითი მექანიზმის სრულყოფილად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის და უშიშროების საბჭოს ერთობლივ სხდომაზე განხილულ იქნა თავდაცვითი-სამრეწველო კომპლექსის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები. პუტინის განცხადებით, ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური ვითარება აფერხებს თავდაცვითი კომპლექსის სრულყოფილად განვითარების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადებაზე. მისი თქმით, არსებული სირთულეების დაძლევის მიზნით, აუცილებელია ქვეყანაში და, კერძოდ, თავდაცვით-სამრეწველო კომპლექსში მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა, რომლის ძირითად მასტიმულირებელ ფაქტორად უცხოური კაპიტალი უნდა იქცეს. უცხოური კაპიტალის დაბანდება დადებითად აისახება კომპლექსის შემდგომ განვითარებაზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შეიარაღებული ძალების გაძლიერებას.

პუტინის განცხადება, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმ ძმიმე მდგომარეობით, რომელიც შექმნილია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში. აღსანიშნავია, რომ რუსეთის პიუჯეტში მნიშვნელოვან სავალუტო შემოსავლებს შეიარაღების ექსპორტიდან მიღებული თანხები წარმოადგენს. მეორე მხრივ, პუტინი შიშობს, რომ აშშ-ის პრეზიდენტის მიმართვა კონგრესისადმი, რომელშიც მან მოითხოვა ნება დართონ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს იარაღი მიყიდოს ნებისმიერ სახელმწიფოს მიუხედავად იმისა, ვრცელდება თუ არა მათზე აშშ-ის სანქციები იარაღით ვაჭრობის აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ, გამოიწვევს რუსეთის მხრიდან იარაღის გასაღების ბაზრის დაკარგვას, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება რუსეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ რუსეთის 2002 წლის პიუჯეტის პროექტში სამხედრო ხარჯებზე გათვალისწინებული ფულადი სახსრები 2001 წელთან შედარებით 2,8%-დან 2,7%-მდე შემცირდა. რუსეთის პოლიტიკური წრეების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებით, ხელისუფლების მიერ მსგავსი სამხედრო-ეკონომიკური პოლიტიკა და შეიარაღებული ძალების რეფორმირების ძირითადი მიზანია, შეიარაღებული ძალების მექანიკური შემცირება, რაც რუსეთის ძლიერების დაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა. მათი აზრით, სწორედ აღნიშნული პოლიტიკის შედეგია ის ფაქტი, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში არსებული თვითმფრინავებიდან ექსპლუატაციისთვის ვარგისია მხოლოდ მათი

საერთო რაოდენობის 30% და სამხედრო აეროდრომების დაახლოებით 50% რაც სასწრაფო რეკონსტრუქციას მოითხოვს. თითქმის ყველა აეროდრომი საჭიროებს ენერგომომარაგების და უზრუნველყოფის ობიექტების კაპიტალურ შეკეთებას. ამასთან, ყოველი ათი ერთეული საბრძოლო ჯავშანმანქანიდან საბრძოლო მოხმარებისათვის ვარგისია 2-3 ერთეული, ხოლო რაც შეეხება სამხედრო-საზღვაო ფლოტს, უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში მას შეიარაღებაში არ მიუღია არცერთი თანამედროვე კლასის წყალზედა და წყალქვეშა ხომალდი. მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ხელისუფლებას სურს სამხედრო მოსამსახურეებს გაუუქმოს შეღავათები და ის ფულად ექვივალენტში გაითვალისწინოს, რაც უარყოფითად აისახება სამხედროების ისედაც რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დღესდღეობით 139 ათასი სამხედრო მოსამსახურე მწვავედ განიცდის საცხოვრებელი ფართის უქონლობას. ხელისუფლების განცხადებით მომდინარე წელს ბინით მხოლოდ 7-8 ათასი სამხედრო ოჯახი დაკმაყოფილდება და მსგავსი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში სამხედროების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესი 30 წლით გაიწელება.

სავარაუდოდ, სწორედ ზემოაღნიშნული საკითხების განხილვას მიეძღვნა პრეზიდენტ ვლ. პუტინის ხანგრძლივი დახურული შეხვედრა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობასთან გასული წლის ნოემბრის პირველ ნახევარში, სადაც პრეზიდენტმა დაასახელა 2002 წლისათვის თავდაცვითი სფეროს განვითარების 4 პრიორიტეტული მიმართულება:

➢ თავდაცვის სფეროში არსებული საპროგრამო დოკუმენტების გათანაბრებული ამოცანების შესრულების აუცილებლობა. ამავე დროს რუსეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ტერორიზმი საფრთხეს უქმნის მსოფლიოში არსებული სტრატეგიული უსაფრთხოების მთელ სისტემას, ხოლო ტერორისტების ერთ-ერთი მიზანია მასიური განადგურების იარაღის შექმნა ან ხელში ჩაგდება. ვლ. პუტინის განცხადებით აღნიშნული კუთხით აუცილებელია შეტანილ იქნას დაზუსტებები ქვეყნის თავდაცვითი პოლიტიკის პრიორიტეტებში, გაკეთდეს მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის ანალიზი, მათ შორის საერთაშორისო სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის სფეროშიც.

➢ თავდაცვის სამინისტროს მუშაობის არანაკლებ მნიშვნელოვან მიმართულებად პრეზიდენტმა დაასახელა სამხედრო აღმშენებლობის მართვის სისტემის სრულყოფა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე_რესურსების კონცენტრაცია.

➢ სამხედრო სფეროს განვითარების მესამე ძირითადი მიმართულებაა შეიარაღებული ძალების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, ჯარების საბრძოლო და ოპერატიული მომზადების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. აქვე პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ზემოთქმული მიმართულებით მიმდინარე წელს თავდაცვის სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანები სრულყოფილად ვერ იქნა შესრულებული. უახლოეს მომავალში აუცილებელია გაიზარდოს სამობილიზაციო მომზადების ძირითადი პარამეტრებიც, რაც ძირითადად საერთო დანიშნულების ძალებს შეეხება.

➢ ცალკე მიმართულებად გამოიყო სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხი. პრეზიდენტის აზრით, სამხედრო რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი სწორედ სოციალური სფეროს გაუმჯობესებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობები თვისობრივად ახალ ფაზაში შედის, სავარაუდოა, რომ რუსული გენერალიტეტი ვერ მოახერხებს რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენას პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური კურსის სტრატეგიულ მიმართულებებზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სამხედროების მხრიდან ადგილი ექნება სიტუაციის გამწვავების მცდელობას, მოსალოდნელია პრეზიდენტმა განახორციელოს მასიური საკადრო წმენდა, რაც ძირითადად გენერალური შტაბის მაღალჩინოსნებს შეეხება.

რუსეთის შეიარაღებული ძალების კომპლექტაციის და საბრძოლო მომზადების სრულყოფის მიზნით, რუსეთის პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა რუსეთის უშიშროების საბჭოს მიერ წარმოდგენილი შეიარაღებული ძალების რეფორმის ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების ნაწილების ეტაპობრივ კომპლექტაციას და წვევამდელთა შეცვლას საკონტრაქტო საფუძველზე მომუშავე პირებით. აღნიშნული რეფორმა ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო საფუძველზე ეტაპობრივ გადაყვანას, რასაც დაახლოებით 13 წელი დასჭირდება. აღსანიშნავია, რომ საკონტრაქტო საფუძველზე მომუშავე სამხედრო მოსამსახურეები დღესდღეობით მონაწილეობას იღებენ სამშვიდობო ოპერაციებში და ისინი მაღალი საბრძოლო მომზადებით გამოირჩევიან. აღნიშნულის მიუხედავად, შეიარაღებული ძალებში არსებული ფინანსური პრობლემების გამო, ვერ ხერხდება შეიარაღებული ძალების კონტრაქტის საფუძველზე მომსახურე სამხედრო პირებით დაკომპლექტება, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ჯარების საერთო საბრძოლო მომზადებაზე.

სამხედრო რეფორმის ზემოაღნიშნული ეტაპის განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული მთლიანად რუსეთის შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმაზე. კერძოდ, სახელმწიფო დუმის დეპუტატთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მსგავსი რეფორმის განხორციელება სათანადო რაოდენობის ფულადი სახსრების აკუმულირებას მოითხოვს, ხოლო ამავე დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების რეფორმირებისათვის გამოყოფილი თანხები უმეტეს შემთხვევაში ვერ აღწევს

დანიშნულების ადგილამდე.

მიუხედავად იმისა, რომ საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლა 13 წლით განისაზღვრა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი წარმატებით განხორციელება ნაკლებად შესაძლებელია, რადგან ერთი მხრივ, ის დროში გაწელილ საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს და შესაძლებელია მიმართული იყოს საკონტრაქტო სამსახურის უარყოფითი კუთხით წარმოჩენისაკენ. რუსეთის გენერალიტეტის უმრავლესობა საკონტრაქტო საფუძველზე შეიარაღებული ძალების გადაყვანას, მიუხედავად არსებული დადებითი მხარეებისა, დამღუპველად მიიჩნევს და თვლის, რომ მომავალში რუსეთის ახალგაზრდობაში ჯარით დაინტერესება საკმაოდ შემცირდება, რაც კიბატარეფამდე მიიყვანს შეიარაღებულ ძალებს. მეორე მხრივ, 13 წლიანი პერიოდი შეიძლება მიზნად ისახავდეს მხოლოდ რეფორმის მომხრეების და საზოგადოების დარწმუნებას რეფორმის მიმდინარეობაში. მსგავსი რეფორმის განხორციელებას თითქოს ცდილობდა რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი ბ. ელცინი, როდესაც საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლა 10 წლიანი ვადით განისაზღვრა. მისი გადადგომის შემდეგ შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და არსებული მძიმე მდგომარეობა სრულიად უცვლელი დარჩა.

სომხეთის რესპუბლიკა

შიდაპოლიტიკური ვითარება. გასული წლის განმავლობაში სომხეთში მიმდინარე პროცესები მჭიდროდ იყო დაკავშირებული სომხეთსა და მთიან ყარაბაღში ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებთან. შეიარაღებულმა შეტაკებებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებზე განხორციელებულმა თავდასხმებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქვეყნის სტაბილურობასა და ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებულ სამშვიდობო პროცესს. პრეზიდენტმა მხოლოდ გაზაფხულისთვის მოახერხა საკუთარი პოზიციების გამყარება და სომხეთში პრაქტიკულად, საპრეზიდენტო რესპუბლიკა ჩამოყალიბდა მთავრობის განსაზღვრული პოლიტიკური შესაძლებლობებითა და, პრაქტიკულად, უუნარო პარლამენტით.

2001 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შიდაპოლიტიკური ვითარება სომხეთში კვლავ მკვეთრად დაიძაბა. 1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტში განხორციელებული ტერაქტის ორი წლისთავს ოპოზიციის გააქტიურება დაემთხვა. კერძოდ, ერევანში საპროტესტო მიტინგები გაიმართა პრეზიდენტისა და მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, რასაც ორგანიზაცია გაუკეთა სომხეთის პოლიტიკური ოპოზიციის ყველაზე ძლიერმა სამმა პარტიამ. კერძოდ, პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის წინააღმდეგ საკმაოდ მწვავე განცხადებებით გამოვიდნენ სახალხო პარტიის ლიდერი სტეპან დემირჩიანი, პარტია „რესპუბლიკის“ ლიდერი არამ სარქისიანი და პარტია „ეროვნული ერთობის“ ლიდერი არტაშეს გეგამიანი. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკელები და სახალხოელები გაერთიანებული იყვნენ საპარლამენტო ბლოკ „ერთობაში.“

სექტემბრის თვეში პარტია „რესპუბლიკის“ პირველ ყრილობაზე, რომელსაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი არამ სარქისიანი (ვაზგენ სარქისიანის ძმა) ხელმძღვანელობს, ფაქტიურად, ჩამოყალიბდა ყველა ძირითად ოპოზიციურ ძალთა ბლოკი. „რესპუბლიკის“ გარდა, პრეზიდენტის წინააღმდეგ გაერთიანდნენ სახალხო პარტია (ლიდერი სტეფან დემირჩიანი, 1999 წლის 27 ოქტომბერს დაღუპული პარლამენტის სპიკერის შვილი) და პარტია „ეროვნული ერთობა“ (ლიდერი ერევნის ყოფილი მერი არტაშეს გეგამიანი). ამას გარდა, ახალ ბლოკს გააჩნია ერთობლივი სამოქმედო პროგრამა კომუნისტებთან და ეროვნული თანხმობის ფრონტთან (ფრონტის ხელმძღვანელია უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი აშოტ მანუჩარიანი და 1999 წლის 27 ოქტომბერს დაღუპული პრემიერ-მინისტრის, ვაზგენ სარქისიანის უახლოესი თანამოაზრე ვაჰან შირხანიანი).

ოპოზიცია პრეზიდენტს ადანაშაულებდა 1999 წლის 27 ოქტომბრის ტერაქტის სასამართლო გარჩევის ხელოვნურად გაჭიანურებაში, რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებაში (ოპოზიცია რუსეთ-ბელორუსიის კავშირთან მიერთების და სომხეთში რუსული ენის სტატუსის ამაღლების მომხრეა) და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დამძიმებაში. აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგეების მოთხოვნას თანამდებობის დატოვების შესახებ, რობერტ ქოჩარიანმა 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ხელმეორედ მონაწილეობის შესახებ გადწყვეტილების მიღებით უპასუხა.

მიუხედავად პრეზიდენტის საწინააღმდეგო გამოსვლებისა, შეიძლება ითქვას, რომ სომხეთში ოპოზიცია, პრაქტიკულად დისკრედიტირებულია. რეალურად არ არსებობს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც შესძლებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის ინიცირებას და საქმის ბოლომდე მიყვანას.

გასული წლის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს საკმაოდ დიდი რაოდენობით პოლიტიკური პარტიების შექმნა. ისინი წარმოიქმნენ არა ახალი პოლიტიკური ძალების ფორმირების გზით, არამედ უკვე არსებული, მათ შორის საკმაოდ ავტორიტეტული პარტიების გახლეჩვის ხარჯზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პარლამენტის პოლიტიკური უმრავლესობის - ბლოკი „ერთობის“ დაშლის ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც პრაქტიკულად მოხდა ბლოკის მიერ ერთიანობის პრინციპული საფუძვლების არაარსებობის დემონსტრირება. ამასთან, ჩამოყალიბდა სხვა „ერთობა“, რომელმაც თავისი თავი რადიკალად გამოაცხადა. საყურადღებოა, რომ ბლოკის ორივე

ძალა თავის მხრივ კიდევ ორ ნაწილად დაიყო და წარმოიქმნა 4 პარტია, რომლებიც მზადყოფნას გამოთქვამენ ერთიანი პროგრამის მხარდასაჭერად.

ოთხ ნაწილად დაიყო „ეროვნულ დემოკრატიული კავშირიც." ანალოგიური ვითარებაა კომუნისტურ პარტიაშიც. ამ „მკაცრად პრინციპულმა" პარტიამ პრაქტიკულად ამოწურა საკუთარი თავი პოლიტიკურ არენაზე. პარტიის წევრთა პოლიტიკური ორიენტაცია იმდენად მრავალმხრივია, რომ თავად კომუნისტები ადანაშაულებენ ერთმანეთს მემარჯვენე ორიენტაციის ხელისუფლებასთან კავშირსა და მოძველებული კომუნისტური იდეოლოგიის დაცვაში.

სომხეთში მომავალი საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების გათვალისწინებით, 2002 წელს პოლიტიკურ ძალთა გახლეჩვის პროცესის შემდგომი გაგრძელება მოსალოდნელი არ არის. პირიქით, წინასაარჩევნო პოლიტიკური ძალები შეეცდებიან მოაგვარონ შიდა პრობლემები და გაერთიანდნენ ელექტორატის მოზიდვის მიზნით. 2002 წელს სავარაუდოდ, დაიწყება ბლოკების ფორმირების პროცესი და შედარებით მსგავსი იდეოლოგიის პარტიებს შორის გაიმართება მოლაპარაკებები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ვითარების ნიშნები უკვე შეინიშნა მიმდინარე წლის მეორე ნახევარში, როდესაც მემარჯვენე ძალებმა წინასაარჩევნო ბრძოლაში განაცხადეს ერთ ბლოკად გაერთიანების შესახებ.

ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ბლოკების შექმნის ტენდენციები შეინიშნება ლიბერალ-დემოკრატებში და რადიკალ-ლიბერალებში, რის შესახებაც უკვე განაცხადეს ლიბერალ-დემოკრატებმა სომხეთის პარტია „რამკავარ-აზატაკან"-ის სახით, ხოლო რადიკალ-ლიბერალები - „საერთო სომხური მოძრაობიდან" (ყოფილი პრეზიდენტის, ტერ-პეტროსიანის პარტია) წარმოშობილი ძალები, ცდილობენ გამოვიდნენ იატაკქვეშეთიდან და ახლა უკვე დამოუკიდებლად მოემზადონ არჩევნებისთვის.

სხვა ძალები პოზიციებს მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ პოლუსებს შორის დაიკავებენ და შეეცდებიან ახალი იდეებისა და პრინციპების შემოთავაზებას. ისინი ასევე შეეცდებიან, არ მოექცნენ რომელიმე პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ, რასაც, სავარაუდოდ, უმრავლესობა ვერ მოახერხებს. ამგვარი საფრთხე ემუქრება უკანასკნელ პერიოდში გააქტიურებულ „ერკრაპა"-ს სხვადასხვა ორგანიზაციებსაც, რომელთა მიზანს პოლიტიზირება წარმოადგენს.

მიმდინარე ეტაპზე რობერტ ქოჩარიანი, ფაქტიურად, ეყრდნობა მხოლოდ ძალოვან სტრუქტურებს, რომელსაც კურირებას უწევს თავდაცვის მინისტრი და უშიშროების საბჭოს მდივანი - სერჟ სარქისიანი. ფორმალურად, პრეზიდენტს მხარს უჭერს „დაშნაკთა" პარტია, თუმცა პარტიის რიგებშიც უკვე აზრთა სხვადასხვაობაა მთავრობის მხადრაჭერასთან დაკავშირებით. „დაშნაკების" გარდა, პრეზიდენტის მხარდამჭერ პარტიად მოიაზრება „სომხეთის პარტია რამკავარ-აზატაკან"-იც. მოსალოდნელია, რომ ეს ორი ტრადიციული პარტია წინასაარჩევნოდ გაერთიანდეს და ერთი ბლოკი შექმნას.

2001 წელს სომხეთში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად შესაძლებელია ქოჩარიანის საწინააღმდეგო გამოსვლები განვიხილოთ. ამ მიმართულებით საინტერესოა რუსეთის პოზიცია, რომელსაც შესაძლოა აღიზიანებდეს სომხეთის პრეზიდენტის პოლიტიკა დასავლეთთან მიმართებაში, თუმცა, საბოლოო ჯამში, რუსეთი მაინც ქოჩარიანის ხელისუფლების მხარდამჭერია. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რომ სომხეთის პრეზიდენტმა გარკვეულწილად კვლავ გააგრძელოს რუსეთის ფაქტორის გამოყენება შიდაპოლიტიკური პროცესების მართვაში (დღემდე აქტიურად ახერხებდა).

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. გასული წელი სომხეთში გამოირჩეოდა ოფიციალური ერევნის მზარდი საგარეო პოლიტიკური აქტიურობით და სომხური დიპლომატიის ე.წ. რუსული ვექტორის გააქტიურებით.

რუსული ვექტორის გაძლიერება აშკარად გამოიხატა მოსკოვისა და ერევნის მიერ ორმხრივი სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის გაძლიერებისა და გაფართოების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებით. მხარეებმა დაიწყეს სომხეთ-თურქეთის და სომხეთ-ირანის საზღვრის ერთობლივი ჰაერსაწინაღო დაცვა, ხოლო კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების სისტემის ფარგლებში შეიქმნა სომხურ-რუსული გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფება.

ოქტომბრის თვეში გიუმრიში რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზაზე გაიმართა რუსეთის და სომხეთის ჰაერსაწინაღო თავდაცვის ძალების და საშუალებების მუდმივი ერთობლივი საბრძოლო მორიგეობის დაწყების ცერემონია. ამიერიდან, რუსეთ-სომხეთის ჰაერსაწინაღო თავდაცვის ერთობლივი ავტომატური სისტემა რეგულარულად გადასცემს თურქეთის და ირანის ჩრდილოეთ ტერიტორიების და სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცის შესახებ ინფორმაციას მოსკოში. მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 18 ერთეული „მიგ-29" ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი და „ს-300ვ" ტიპის საზენიტო სარაკეტო სისტემის დივიზიონი მოსკოვმა სომხეთში, გიუმრიში (თურქეთის საზღვრიდან 10 კმ-ის დაშორებით) ორი წლის წინ გადაისროლა, მათი სრულყოფილი მუშაობა მხოლოდ მიმდინარე ეტაპზე დაიწყო.

საბრძოლო მორიგეობებში მონაწილეობას მიიღებენ „ს-300ვ" ტიპის რუსეთის საზენიტო-

სარაკეტო კომპლექსები. ძირითადი ყურადღება ეთმობა თურქეთის მიმართულებას, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რადიოლოკაციური სადგურების მიერ კონტროლდება აზერბაიჯანისა და საქართველოს საჰაერო სივრცეების უდიდესი ნაწილი, მ.შ. მარნეულის აეროდრომიც. რუსული გენერალიტეტის თქმით, უახლოეს მომავალში სომხეთში დამატებით გადაიგზავნება სხვა თანამედროვე რუსული საბრძოლო ტექნიკა, ხოლო რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს მიერ სომხეთის მიმართ საბრძოლო შეტევის შესაძლო განხორციელების შემთხვევაში, მოსკოვი ერევანს აეროკოსმოსური საშუალებებითაც დაეხმარება. რუსული მხარის განცხადებით, ზემოაღნიშნული წარმოადგენს დსთ-ს ქვეყნების ერთობლივი ჰაერსაწინაღო თავდაცვის სისტემის ფორმირების ფარგლებში გადადგმულ ნაბიჯს. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი მთავარსარდლის, არმიის გენერალ ანატოლი კორნუკოვის განცხადებით, ერთობლივი საბრძოლო მორიგეობა მხოლოდ თავდაცვით ხასიათს ატარებს და არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული და ორ ქვეყანას შორის შეთანხმება მიზნად ისახავს სახელმწიფო საზღვრების, რუსეთის სამხედრო ობიექტების და სომხეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას.

რუსეთსა და სომხეთს შორის სამხედრო თანამშრომლობა ერთობლივი ოპერატიული დაგეგმარების დონეზე გადადის. დღის წესრიგშია სომხეთის და რუსეთის ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების - ერთობლივი სომხურ-რუსული შეიარაღებული ქვედანაყოფის შექმნის საკითხი. აღნიშნული დაჯგუფების შექმნის პერსპექტივების განხილვა მხარეებს შორის უკვე მიმდინარეობს. კერძოდ, ვლადიმერ პუტინის ერევანში ვიზიტისას, ზემოაღნიშნული დაჯგუფების შექმნის შესაბამის ოქმს მოეწერა ხელი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარების სავარაუდო გასვლასთან დაკავშირებით, სომხეთისა და რუსეთის მხარეები განიხილავენ კავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბის სომხეთში განთავსების შესაძლებლობას.

ოფიციალური ბაქო უკმაყოფილებას გამოთქვამს სამხედრო ბლოკის შექმნის მიზნით სომხეთში იარაღის კონცენტრირებასთან დაკავშირებით, რაც საფრთხეს შეუქმნის აზერბაიჯანს. აღნიშნულს აძლიერებს სომხეთში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წარმომადგენლის განცხადება, რომლის მიხედვითაც ახლახანს შექმნილი სომხურ-რუსული ერთობლივი დაჯგუფება დაფუძნებულია პირველ რიგში სომხეთ-რუსეთის ორმხრივ სამხედრო-სტრატეგიულ ურთიერთობებზე. ფაქტიურად სომხეთი არ მალავს, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას განიხილავს ორი ქვეყნის სტრატეგიული თანამშრომლობის კიდევ ერთ დადასტურებად. ამას გარდა, თუ აქამდე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მონაწილე თითოეული სახელმწიფო დანარჩენისაგან დახმარებას მიიღებდა უცხოური აგრესიის შემთხვევაში, სადაც დსთ-ს ქვეყნები არ იგულისხმებოდნენ, დღესდღეობით კონკრეტულად დაფიქსირებულია ერთობლივი დაცვა ხელშეკრულების არამონაწილე ნებისმიერი დსთ-ს წევრი-სახელმწიფოების მხრიდან აგრესიის შემთხვევაშიც.

გასული წლის სამხედრო-პოლიტიკური მოვლენებიდან აღსანიშნავია, ასევე რუსეთის მიერ ნოემბრის ბოლოს რუსეთის ფედერაციასა და სომხეთს შორის ჯარების („შეიარაღებული ძალების) გამოყენების ერთობლივი დაგეგმარების საკითხების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელსაც 2000 წლის სექტემბერში მოეწერა ხელი. ხელშეკრულება არეგულირებს რუსეთის ფედერაციის და სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შემადგენლობაში გამოყოფილი ჯარების გამოყენების ერთობლივი ოპერატიული დაგეგმარების, კერძოდ, სამხედრო ოპერაციათა ერთობლივი დაგეგმარების საკითხებს კავკასიის რეგიონის კოლექტიური უსაფრთხოების საზღვრებში მხარეთა საერთო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. დოკუმენტი ითვალისწინებს ჯარების მართვის ერთიანი სისტემის შექმნას, ასევე ჯარების საბრძოლო, ზურგის, მატერიალურ-ტექნიკური და სპეციალური უზრუნველყოფის წესებს.

რუსეთის მიერ ხელშეკრულების რატიფიცირების ფაქტი აზერბაიჯანის მხრიდან აღქმულ იქნა, როგორც მოსკოვის მიერ მხარდაჭერის დემონსტრირება „თავისი ისტორიული მოკავშირისადმი" სამხრეთ კავკასიაში. ამასთან, ხელშეკრულების რატიფიცირება რუსეთის მიერ, დროში დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც აზერბაიჯანი სერიოზულად ალაპარაკდა კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტის შესაძლებლობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სომხეთის შეიარაღებული ძალებში მიმდინარე ღონისძიებები, კერძოდ, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების სამიტი ერევანში, რუსეთის მიერ სომხეთის „ძირითად მოკავშირედ" გამოცხადება, რუსეთ-სომხეთის ერთობლივი საჯარისო დაჯგუფების შექმნა, რომელსაც სომხური სარდლობა ხელმძღვანელობს, ასევე ერთობლივი სამხედრო წვრთნები სომხეთის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას ემსახურება. იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხერხდება ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარება, სომხეთს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ეყოლება საკუთარი შეიარაღებული ძალები და მზად იქნება საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის.

სომხეთში 2001 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მიმდინარე პროცესებიდან აღსანიშნავია თავდაცვის სამინისტროში შექმნილი სპეცია-

ლური კომისიის მიერ სომხეთის სამხედრო დოქტრინის მომზადება, რომლის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა 12 ქვეყნის სამხედრო დოქტრინა. თავდაცვის სამინისტროს საგარეო საკითხებისა და სამხედრო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის მიქაელ მელქონიანის განცხადებით, სომხეთის სამხედრო დოქტრინა, თურქეთისაგან განსხვავებით, არ იქნება საიდუმლო დოკუმენტი, თუმცა მასში ზოგადი დებულებების სახით, ადეკვატურად იქნება ასახული ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთობებთან. ამ განცხადების მიხედვით, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის სამხედრო დოქტრინაში სომხეთი განიხილება რიგით მეორე მტრად, საბერძნეთის შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სომხეთის დოქტრინაში თურქეთთან მიმართებაშიც მსგავსი ფორმულირებაა. ამასთან, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ჩარჩოებში თანამშრომლობა სომხეთის სამხედრო დოქტრინის მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენს.

სომხეთსა და რუსეთს შორის ორმხრივი სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის აქტივიზაციის დამადასტურებელია ორი ქვეყნის ოფიციალურ პირთა, მ.შ. ქვეყნების მეთაურთა და სამხედრო ხელმძღვანელობის გახშირებული ვიზიტები ერევანსა და მოსკოვში.

სექტემბრის თვეში რესეთის პრეზიდენტის ვლ. პუტინის ოფიციალური ვიზიტი სომხეთში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე რუსეთის პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი იყო, რომლის დროსაც მიღებულ იქნა რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. მხარეებს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ხელი მოეწერა 5 დოკუმენტს. მ.შ. შეთანხმებას 2010 წლამდე რუსეთის ფედერაციასა და სომხეთის რესპუბლიკას შორის გრძელვადიანი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, ასევე, მთავრობათაშორის შეთანხმებებს ტურიზმის, სამეცნიერო წოდებებისა და ხარისხების ურთიერთმინიჭების და კაპიტალდაბანდებების ურთიერთდაცვისა და ხელშეწყობის შესახებ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების გარდა, სომხეთის და რუსეთის თავდაცვის მინისტრებმა სერჟ სარქსიანმა და სერგეი ივანოვმა ხელი მოაწერეს ორ შეთანხმებას: რუსეთიდან სომხეთში მივლინებული სამხედრო მრჩევლებისა და სპეციალისტების სტატუსის შესახებ და 102-ე სამხედრო ბაზისთვის უძრავი ქონების გადაცემის შესახებ. პირველი მათგანი **ითვალისწინებს სომხეთში მივლინებული სამხედრო სპეციალისტების სტატუსთან დაკავშირებული იურიდიული და ფინანსური საკითხების რეგლამენტირებას,** მეორეკი, 102-ე სამხედრო ბაზისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემას. სომხეთის სამხედრო ხელმძღვანელობა აღნიშნულ შეთანხმებებს ურთიერთსასარგებლოდ მიიჩნევს, რადგან რუსეთის ბაზას სომხეთის უსაფრთხოების გარანტად განიხილავს.

რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტმა და თავად იმ ფაქტმა, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიუხედავად, პუტინმა არ გადადო ეს ვიზიტი, ფართო რეზონანსი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი და რუსეთი სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ და აქამდე ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილია 40-ზე მეტი დოკუმენტი, უკანასკნელ ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ქვეყნისათვის. რუსეთმა კიდევ ერთხელ მოახდინა დემონსტრირება, რომ ამ ეტაპზე რეგიონში იგი კვლავ გადამწყვეტ როლს თამაშობს. ის ფაქტი, რომ რუსეთი ერთმნიშვნელოვნად ცდილობს პოზიციების კარდინალურად გამაგრებას რეგიონში, რაც გარკვეულწილად დაკავშირებულია საქართველოში რუსეთის სამხედრო პოტენციალის შემცირებასთან, სომხეთში თავისი სამხედრო ყოფნის გაძლიერებითაც გამოიხატება. აღნიშნული დამადასტურებელია ერთობლივი სომხურ-რუსული შეიარაღებული ქვედანაყოფების შექმნის გადაწყვეტილება, რაც სომხურმა მხარემ საპასუხოდ, სომხეთში დისლოცირებული რუსეთის ბაზისთვის მის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის გადაცემით გამამტკიცა. რაც შეეხება სომხეთის ხელისუფლებას, გარდა იმისა, რომ მან ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისკენ მიმართული ნაბიჯები გადადგა, რუსეთის ფაქტორის გამოყენებით, შიდაპოლიტიკური ვითარების ნეიტრალიზებაც სცადა. რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი ქოჩარიანისთვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა იმისთვის, რომ ოპოზიციისთვის დაენახვებინა ოფიციალური მოსკოვის სომხეთის პრეზიდენტისადმი მხარდაჭერა ოპოზიციურ ძალებთან ბრძოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი კმაყოფილია რუსეთ-სომხეთის ურთიერთობების განვითარების დღევანდელი ეტაპით, ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით, ოფიციალური მოსკოვის დამოკიდებულება გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს ერევანში. რუსეთი მთიან ყარაბაღს არ განიხილავს კონფლიქტის დამოუკიდებელ მხარედ და თვლის, რომ კონფლიქტი უშუალოდ სომხეთის და აზერბაიჯანის მიერ უნდა იქნას მოგვარებული.

სომხეთი დღესდღეობით რუსეთის დასაყრდენს წარმოადგენს მის სამხრეთ საზღვრებთან. ამას გარდა, სომხეთი განიხილება რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ყოფნის საფუძვლად სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნულის გათვალისწინებით ძნელი დასაჯერებელია რუსეთის პოლიტიკური **ხელმძღვანელობის მიერ არაერთხელ დაფიქსირებული ნეიტრალური პოზიცია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტისადმი. ამავდროულად, რუსეთის ინტერესების რეალიზება სამხრეთ** კავკასიასა და კასპიის აუზში, **რის შედეგადაც** გაიხსნება გზა ცენტრალური აზიისაკენ, რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან პარტნიორობასთანაც არის დაკავშირებული.

აღნიშნულის დადასტურებაა რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო სფეროში დაწყებული თანამშრომლობა. აღსანიშნავია, რომ სექტემბრის თვეში აშულუკში (ასტრახანის ოლქი) გამართულ დსთ-ს ჰაერსაწინააღო თავდაცვის ძალების წვრთნებზე აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრ საფარ აბიევზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სომხეთის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების (C-300) საბრძოლო გათვლებმა. ბაქო გეგმავს სომხეთის მსგავსი ჰაერსაწინააღო გათვლების შექმნას, რაშიც მას მოსკოვის დახმარების იმედი აქვს. სამხედრო-დიპლომატიური წყაროების მიხედვით, რუსეთი გარკვეულწილად მომხრეა ყველა კასპიისპირა სახელმწიფოს გააჩნდეს ჰაერსაწინააღო თავდაცვის თანამედროვე საშუალებები, როგორც შესაძლო სამხედრო კონფლიქტების შემაკავებელი იარაღი. სავარაუდოდ, მათ შექმნაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო საწარმოები შეასრულებენ მთავარ როლს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ოფიციალური მოსკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა მხოლოდ თავდაცვით ხასიათის ატარებს. კერძოდ, საუბარია ჰაერსაწინააღო თავდაცვის საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის, ასევე სამხედრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების მიწოდებასა და სპეციალისტების მომზადებაზე.

მოსკოვის თავშეკავებული პოზიცია ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში და თანამშრომლობის გააქტიურება აზერბაიჯანთან, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რუსეთი კავკასიის რეგიონში, უპირველეს ყოვლისა საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს.

შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. კომპლიმენტარობის კონცეფცია, რომელსაც ეფუძნებოდა სომხური დიპლომატია უკანასკნელი წლების მანძილზე, ნაკლებად აქტუალური ხდება. რუსეთსა და დასავლეთს შორის სომხეთის მიერ ხაზგასმულმა დაბალანსების პოლიტიკამ გარკვეულწილად მნიშვნელოვნება დაკარგა, რაც გამოწვეულია რიგი ობიექტური მიზეზებით.

ოფიციალურმა ერევანმა საგრძნობლად გააქტიურა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა საბერძნეთთან, კვიპროსთან, ირანთან და არაბულ სამყაროსთან, კერძოდ სირიასთან და ლიბანთან. ეს ურთიერთობა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც თურქეთ-ისრაელის (ამ ვექტორში მოიაზრება აზერბაიჯანიც) სამხედრო ურთიერთობის განვითარების „გამაწონასწორებელი", რაც თავისთავად სომხეთ-რუსეთის თანამშრომლობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თურქეთთან მიმართებაში.

სომხური პოლიტიკის აღნიშნული ტენდენცია არ გულისხმობს დასავლეთთან ურთიერთობების კარდინალურად შეცვლას, ან სომხეთის რუსეთ-ბელორუსიის კავშირთან ასოცირებას. ამ ეტაპზე ერევანი მოსკოვისადმი ლოიალურ პოლიტიკას შედარებით კონკრეტულ დონეზე განახორციელებს, რომელიც ძირითადად ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ სფეროებს მოიცავს.

აღსანიშნავია აშშ-ს მიერ კავკასიის რეგიონში გატარებული პოლიტიკა, რაც სომხურ-ამერიკული სამხედრო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებით გამოიხატა და აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო პროცესის ჩიხში შესვლას დაემთხვა. ამჟამად სომეხი და ამერიკელი ექსპერტები სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის დეტალებს განიხილავენ. სავარაუდოდ, სამხედრო თანამშრომლობა ორი ძირითადი მიმართულებით განვითარდება. პირველ რიგში გათვალისწინებულია აშშ-ის მხრიდან სომხეთის შეიარაღებული ძალებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა. ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის მეორე მიმართულება იქნება აშშ-ის სამხედრო აკადემიაში სომეხი სამხედრო სპეციალისტებისა და სამშვიდობო ბატალიონის ოფიცრების მომზადება. აშშ არ გამორიცხავს სომეხი სამხედროების საბერძნეთის სამხედრო აკადემიებში მომზადების დაფინანსებასაც. აშშ ასევე განახორციელებს პროგრამებს, რომლებიც საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში სომხეთის ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.

აშშ-ის სომხეთისადმი დახმარების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირება ხდება რუსულ და სომხურ საინფორმაციო საშუალებებში. კერძოდ, უკვე არაერთხელ გავრცელდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სომხეთისთვის აშშ-ის მიერ გამოყოფილი თანხები რუსული იარაღის შეძენას მოხმარდება და თითქოსდა, ამის მომხრეა ამერიკული მხარეც. აღნიშნული განცხადებები მოკლებულია რეალობას და მთლიანად ეწინააღმდეგება აშშ-ის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში.

სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ამერიკის კონსერვატულმა კვლევითმა ცენტრმა „ჰერითიჯ ფაუნდეიშენ"-მა სომხეთი შეაფასა, როგორც ერთ-ერთი იმ ათი ქვეყნიდან, რომლებმაც 2001 წელს ე.წ. ეკონომიკური თავისუფლების ზრდის მაქსიმუმს მიაღწია. ცენტრის კლასიფიკაციით, ამ მაჩვენებლით სომხეთი უსწრებს დსთ-ს ყველა დანარჩენ ქვეყანას და ერთ დონეზე დგას საფრანგეთთან და პოლონეთთან.

2001 წლის მონაცემების მიხედვით, 11 თვის განმავლობაში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 9,1%-ით (ამერიკული ცენტრის მონაცემების მიხედვით, ეს ციფრი გაცილებით მცირეა და შეადგენს 3,3%-ს), ექსპორტი - 10,8%-ით, ამასთან იმ საქონელის ექსპორტმა, რომელიც დაკავშირებული არ არის ძვირფასეულობის წარმოებასთან (სომხეთის უმსხვილესი საექსპორტო საქონელი), 27%-ით მოიმატა. ამას გარდა, სომხეთში წლის განმავლობაში შეიქმნა 44 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მონაცე-

მებისა, სომხეთში ცხოვრების დონე არ შეცვლილა. მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ რჩება. წლის განმავლობაში ქვეყანა დატოვა დაახლოებით 50 ათასმა ადამიანმა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ეკონომიკური კანონმდებლობა ყველაზე ლიბერალურია ყოფილ სსრკ-ს სახელმწიფოებს შორის, ქვეყნის ეკონომიკა მაინც კორუფციისა და მიგრაციის პრობლემების წინაშე დგას.

სომხეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ვარდან ხაჩატრიანმა ეროვნულ კრებას 2002 წლის ბიუჯეტი წარუდგინა განსახილველად, რომლის მიხედვითაც საგადასახადო შემოსავლები 27 მლრდ. დრამით (49 მლნ. აშშ დოლარი) გაიზრდება და 214,3 მლრდ. დრამს (390 მლნ. აშშ დოლარი) შეადგენს. მინისტრის აზრით, შემოსავლები გაიზრდება ადმინისტრირების ეფექტურობის გაზრდის ხარჯზე, ამიტომ უახლოეს მომავალში - ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღებამდე, მთავრობა პარლამენტს საგადასახადო პოლიტიკის რეფორმირების შესახებ კანონპროექტთა პაკეტს შესთავაზებს, რომელიც მხოლოდ ადმინისტრირების სრულყოფას ითვალისწინებს და არა შეღავათებსა და შეზღუდვებს. პრემიერ-მინისტრის ანდრანიკ მარქარიანის განცხადებით, ახალი კანონმდებლობა საბიუჯეტო შემოსავლებს 15-20 მლრდ. დრამით გაზრდის.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 257,7 მლრდ. დრამს (470 მლნ. აშშ დოლარი) შეადგენს, საშემოსავლო ნაწილი კი - 214,3 მლრდ. დრამს (390 მლნ. აშშ დოლარი). ყველაზე ძვირადღირებულ სფეროდ კვლავ თავდაცვის სისტემა რჩება, რომლისთვისაც ბიუჯეტი ითვალისწინებს 36,6 მლრდ. დრამს (67 მლნ. აშშ დოლარი), ხოლო 17 მლრდ. დრამი (31 მლნ. აშშ დოლარი) გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ეროვნული უშიშროებისა და სასამართლო სისტემაზე, 29,2 მლრდ. დრამი (53 მლნ. აშშ დოლარი) - განათლებასა და მეცნიერებაზე, 16 მლრდ. დრამი (29 მლნ. აშშ დოლარი) - ჯანდაცვაზე და 27 მლრდ. დრამი (49 მლნ. აშშ დოლარი) - სოციალური უზრუნველოფის სფეროზე.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განათლებას. გათვალისწინებულია მასწავლებელთა ხელფასის 20%-ით გაზრდა, ხოლო სკოლების მშენებლობაზე 300 მლნ. დრამია გამოყოფილი. გარკვეული ცვლილებები განხორციელდება ჯანდაცვის სფეროშიც. სისტემის ოპტიმიზაციის მიზნით, მოსალოდნელია საკადრო შემცირებები. ბიუჯეტით განსაზღვრულია რამოდენიმე დაავადების მკურნალობა სახელმწიფოს ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო დეფიციტმა 43,4 მლრდ. დრამი (79 მლნ. აშშ დოლარი) შეადგინა. აღნიშნული თანხის დაფარვას მთავრობა გეგმავს როგორც შიდა, ისე საგარეო საშემოსავლო წყაროებიდან.

რუსეთთან და ირანთან სომხეთის ურთიერთობები მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური სფეროებით არ შემოიფარგლება - ეკონომიკური თანამშრომლობა სულ უფრო ინტენსიური ხდება ამ ქვეყნებს შორის.

რუსული მხარე ყველაზე მეტად დაინტერესებულია სომხეთის რადიოელექტრონიკის და სამხედრო-ეკონომიკური კომპლექსის საწარმოებით. საუბარია ერთობლივი საწარმოების შექმნასა და რუსეთის მხარისათვის, ვალების სანაცვლოდ, სომხური საწარმოების აქციათა ნაწილის გადაცემაზე. წინასწარი მონაცემებით, აღნიშნულ საწარმოთა სიაში შევა ელექტრომოწყობილობების მწარმოებელი ერევნის ქარხანა „მარსი", რომელიც ბოლო პერიოდში მოინახულა ილია კლებანოვმაც, ასევე, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის რიგი საწარმოები, რომლებიც მერგელიანის სახელობის მათემატიკური მანქანების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებენ. ამ ნუსხას შესაძლოა დაემატოს რადიოელექტრონული ქარხნები „ელექტრონი" და „ორბიტა." დაგეგმილია, სომხეთის ჩარენცავანის და რუსეთის „კურგანმაშ-"ის ჩარხმშენებელი ქარხნების ბაზაზე სამხედრო ტექნიკის ამწყობი ერთობლივი საწარმოს შექმნაც. სავარაუდოდ, ჩარენცავანის ჩარხმშენებელი ქარხანა შეასრულებს რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაკვეთებს. ქარხნის 80% სომხეთის სახელმწიფოს საკუთრებაა, ხოლო 20% ქარხნის ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს ეკუთვნის. ვლადიმერ პუტინმა მოინახულა ერთობლივი სომხურ-რუსული საწარმო „არმენალ"-ი, სადაც დაგეგმილია ერთობლივი პროექტების განხორციელება.

გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში რუსეთის ეკონომიკური გავლენის ზრდა უარყოფით ფაქტორად მოიაზრება სომხეთისა და დასავლეთის, კერძოდ, სომხეთის საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის კონტექსტში. თუმცა ოფიციალური სომხეთი მიიჩნევს, რომ რუსეთის ეკონომიკური „ინტერვენცია", რომელიც საგრძნობლად გაზრდის სომხური საქონლის ექსპორტის მოცულობას დსთ-ს, განსაკუთრებით კი რუსეთის 150 მლნ-იან ბაზარზე, სომხეთის ინტერესებში შედის და უალტერნატივოა.

ირანი სომხეთის უმნიშვნელოვანეს პარტნიორს წარმოადგენს და სომხეთისთვის თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ირანთან სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას. სომხეთი აქტიურად არის დაკავებული საერთაშორისო გაზის პროექტის განხორციელებით. აღსანიშნავია, რომ ირანი-სომხეთის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებულ შეთანხმებას ხელი მოეწერა 1992 წელს, დამატებები კი 1995 წელს გაკეთდა. 2001 წელს კი ირანმა და სომხეთმა „ურთიერთგაგების მემორანდუმი" გააფორმეს. მშენებლობა დაახლოებით 124 მლნ. დოლარი დაჯდება, ხოლო პროექტით გათვალისწინებული გაზის მიწოდების საწყისი

მოცულობა წელიწადში 1 მლრდ. კუბური მეტრი იქნება, ხოლო მომავალში დაგეგმილია ამ ციფრის 5 მლრდ-მდე გაზრდა.

მიმდინარე ეტაპზე მიღწეულია აღნიშნული გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმება. ირანისა და სომხეთის შესაბამისი უწყებების გარდა, პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ფრანგული „გაზ დე ფრანსი", კომპანია „იტერა"-ს საერთაშორისო ჯგუფი („იტერას" მონაწილეობის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის) და საბერძნეთის გაზის კორპორაცია. პროექტი ითვალისწინებს 100 და 41 კმ-იანი გაზსადენის მშენებლობას, შესაბამისად, ირანის და სომხეთის ტერიტორიაზე. დარჩენილია ტექნიკური დეტალები, რომლის მოგვარების შემდეგ შესაძლებელი იქნება პროექტის რეალიზაცია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ირანთან და თურქმენეთთან. მხარეები პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე მუშაობენ, რაც პროექტის რეალიზების აუცილებელი პირობაა. იმავდროულად, სომხეთში დასრულდა მუშაობა სომხეთის ტერიტორიაზე გაზსადენის ასაშენებლად საჭირო დაფინანსების საკითხებზე, სავარაუდოდ, ამ მონაკვეთის მშენებლობა 2002 წლის ბოლოსთვის დასრულდება. დაფინანსების წყაროები ჯერჯერობით არ კონკრეტდება. არსებობს კონსორციუმისა და იმ საინვესტიციო ინვესტორებისთვის საინტერესო პროექტების შექმნის იდეა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირს, თავის მხრივ, გააჩნია გარკვეული მიზნები პროექტთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ ევროკავშირმა სომხეთს 3 მლნ. ევრო (2,7 მლნ. აშშ დოლარი) გამოუყო, რომელიც გაზსადენის მშენებლობისთვის განკუთვნილი საერთაშორისო კონსორციუმის შექმნას, კერძოდ, მოსამზადებელ ეტაპზე იურიდიული საკითხების მოგვარებას მოხმარდება. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემდეგ ჩამოყალიბდება ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება პროექტის განხორციელების უმოკლესი ვადები.

დღეისათვის თურქმენეთის ბუნებრივი აირის ექსპორტს რუსეთი აკონტროლებს. აღნიშნული მილსადენის სომხეთის ტერიტორიაზე გავლის შემთხვევაში რუსეთი ცენტრალური აზიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების სფეროში მნიშვნელოვან პოზიციებს დაკარგავს. გარდა ამისა, ამჟამად სომხეთს ბუნებრივი აირით რუსეთის კონცერნი „იტერა" ამარაგებს. რუსეთის მიერ მოწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება ათას კუბურ მეტრზე 55 აშშ დოლარს შეადგენს. თურქმენეთის ბუნებრივი აირის ღირებულება კი დაახლოებით 40-43 აშშ დოლარი იქნება. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პროექტის რეალიზაცია ეწინააღმდეგება როგორც რუსეთის ინტერესებს, ასევე აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებს. აღნიშნულის საპირისპიროდ, ევროკავშირი, ასევე პოლონეთის და უკრაინის ხელისუფლება, დაინტერესებულია ირან-სომხეთის გაზსადენის მშენებლობით, განსაკუთრებით კი ირანის ტერიტორიის გავლით სომხეთში და შემდეგ ევროპაში თურქმანული გაზის ტრანსპორტირების საკითხით და მხარს დაუჭერს მის განხორციელებას. აღნიშნული პროექტის რეალიზაცია და გაზსადენის ევროპასთან დაკავშირება აუცილებლად საჭიროებს საქართველოს ან თურქეთის ტერიტორიის გამოყენებას და რომელიმე მათგანის ჩართვას ამ პროექტში. რუსეთის, აშშ-ის და, შესაბამისად, თურქეთის ინტერესების გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული პროექტის განხორციელება ნაკლებად სავარაუდოა.

სექტემბრის თვეში ერევანში იმყოფებოდა „იტერას" ხელმძღვანელობა, რომელმაც მოლაპარაკებები გამართა გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობის თაობაზე. ასევე, განხილულ იქნა დახურულ სააქციო საზოგადოება „არმროსგაზპრომთან" თანამშრომლობის პერსპექტივები, რომლის ძირითად აქციონერებს „იტერა" და „გაზპრომი" წარმოადგენენ. რუსეთ-სომხეთის ერთობლივი საწარმო „არმროსგაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ჯერჯერობით კონკრეტული შეთანხმება მიღწეული არ არის.

სომხეთის ეკონომიკას კვლავ დიდ დახმარებას უწევს ძლიერი და კარგად ორგანიზებული სომხური დიასპორა. მაგალითად, სომხური წარმოშობის ამერიკელმა მილიარდერმა კირკ კერკორიანმა სომხეთს ინფრასტრუქტურის აღდგენისა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის უკვე 200 მლნ-ზე მეტი აშშ დოლარი გადასცა, რაც დაახლოებით სომხეთის წლის ბიუჯეტის ნახევარს შეადგენს. უკანასკნელი თვეების მანძილზე უმსხვილესი საინვესტიციო გარიგება მოხდა არგენტინულ კომპანიასთან „Aeropuertos Argentina", რომელმაც ერევნის „ზვართნოცის" აეროპორტის 30 წლით მმართველობის უფლება მიიღო. აღსანიშნავია, რომ არგენტინული კომპანიის ხელმძღვანელი ედუარდო ეურნეკიანი სომხური წარმოშობისაა.

2001 წელი უშედეგო აღმოჩნდა ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით. სექტემბრის თვეში მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელის შედეგადაც აირჩიეს თემის უხუცესთა საბჭოს წევრები და ხელმძღვანელობა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 56,4%-მა.

საგულისხმოა, რომ ევროსაბჭომ მთიან ყარაბაღში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არაკანონიერად მიიჩნია. ევროსაბჭოს მიერ გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები არასოდეს აღიარებენ მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას.

საერთაშორისო თანამეგობრობა განაგრძობს

კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზების ძიებას. სექტემბერში ვენაში გაიმართა შუამავლების - აშშ-ის, საფრანგეთის და რუსეთის წარმომადგენლების ერთობლივი კონსულტაციები ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარესთან. სექტემბერსა და ნოემბერში კი ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები ორჯერ ეწვივნენ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის რეგიონს, რომლებიც კვლავ კონფიდენციალურ რეჟიმში მუშაობენ, კერძოდ, ფართო საზოგადოებისთვის ჯერჯერობით ისევ უცნობი რჩება ე.წ. პარიზისა და ქი-უესთის შეთანხმებების შედეგები, რომლის ჩარჩოებშიც მუშაობა კვლავ ყველაზე მისაღებ გზად მიაჩნიათ თანათავმჯდომარეებს.

სომხეთი ერთმნიშვნელოვნად რჩება ყარაბაღის კონფლიქტის პაკეტური გადაწყვეტის მომხრედ. ოფიციალურმა ერევანმა ჩამოაყალიბა სამი პრინციპი, რომლებიც დარეგულირების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს: კონფლიქტის მხარეთა თანაბარი სამართალსუბიექტურობა, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ანკლავური არსებობის არდაშვება და ყარაბაღის მოსახლეობისთვის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიები. სომხური მხარე კომპრომისებზე მხოლოდ ამ პრინციპების შესრულების შემთხვევაში დათანხმდება. რაც შეეხება სომხების მიერ კონტროლირებადი აზერბაიჯანული რაიონების გათავისუფლებას, ქოჩარიანის განცხადებით, აღნიშნული ტერიტორიები დაკავებულია მხოლოდ მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით. ამასთან, სომხეთის პრეზიდენტის თქმით, კონფლიქტის საფუძველს წარმოადგენს არა ტერიტორიული პრობლემები, არამედ ხალხის თვითგამორკვევის საკითხი. ქოჩარიანი თვლის, რომ ფრონტის ხაზის ნებისმიერი ცვლილება უსაფრთხოების გარანტიების გარეშე, ძალთა ბალანსს დაარღვევს და ომის პროვოცირებას მოახდენს, ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან „ანტიტერორისტული ოპერაციის" შესაძლო განხორციელების წინააღმდეგ, სომხეთს მძლავრი თავდაცვითი სისტემის იმედი აქვს.

შეიძლება ითქვას, რომ ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი კვლავ სტაგნაციის მდგომარეობაში იმყოფება. სომხური და აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებები სულ უფრო ხშირად აშუქებენ აღნიშნული ქვეყნების საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ აზრს იმის შესახებ, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების არანაირი შანსი აღარ არსებობს და სულ უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობს ძალისმიერი მეთოდების გამოყენების ალბათობა. მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეთა უკანასკნელი ვიზიტები, პრაქტიკულად მხარეთა შორის სიტუაციის განმუხტვას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე კონკრეტული შედეგების მიღწევას.

სომხეთი და აზერბაიჯანი ვერ თანხმდებიან ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებზე. მცირეოდენი დათმობაც კი ეროვნული ინტერესების შელახვად განიხილება ორივე ქვეყნის საზოგადოებაში, რაც კარგად ესმით ალიევსაც და ქოჩარიანსაც, მით უმეტეს, რომ მხარეებს საკმაოდ გააჩნია შიდაპოლიტიკური ხასიათის პრობლემები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა

შიდაპოლიტიკური ვითარება. გასულ წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰ. ალიევმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აპირებს მონაწილეობა მიიღოს 2003 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მესამე ვადით. აღნიშნული განცხადებით ალიევმა ფაქტიურად გამოაცხადა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების დაწყება, რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი იწყებს გარკვეული ნაბიჯების გადადგმას, რაც მხოლოდ მოსახლეობის ცალკეული ფენების ინტერესებს პასუხობს. პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესების შესახებ, რომლის მიხედვით აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად თანხების გამოყოფა მოხდება სახელმწიფო სანავთობო ფონდიდან და 84 მლრდ. მანათით (დაახლოებით 18 მლნ. აშშდოლარი) განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში პრეზიდენტმა უარი განაცხადა აღნიშნული ფონდიდან ყარაბაღის ომის ინვალიდებისათვის თანხების გამოყოფაზე, რასაც იანვარ-თებერვლის თვეში ინვალიდთა მასიური გამოსვლები მოჰყვა. გარდა ამისა, ალიევმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას პოლიტპატიმრების შეწყალების შესახებ.

პრეზიდენტის მიერ ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ ყურადღების ზრდა სავარაუდოდ გამოწვეულია ჰეიდარ ალიევის საარჩევნო კამპანიის დაწყებით, ან ქვეყანაში შესაძლო სოციალური აფეთქების თავიდან აცილების მცდელობით. როგორც ცნობილია, მრავალმა საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ შეწყვიტა აზერბაიჯანელი ლტოლვილებისთვის დახმარების გაწევა, რაც აზერბაიჯანის მხარეს დიდ პრობლემებს უქმნის.

პოლიტიკურ წრეებში კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა სახელმწიფოს მეთაურის „გეგმის"-ხელისუფლების მემკვიდრეობითობის საკითხის, განხილვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ ოფიციალური პროპაგანდა პერიოდულად იწყებს ხელისუფლების მემკვიდრეობითობის საკითხის წინა პლანზე წამოწევას.

აღსანიშავია, რომ თვით ალიევის გუნდის წევრებს შორის გამწვავდა ბრძოლა პოლიტიკური მემკვიდრეობისათვის. გარკვეული ძალების მეშვეობით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი

გახდა ხელისუფლებაში არსებული კორუფციისა და ინტრიგების ფაქტები. ხელისუფლებიდან ალიევის წასვლის შემთხვევაში, საკუთარი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, მათ მოუწევთ დროულად განსაზღვრონ საკუთარი კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე.

პროსამთავრობო პარტიის „ანა ვათან"-ის ლიდერის ფაზილ აღამალის განცხადებამ აზერბაიჯანის შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე მორიგი დაძაბულობა გამოიწვია. მისი თქმით, პრეზიდენტის სახელისუფლო გუნდს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რ. მეხტიევის „ხელშეწყობით" ტოვებენ ილხამ ალიევის თანამოაზრენი, ხოლო თვით რ. მეხტიევი მოლაპარაკებებს აწარმოებს ოპოზიციურ პარტიებთან „მუსავატ"-თან, დემოკრატიულ პარტიასთან და სახალხო ფრონტთან („კლასიკოსების" ფრთა). თავის მხრივ, ოპოზიციური პარტიები უარყოფენ რამიზ მეხტიევთან კავშირს, თუნდაც იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2000 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს სწორედ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მოახდინა დეპუტატობის მანდატების „განაწილება", რის შედეგადაც აღნიშნული პარტიები პარლამენტს გარეთ აღმოჩნდნენ.

სავარაუდოა, რომ თვით ხელისუფლება დაინტერესებულია რამიზ მეხტიევის ჩამოშორებით, ვინაიდან მას გარკვეული პრეტენზიები გააჩნია აზერბაიჯანის პრეზიდენტის პოსტზე, რაც ეწინააღმდეგება ჰეიდარ ალიევის გეგმას „ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის" შესახებ, ხოლო იმისათვის, რომ საზოგადოებამ დადებითად აღიქვას აღნიშნული გარეშეოება, ჰეიდარ ალიევის რეალურ მოწინააღმდეგეებს ბრალი ედებათ რამიზ მეხტიევთან კავშირში. „ანა ვათან"-ის ლიდერის ფაზილ აღამალის ზემოაღნიშნული განცხადება შესაძლოა საფუძველს მოკლებული არ იყოს, ვინაიდან გარდა ოპოზიციის ლიდერებისა, თვით სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლებიც აცხადებენ პრეტენზიას პრეზიდენტობის კანდიდატურაზე (ასახელებენ უშშროების მინისტრს ნამიკ აბასოვს და ჯანმრთელობის მინისტრს ალი ინსანოვს).

აღნიშნულის გათვალისწინებით უახლოეს მომავალში სავარაუდოა, რომ გაიზრდება შიდასახელისუფლო დაჯგუფებათა რაოდენობა, ხოლო ხელისუფლების სტრუქტურებში დაწყებულმა განხეთქილებამ შესაძლოა მაქსიმალურ ზღვარს მიაღწიოს.

პარალელურად, პოლიტიკური დაძაბულობის შესამცირებლად პრეზიდენტმა შესაძლოა თანამდებობიდან გაათავისუფლოს საკუთარი გუნდის რამოდენიმე წამყვანი ფიგურა, რაც ალიევს დროის მოგების და დროებითი სტაბილიზაციის მიღწევის საშუალებას მისცემს. მოსალოდნელია, რომ თანამდებობებს დატოვებენ არსებული ხელისუფლების შედარებით უფრო არაპოპულარული პირები, რომლებიც შესაძლოა საფრთხეს წარმოადგენდნენ ილხამ ალიევისათვის, ხოლო მათ ადგილებზე დაინიშნონ ალიევის გარემოცვის ახალგაზრდა წევრები.

უახლოეს მომავალში აზერბაიჯანის მილი მეჯლისში შესაძლოა კარდინალური ცვლილებები განხორციელდეს. პოლიტიკურ წრეებში პარლამენტის სპიკერის მურთუზ ალესკეროვის თანამდებობიდან გათავისუფლებას დიდი ხანია წინასწარმეტყველებენ, რაც ჰეიდარ ალიევის გეგმის „ხელისუფლების მემკვიდრეობის" შესახებ შემადგენელი ნაწილია. აღნიშნულის განსახორციელებლად ალიევმა ალესკეროვი უნდა შეცვალოს უფრო ძლიერი პოლიტიკოსით, რომელიც კრიზისულ პერიოდში გაუძლებს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ზეწოლას. ახალმა სპიკერმა უნდა შეძლოს პოზიციების გამყარება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებას. აგრეთვე, ახალი სპიკერი უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლების სათავეში ალიევის მიერ ამორჩეული პოლიტიკური მემკვიდრის მოსვლის გარანტს.

მომავალი სპიკერის თანამდებობაზე რამოდენიმე კანდიდატურა მოიაზრება. ზოგიერთი ვერსიით, ალესკეროვს შეცვლის ილხამ ალიევი. ამასთან, ოპოზიციური წრეების განცხადებით, პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს სპიკერის თანამდებობისთვის. ოპოზიციის წარმომადგენლები, უკიდურეს შემთხვევაში, ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე აცხადებენ პრეტენზიას. აღნიშნულ თანამდებობაზე ერთ-ერთ კანდიდატად პარტია „ანა ვათანი"-ს ლიდერი ფაზაილ აღამალი განიხილება. უკანასკნელ პერიოდში აღამალის დაპირისპირებამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან რამიზ მეხტიევთან შესაძლოა გავლენა იქონიოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გამორიცხული არ არის, რომ აღამალისა და რამიზ მეხტიევის დაპირისპირების მომხრეები ასევე შეეცდებიან მოიპოვონ სპიკერის თანამდებობა.

სპიკერის შეცვლა ოპოზიციის აზრის გაუთვალისწინებლად, შესაძლოა გარკვეული სირთულეებით წარიმართოს. ამასთან, ვიცე-სპიკერის პოსტზე შესაძლო კანდიდატებს შორის განიხილავენ „სახალხო ფრონტი"-ს წარმომადგენელს გულამჰუსეინ ალიევს და „მოქალაქეობრივი სოლიდარობის პარტიის„ ლიდერს საბირ რუსტამხანლის.

მოსალოდნელია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი გააგრძელებს სტრუქტურულ რეფორმებს, რისთვისაც შესაძლოა რადიკალურ ნაბიჯებსაც მიმართოს და რეფორმების შედეგად საკუთარი გუნდის წევრებიც „გაწიროს." იგი შეეცდება რაც შეიძლება უმტკივნეულოდ განახორციელოს საკადრო გადაადგილებები, რისთვისაც გამოცდილ „დიპლომატიური გადასახლების" მეთოდს

მიმართოს. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი პირველი საკადრო ცვლილება აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიაში განხორციელდება. კერძოდ, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში ნავთობკომპანიის პრეზიდენტი ნატიკ ალიევი დასავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში დაინიშნოს ელჩად. აღნიშნული მოსაზრების საბაბს იძლევა აზერბაიჯანის პრესაში გამოქვეყნებული ნატიკ ალიევის მაკომპრომეტირებელი მასალა - მისი კავშირის შესახებ მოსკოვში მოღვაწე მსხვილ ბიზნესმენთან ფიზიკალ მამედოვთან (აღსანიშნავია, რომ ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს ფ. მამედოვის სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალად ედება ნარკოტიკების მოხმარება და შენახვა). ნატიკ ალიევის მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ მის მიმართ პრეტენზიებს აცხადებს საგადასახადო შემოსავლების მინისტრი ფაზილ მამედოვი, რომელიც პოლიტიკურ წრეებში ცნობილია, როგორც პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის წარმომადგენელი. ამასთან, თვით ჰეიდარ ალიევმა პრეზიდენტთან არსებული საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, რომ ქვეყნიდან ყოველწლიურად მილიონ ტონამდე კონტრაბანდული ნავთობის გატანა ხდება. აღნიშნული სტრუქტურული რეფორმის შედეგად, მოსალოდნელია სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის გაერთიანება, რომელსაც სავარაუდოდ ილხამ ალიევი ჩაუდგება სათავეში.

აზერბაიჯანის სახელმწიფო მმართველობის სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაციის ჩარჩოებში პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა პრესის, ტელევიზიის, რადიოს და საერთაშორისო ქსელის ეროვნული საბჭო. საბჭო შედგება 39 წევრისაგან, რომელთაგან 18 დაინიშნება პრეზიდენტის მიერ, ხოლო დანარჩენი (21) წევრები წარდგენილი იქნებიან საინფორმაციო საშუალებების, საზოგადოებრივი გაერთიანებების და პარტიების მიერ. პრესის, ტელევიზიის, რადიოს და საერთაშორისო ქსელის („ინტერნეტი") ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და მისი სამი მოადგილე აირჩევა საბჭოს წევრებისგან.

სახელმწიფო მმართველობის აპარატში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელდა სტრუქტურული გარდაქმნები. ცვლილებების შემდეგ მთავარი სამმართველოს სტატუსი მიიღო სამინისტროს ექვსმა სტრუქტურულმა ქვედანაყოფმა - საქმეთა სამდივნომ, საორგანიზაციო-საინსპექციო სამმართველომ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამმართველომ, საგზაო პოლიციის სამმართველომ, საგამოძიებო სამმართველომ და კადრების სამმართველომ. სავარაუდოა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ინსტიტუტის გაუქმება და მოადგილეების რაოდენობის ხუთიდან ოთხამდე შემცირება. ამავე დროს ერთ-ერთი მოადგილე პარალელურად შეასრულებს შინაგანი ჯარის სარდალის მოვალეობას. იურისტთა წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად შესაძლოა შეიქმნას ზნეობის პოლიცია.

2001 წელს ოპოზიცია ვერ ახდენდა გავლენას ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე ზემოქმედების ფინანსური ბერკეტების არარსებობის, სოციალური ბაზის უქონლობის და საზოგადოებაში ავტორიტეტის შემცირების გამო ოპოზიციისთვის რეალური წარმატების მიღწევა ნაკლებსავარაუდოა. აღნიშნულის გათვალისწინებით ხელისუფლებაში მოსასვლელად ერთადერთ გამოსავლად ერთიანი კოალიციის ფორმირება რჩება, თუმცა ამ შემთხვევაში გადაუჭრელ პრობლემად დგება კოალიციის ლიდერის და აქედან გამომდინარე, მომავალი პრეზიდენტის კანდიდატის საკითხი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, გასულ წელს აღნიშნული მიმართულებით საკმაოდ აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ოპოზიციური პარტიები, რაც განპირობებულია 2003 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით არაოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ორი წამყვანი ოპოზიციური პარტიის სახალხო ფრონტის („რეფორმატორტა" ფრთა, ლიდერი ალი ქერიმლი) და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (ეთიბარ მამედოვი) მიერ კოალიციის შექმნა, რომელსაც პარტია „თარაგი" („პროგრესისტები", ჩინგიზ სადიხოვი) შეუერთდა. პარტიებს შორის დადებული ხელშეკრულება მოიცავს აზერბაიჯანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს, მ.შ. ერთიანი პოლიტიკის გატარებას ოპონენტების წინააღმდეგ.

აღნიშნულმა შეთანხმებამ შესაძლოა ურთიერთდაპირისპირება გამოიწვიოს, ერთი მხრივ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასა და, მეორე მხრივ, სახალხო ფრონტის „კლასიკოსების" ფრთასა და პარტია „მუსავატ"-ს შორის, ვინაიდან ამ უკანასკნელების ურთიერთობა „რეფორმატორებთან" საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობს.

პარალელურად სახალხო ფრონტის „კლასიკოსების" ფრთამ ხელი მოაწერა პარტიათაშორის შეთანხმებას აზერბაიჯანის ლიბერალურ-დემოკრატიულ და ჰუმანიტარულ პარტიებთან. ნაკლებსავარაუდოა, რომ აღნიშნული შეთანხმება ეფექტური აღმოჩნდეს. იგი უფრო ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა და „რეფორმატორებსა" და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას შორის დადებული ხელშეკრულების საპასუხო ნაბიჯს წარმოადგენდა.

ახალი კოალიციების შექმნის პროცესს ნეგატიურად აფასებენ აზერბაიჯანის ისეთი გავლენიანი ოპოზიციური ძალები როგორიცაა დემოკრატიული პარტია (ლიდერი რასულ გულიევი), პარტია „ადალიათი" (ილიას ისმაილოვი), ლიბერალური პარტია (ლალა შოვქეთი) და პროაზერბაიჯანული ძალების გაერთიანება.

ოპოზიციაში ლიდერობისთვის არსებული განხეთქილება ნათლად მიუთითებს, რომ ქმედითუნარიანი კოალიციის შექმნაც ნაკლებსავარაუდოა. თუმცა პარტიათა ლიდერების კომპრომისზე წასვლისა და საკუთარი ამბიციების დათმობის შემთხვევაში აზერბაიჯანის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში შესაძლოა მოხდეს ძალთა ბალანსის გადანაწილება.

აზერბაიჯანში კვლავ მთავარ პრობლემად რჩება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საკითხი. მიმდინარე პერიოდში ადგილი ჰქონდა სიტუაციის გამწვავებას ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, კერძოდ ზაქათალას რაიონში, სადაც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ეთნიკური ავარები შეადგენენ.

ბოლო პერიოდში აზერბაიჯანში შეიმჩნევა ავარული ნაციონალიზმის ზრდის ტენდენცია, რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

- დაღესტანში მოქმედი ავარული ნაციონალისტური ძალების გავლენით;
- ავართა რეაქციით აზერბაიჯანში თურქმანული ნაციონალიზმის ზრდაზე;
- ზაქათალას რაიონში მცხოვრები ავარული მოსახლეობის აზერბაიჯანის სხვა რაიონებთან შედარებით სოციალურ-ეკონომიკური დონის ჩამორჩენით.

ზაქათალას რაიონში სიტუაციის გამწვავება 2000 წლის ბოლოდან დაიწყო, ხოლო გასული წლის ივლის-აგვისტოში მაქსიმუმს მიაღწია. რაიონში მკვეთრად გაუარესდა კრიმინოგენური ვითარება, რამაც შესაძლოა ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური დესტაბილიზაციაც გამოიწვიოს.

აზერბაიჯანის სახელისუფლო სტრუქტურებში მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონში განხორციელებული დანაშაულებები გარკვეული ძალები ცდილობენ მოსახლეობის დაშინებას და სეპარატიზმის გაღვივებისთვის საფუძვლის შექმნას. კერძოდ, აღნიშნული ძალების მიზანს წარმოადგენს ზაქათალის და ბელაქანის რაიონების დაღესტნისთვის მიერთება.

ოფიციალური ბაქო რაიონში არსებული ვითარების გამამწვავე მიზეზად ვაჰაბიტების გააქტიურებულ მოღვაწეობას ასახელებს, რითაც ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს დაღესტნიდან ავარებისათვის შესაძლო, თუნდაც, არაპირდაპირი დახმარების გაწევის შესაძლებლობა.

სხვადასხვა ინფორმაციით ვითარების დასარეგულირებლად აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რაიონებში შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ზაქათალას რაიონულ ცენტრში ჯავშან-ტექნიკა და სპეცრაზმი შეიყვანა, რომლებიც ქალაქისა და მისი შემოგარენის ე.წ. „წმენდას" ახდენდნენ.

ნაკლებსავარაუდოა, რომ აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში მიმდინარე პროცესებმა ამ ეტაპზე ეროვნებათშორისი დაპირისპირების ფორმა მიიღოს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული მოვლენების განვითარება გარკვეულწილად დამოკიდებულია არსებულ შიდა და საგარეოპოლიტიკურსიტუაციაზე.

აზერბაიჯანის ხელისუფლების წინაშე კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, რომლის დარეგულირების პროცესიც კვლავ ჩიხში მოექცა და გარკვეულწილად საწყის სტადიაზე ბრუნდება.

ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მიერ კონფლიქტის რეგიონში განხორციელებული ვიზიტები ძირითადად „პროტოკოლურ" ხასიათს ატარებდა და მათ რაიმე კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია. ჯერჯერობით კონფლიქტში მონაწილე არცერთ მხარეს არ სურს კომპრომისზე წასვლა, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრა გაურკვეველი ვადითაა გადადებული, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს თვით მოლაპარაკებების გაგრძელების საკითხს.

სომხეთის მხარე აშკარად ცდილობს სიტუაციის გამწვავებას, რაც მოლაპარაკებებზე საკუთარი პოზიციების გამკაცრებით და პერიოდულად ფრონტის ხაზზე არსებული მდგომარეობის პროვოცირებით გამოიხატება. ამასთან, სომხეთში დაიწყო რესპუბლიკის ახალი სამხედრო დოქტრინის განხილვა, რომელშიც ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად განიხილება მთიანი ყარაბაღის დაცვის უზრუნველყოფის საკითხი.

თავის მხრივ, მთიანი ყარაბაღი უკვე დიდი ხანია ქმნის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტს. მისი ხელმძღვანელობა ცდილობს დამოუკიდებლად დაამყაროს საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები და მოიზიდოს უცხოელი ინვესტორები. მიუხედავად აზერბაიჯანის პრეზიდენტის და საგარეო უწყების მოთხოვნისა უცხოური კომპანიების მიმართ - არ მიიღონ მონაწილეობა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში, ამჟამად ყარაბაღში მოქმედებენ და თანამშრომლობის შესახებ აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ რუსეთის, აშშ-ს, კანადის, საფრანგეთის, იტალიის და რიგი სხვა სახელმწიფოების კომპანიები. მთიანი ყარაბაღის ხელმძღვანელობამ დაიწყო „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის" ტერიტორიაზე შესვლისთვის ვიზების გაცემა, რასაც სომხეთში მთიანი ყარაბაღის წარმომადგენლობა ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ მთიანი ყარაბაღის მუდმივი წარმომადგენლობა სომხეთის გარდა გახსნილია რუსეთის ფედერაციაში, აშშ-ში, საფრანგეთში და ახლო აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე როგორც აზერბაიჯანში, ასევე სომხეთში სულ უფრო იზრდება კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრის პროპაგანდა და საომარი მოქმედებების განახლების ალბათობა. თუ ადრე საომარი მოქმე-

დებების დაწყების შესახებ ძირითადად საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი საუბრობდა, ამჟამად მსგავსი განცხადებებით გამოდიან ოფიციალური ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. კონფლიქტის ძალოვანი გზით მოგვარების ახალი წინადადებით გამოვიდა აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების მინისტრი ნამიკ აბასოვი, რომელიც ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებას. როგორც აღნიშნავენ, ოპერაცია მიმართული იქნება მხოლოდ ყარაბაღელი სეპარატისტების წინააღმდეგ, რომლებიც დღეიურად აზერბაიჯანის მოქალაქეებს წარმოადგენენ. ზემოთქმულთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტში შემუშავებულ იქნა პროგრამა „ანტიტერორი", რომელიც მთიანი ყარაბაღის არმიის ტერორისტულ ორგანიზაციად საერთაშორისო აღიარებას და აქედან გამომდინარე აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებას ითვალისწინებს.

პარალელურად აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობა ცდილობს აშშ-ში განხორციელებული ტერაქტი საკუთარი ინტერესებისთვის, კერძოდ კი „სომხურ ტერორიზმთან" ბრძოლის მიზნით გამოიყენოს. ნაკლებსავარაუდოა, რომ დასავლეთმა აზერბაიჯანს ოპერაცია „ანტიტერორის" განხორციელებაში მხარი დაუჭიროს, ვინაიდან იგი ამიერკავკასიაში არსებულ (მ.შ. ყარაბაღის) კონფლიქტებს განიხილავს როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ეთნიკურ კონფლიქტებს. გარდა ამისა, ყარაბაღში ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყების შემთხვევაში ფაქტიურად განახლდება საომარი მოქმედებები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რაც სერიოზულ გავლენას იქონიებს საერთაშორისო ნავთობპროექტების განხორციელებაზე.

მოლაპარაკებების შედეგად, რომლებიც უკვე შვიდ წელზემეტია მიმდინარეობს, აზერბაიჯანმა ვერ მიაღწია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ხოლო სომხეთმა - ოკუპაციის შედეგების პოლიტიკურ განმტკიცებას. გარდა ამისა, ორივე მხარე დარწმუნებულია საკუთარი სამხედრო ძალის უპირატესობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, აზერბაიჯანშიც და სომხეთშიც გარკვეული წრეები ერთადერთ გამოსავალს „მოკლევადიანი საბრძოლო მოქმედებების წარმოებაში" ხედავენ. სამხედრო მოქმედებების განახლებით სომხეთი იმედოვნებს გააფართოოს ოკუპაციის ზონა, რათა აიძულოს აზერბაიჯანი დათმობებზე წავიდეს მოლაპარაკებების პროცესში, ხოლო აზერბაიჯანი - ძალისმიერი გზით აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა.

კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტაში გარკვეულწილად შესაძლოა დაინტერესებულნი იყვნენ ის გარე ძალებიც, რომლებიც ჩართულნი არიან რეგიონალურ პოლიტიკურ პროცესებში. კერძოდ, რუსეთი და ირანი აძლიერებენ რა სომხეთის შეიარაღებას და გარკვეულ პროვოცირებას უწევენ ომის განახლებას, მიზნად ისახავენ რეგიონიდან ინვესტორების (პირველ რიგში ნავთობის სფეროში) გადინებას და ამით ცდილობენ შეამცირონ დასავლეთის გავლენა, რომელიც ძირითადად ფინანსურ-ეკონომიკურ მექანიზმებზეა დამყარებული.

ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით საყურადღებოა ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში პენტაგონის მიერ გაკეთებული სპეციალური მოხსენება, რომელშიც ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსები ყარაბაღში მორიგი სამხედრო მოქმედებების დაწყების მაღალ ალბათობაზე მიუთითებენ. ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის ფრონტზე გამარჯვების შემთხვევაში, სომხეთი განახორციელებს ნახიჩევანის ოკუპაციის მცდელობას. მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში, ყარსის 1921 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, თურქეთი ვალდებული იქნება ჩაებას კონფლიქტში (აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით თურქეთი წარმოადგენს ნახიჩევანის სტატუსის გარანტს და ყველა შესაძლო მექანიზმით წინ უნდა აღუდგეს ავტონომიური რესპუბლიკის „მესამე მხარისთვის" - სომხეთისათვის გადაცემას). თავის მხრივ, მოსკოვს მოუწევს რეაგირება თურქეთის ძალისმიერ ქმედებებზე რუსეთის სტრატეგიული მოკავშირის მხარდასაჭერად, რომლის ტერიტორიაზეც დისლოცირებულია რუსეთის სამხედრო ბაზა.

ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო პროცესის ჩიხში მოქცევამ და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში შექმნილმა არასტაბილურმა ვითარებამ წინა პლანზე წამოსწია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საკითხი და თავდაცვის უწყებაში არსებული პრობლემები. ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები აზერბაიჯანის არმიაში არსებული კრიზისის მიზეზად, პირველ რიგში, თავდაცვის მინისტრის საფარ აბიევის არადამაკმაყოფილებელ საკადრო პოლიტიკას ასახელებდნენ და მოითხოვდნენ მის თანამდებობიდან გათავისუფლებას.

გასულ წელს მკვეთრად გამოიხატა არსებული დაპირისპირება აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ პირებს შორის. კერძოდ, თავდაცვის მინისტრ საფარ აბიევსა და გენერალური შტაბის უფროსს ნაჯმედინ სადიგოვს შორის, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ აბიევის არყოფნის დროს სამინისტროს ხელმძღვანელობს არა მინისტრის პირველი მოადგილე - გენერალური შტაბის უფროსი, არამედ მოადგილე კადრების დარგში ბეიდულაევი. გარდა ამისა ადგილი აქვს სამინისტროს იმ თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლებას, რომლებიც

ნაჯმედინ სადიგოვის გარემოცვიდან არიან. კერძოდ, თანამდებობა დატოვა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, ოპერატიული სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა ალექსანდრე ვასიუკმა. თუმცა, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნულ ფაქტს ვასიუკის ავადმყოფობით ხსნიან.

აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში კვლავ გადაუჭრელ საკითხად რჩება კორუფციის მაღალი დონის არსებობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში შედგა სპეციალური სხდომა, რომლის შედეგად სამსახურებრივი უფლებების ბოროტად გამოყენების მიზეზით, დატოვა თანამდებობა მინისტრის მოადგილემ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში გორხმაზ გარაევმა და სანივთე სამსახურის უფროსმა აზერ გურბანოვმა.

მიიჩნევა, რომ აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში არსებული ძირითადი პრობლემები გაჭიანურებული სამხედრო რეფორმის შედეგია. თუმცა, ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს უახლოეს მომავალში შეიარაღებულ ძალებზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, რომელსაც შეასრულებს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული დამთვლელი პალატა.

აზერბაიჯანში არსებული რეჟიმის მმართველობის პერიოდში დაგროვილმა საზოგადოებრივმა უკმაყოფილებამ ნებისმიერ მომენტში შესაძლოა იჩინოს თავი. აღნიშნული პერსპექტივის საფრთხე საკმაოდ რეალურია, რასაც ართულებს ის გარემოებაც, რომ აზერბაიჯანში არ არსებობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ხელისუფლების ცალკეულის დამარეგულირებელი კონკრეტული მექანიზმი.

სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ქვეყანაში დროებითი ეკონომიკური სტაბილურობა შეინიშნებოდა, ფაქტიურად რესპუბლიკის ეკონომიკა მთლიანად პარალიზებულია, გაჩერებულია ყველა ძირითადი საწარმო, გამონაკლისს ნავთობის მოპოვება და მასთან დაკავშირებული დარგები წარმოადგენენ, რომელთა წილი რესპუბლიკის ბიუჯეტში 75%-ს შეადგენს. მძიმე სიტუაციაა შექმნილი რესპუბლიკის ელექტრომომარაგების მხრივ. ალიევის ბრძანებულების საფუძველზე დაშლილი რესპუბლიკური მეურნეობების ადგილზე შექმნილი საფერმერო მეურნეობები დაუფინანსებლობისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მატერიალური ბაზის დეფიციტის გამო ფაქტიურად ბანკროტებად გამოცხადნენ.

ამასთან, ნავთობის მოპოვების ზრდის მიუხედავად ქვეყანაში კატასტროფულად ეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე. შეინიშნება ქვეყნიდან უცხოელ ინვესტორთა გადინება, რაც განპირობებულია რესპუბლიკაში კორუფციის მაღალი დონით და არსებული ბიუროკრატიით, არასრულყოფილი საბანკო და საკანონმდებლო სისტემების არსებობით. კერძოდ, აზერბაიჯანი დატოვა დიდი ბრიტანეთის დაახლოებით ასმა კომპანიამ და ასორმოცდაათმა თურქულმა ფირმამ. საერთაშორისო ორგანიზაციებმა მკვეთრად შეამცირეს ჰუმანიტარული დახმარებები, რაც ყველაზე მეტად შეეხო რაიონებს, რომელთა მოსახლეობა ძირითადად წარმოადგენს უკიდურესად გაჭირვებულ ფენას და ლტოლვილებს.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემებით აზერბაიჯანში, დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით, შეიმჩნევა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის ზრდა, რაც არ ასახავს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების რეალურ მდგომარეობას. რესპუბლიკაში საგრძნობლად გაიზარდა უმუშევრობის დონე, რაც აიძულებს მოსახლეობის დიდ ნაწილს დატოვოს ქვეყანა სამუშაოს შოვნის მიზნით. საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავეთა ხელფასი გაცილებით ნაკლებია ოფიციალურად დადგენილ საარსებო მინიმუმზე, რასაც თან ერთვის დეკემბრის თვეში სამომხმარებლო ფასების მკვეთრი ზრდა, ხოლო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, 2002 წლიდან გაუქმდება სოციალური შეღავათები.

ფასების ზრდა სამომხმარებლო საქონელზე პირველ რიგში გამოწვეულია ინფლაციით (ხელისუფლება ბრუნვაში არსებული ფულადი ნიშნების შემცირებით ხელოვნურად ახდენს ინფლაციის შეკავებას) და აშშ დოლარის კურსის მომატებით, აგრეთვე გაზრდილი გადასახადებით (ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად დამატებითი ღირებულების გადასახადი შეადგენს 18%-ს). უახლოეს მომავალში მოსალოდნელია დოლარის კურსის კიდევ გაზრდა (დაახლოებით 1 აშშ დოლარი - 4850 მანათი), რაც ასევე აისახება სამომხმარებლო საქონელის ფასებზე.

აზერბაიჯანის მილი მეჯლისმა დაამტკიცა 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 9 ტრლნ. 910 მლრდ. მანათს (დაახლოებით 1 მლრდ. 117 მლნ. აშშ დოლარს). მათ შორის:

- საშემოსავლო ნაწილი შეადგენს 4 ტრლნ. 780 მლრდ. მანათს (მშპ-ს 16,6%);
- ხარჯვითი ნაწილი - 5 ტრლნ. 130 მლრდ. მანათს (მშპ-ს 17,8%);
- დეფიციტი - 350 მლრდ. მანათს (მშპ-ს 1,2%).

2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიდან ყველაზე დიდი თანხა გამოიყო განათლების სფეროზე - 1 ტრილიონ მანათზე მეტი. გასავალის დიდი მოცულობა, აგრეთვე გათვალისწინებულია აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე - 761 მლრდ. მანათი, თავდაცვაზე - 608,6 მლრდ. მანათი (დაახლოებით 132 304 347 აშშ დოლარი), სოციალურ უზრუნველყოფაზე - 685 მლრდ. მანათი. მომავალი ბიუჯეტის მიხედვით

მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა შეადგენს 28,7 ტრლნ. მანათს. ეკონომიკური განვითარების მინისტრის ფარხად ალიევის განცხადებით, 2002 წელს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეადგენს 4775 მანათს.

სავარაუდოა, რომ აზერბაიჯანს 2002 წელს პირველად მოუწიოს სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის განხორციელება. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსება ძირითადად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რეალიზაციიდან შემოსული თანხების ხარჯზე ხდება. აშშ-ში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ, მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასების დაცემა შეიმჩნევა, კერძოდ, იგი მერყეობს ერთ ბარელზე 18-დან 20 აშშ დოლარის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ 2002 წლის აზერბაიჯანის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას საბაზრო ციფრად მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი 1 ბარელზე 21 აშშ დოლარი იქნა აღებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნავთობის მსოფლიო ფასებზე ამგვარმა დამოკიდებულებამ შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენოს მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონ-პროექტის განხილვისას უთანხმოება გამოიწვია სოციალური შეღავათების გაუქმებამ, მ.შ. იძულებით გადასახლებულ, ყარაბაღის ომის მონაწილეებსა და მათთან გათანაბრებულ პირთათვის, მაშინროდესაც 2001 წლის ბიუჯეტთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაცვის, განათლების და ჯანდაცვის სფეროების დაფინანსება.

შეღავათების გაუქმების წინააღმდეგ გამოვიდნენ პარლამენტის უმრავლესობის წევრებიც. მათი აზრით, ქვეყნის საზოგადოება შეღავათების ანულირებაზე პასუხისმგებლობას პარლამენტს დააკისრებს. ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ სოციალური შეღავათების გაუქმება ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო. კერძოდ, შეღავათები მოეხსნათ ისეთი სტრუქტურებისთვის როგორიცაა პოლიცია, პროკურატურა, საბაჟო სამსახური და სხვა.

ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპზე სოციალური შეღავათების გაუქმება ხელისუფლების მიერ გადადგმულ ერთ-ერთ გაუმართლებელ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, რასაც შესაძლოა არასასურველი შედეგები მოჰყვეს.

საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკურ კურსში პროდასავლური ორიენტაციის გარკვეულწილად შესუსტებამ და რუსული ვექტორის აშკარა გაძლიერებამ განაპირობა აშშ-ის მიერ საკუთარი პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერების მცდელობა აზერბაიჯანთან მიმართებაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით აზერბაიჯანი ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს აშშ-რუსეთის მეტოქეობის ფაქტორი საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

აზერბაიჯან-რუსეთს შორის ურთიერთობის გარკვეულწილად დარეგულირების ფონზე ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურებოდა აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის საფარ აბიევის ვიზიტი რუსეთში, სადაც იგი შეხვდა მის კოლეგას სერგეი ივანოვს. შეხვედრისას თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელებმა განიხილეს სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოების, კერძოდ, აზერბაიჯანის არმიის შეიარაღებაში არსებული სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაციასა და უტილიზაციაში რუსეთის სამხედრო სპეციალისტების მონაწილეობის საკითხები. მოლაპარაკებისას ასევე განიხილეს აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურეების რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში მომზადების შესაძლებლობა. საფარ აბიევი და სერგეი ივანოვი შეთანხმდნენ აზერბაიჯანის მიერ რუსული გამანადგურებლების (ტიპი უცნობია) შესყიდვის თაობაზე. შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებს აზერბაიჯანის შეიარაღებაში არსებული საბჭოთა იარაღის შეკეთებას რუსეთის ქარხნებში, კერძოდ კი აეროდრომ „ნასოსნი"-ზე ბაზირებული МиГ-25 ტიპის თვითმფრინავების მოდერნიზაციას.

გასული წლის სექტემბრის თვეში აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება აზერბაიჯანის სრულფასოვანი და ბრძოლისუნარიანი ეროვნული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების ჩამოყალიბებაში რუსი სამხედრო სპეციალისტების და ინჟინრების მონაწილეობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანს არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად აღადგინოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა რიგი პრობლემების გამო. კერძოდ, აზერბაიჯანს არ გააჩნია ეფექტური ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნისათვის აუცილებელი კომპონენტები (შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა), სასწავლო ცენტრები და პოლიგონები, აგრეთვე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტის გამო ვერ აკომპლექტებს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებს ეროვნული კადრებით.

სავარაუდოა, რომ აზერბაიჯანის მხრიდან რუსეთთან აღნიშნული საკითხის განხილვა გარკვეულწილად განპირობებულია ირანის მიერ აზერბაიჯანის საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებით. თავის მხრივ რუსეთი (მიუხედავად რუსეთსა და ირანს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობისა სამხედრო სფეროში) მომხრეა, რომ კასპიისპირა ქვეყნებს შეიარაღებაში გააჩნდეთ თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები, როგორც შესაძლო სამხედრო კონფლიქტის შემაკავებელი საშუალება. ამასთან, რუსეთი იმედოვნებს, რომ აღნიშნული ძალები აღჭურვილი იქნება რუსული წარმოების ტექნიკით და მათ ჩამოყალიბებაში წამყვან ადგილს რუსეთის ფედერაციის სამხედრო სპეციალისტები დაიკავებენ.

2002 წლიდან აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის მოსალოდნელია ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება. ამასთან, მიმდინარეობს 2002-2012 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ახალი ხელშეკრულების მომზადება, რომელიც მოიცავს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების, ორ ქვეყანას შორის მდ. სამურის გასწვრივ საზღვრების დელიმიტაციის, რუსეთის ფედერაციის შიდა წყლებში მიმოსვლასთან დაკავშირებული პრობლემების, რუსეთის მიერ აზერბაიჯანისთვის სადაო ტექნიკური ქონების დაბრუნების (ამჟამად ასტრახანის პორტში იმყოფება აზერბაიჯანის კუთვნილი კვლევითი გემი „ისპოლინი" და სხვა აღჭურვილობა) საკითხებს. ასევე, განიხილება აზერბაიჯანული ნავთობის ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით ტრანსპორტირების საკითხი. აღნიშნული შეთანხმების მოქმედების ვადა 2002 წელს იწურება. აქედან გამომდინარე, რუსეთი დაინტერესებულია არსებული შეთანხმების გაგრძელებითა და გადასაზიდი ნავთობის მოცულობის 2,5 მლნ. ტონიდან 5 მლნ. ტონამდე გაზრდით.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანისა და რუსეთის ოფიციალური პირები უარყოფენ უკანასკნელ პერიოდში ორ ქვეყანას შორის სატბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში თანამშრომლობის საკითხის განხილვას, გავრცელებული ინფორმაციით აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება აზერბაიჯანის მიერ რუსეთიდან ელექტროენერგიის შესყიდვის და აზერბაიჯანის ზოგიერთ ენერგოპროექტში რუსეთის ინვესტორების მონაწილეობის შესახებ.

აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ერთ-ერთ მოუგვარებელ საკითხად კვლავ გაბალინის რადიოლოკაციური სადგურის სტატუსის და იჯარის ვადების შეუთანხმებლობა რჩება. რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი მხარს უჭერს რადიოლოკაციური სადგურის გრძელვადიან (ოცწლიან) იჯარას, ხოლო ბაქო სადგურის მხოლოდ სამ წლიანი იჯარით გაცემას თანხმდება. აღნიშნული გარემოება საბაბს იძლევა ვივარაუდოთ, რომ სწორედ გაბალინის რადიოლოკაციურ სადგურთან დაკავშირებით მხარეებს შორის კომპრომისის მიუღწევლობის გამო გადაიდო ნოემბრში დაგეგმილი აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ვიზიტი მოსკოვში.

გასულ წელს კვლავ წინა პლანზე იდგა ორ ქვეყანას შორის მდ. სამურის წყლების გაყოფის პრობლემა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის დავა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. რუსეთის მხარე მომხრეა წყლების პრინციპით „50/50"-ზე გაყოფის, ხოლო აზერბაიჯანი მოითხოვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩარჩოებში 1967 წელს ხელმოწერილი შეთანხმების პირობების შესრულებას, რომლის თანახმად მდ. სამურის წყლების 75% აზერბაიჯანს ეკუთვნის, ხოლო 25% - რუსეთს. ნაკლებადსავარაუდოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბაქო დათმობაზე წავიდეს, ვინაიდან მდ. სამურის საშუალებით ხდება ჯეირანბათანის წყალსაცავის შევსება, რომელიც სუმგაითისა და ნაწილობრივ ბაქოს სასმელი წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბორის გრიზლოვის ვიზიტი აზერბაიჯანში, რომლის დროსაც განხილულ იქნა აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ურთიერთკოორდინირებული მოქმედების, ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის, კასპიის ზღვის ბიორესურსების დაცვისთვის ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების საკითხები. გრიზლოვის განცხადების თანახმად, რუსეთის მხარემ შესაძლოა განიხილოს აზერბაიჯანისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის საკითხი, თუ ოფიციალური ბაქო გადაწყვეტს მთიან ყარაბაღში „ანტიტერორისტული ოპერაციის" ჩატარებას. უკანასკნელ პერიოდამდე რუსეთის ოფიციალური პირები უარყოფდნენ ყარაბაღში როგორც სეპარატიზმის, ასევე ტერორიზმის არსებობას და მოსკოვი მოუწოდებდა აზერბაიჯანს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისაკენ, რაც წარმოადგენდა რუსეთის ერთმნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას სომხეთისა და მთიანი ყარაბაღისათვის. ზემოაღნიშნული განცხადება კი შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც გარკვეული ცვლილება რუსეთის პოზიციაში, რაც სანაცვლოდ აზერბაიჯანისაგან გარკვეულ დათმობებს მოითხოვდა. აღნიშნული დადასტურდა გრიზლოვის აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრისას. რუსეთმა აზერბაიჯანისგან მოითხოვა ჩეჩნეთიდან ლტოლვილების მიღება შეეწყვიტათ, ხოლო ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი ლტოლვილები რუსეთისათვის გადაეცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის მხარემ მიზანშეწონილად მიიჩნია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა საზღვრების ერთობლივი კონტროლის საკითხში.

რუსეთის მხრიდან აზერბაიჯანის უფლების შესაძლოა აღიარება მთიან ყარაბაღში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაზე სამხრეთ კავკასიაში მოსკოვის პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებას წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ რუსეთის პოლიტიკის ამგვარი ცვლილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოწვეულია რეგიონში აშშ-ის აქტივიზაციით და თავისუფლების მხარდამჭერი აქტის 907-ე შესწორების დროებით შეჩერებით.

907-ე შესწორება აშშ-ის მთავრობას უკრძალავდა აზერბაიჯანის მთავრობისათვის პირდა-

პირი დახმარების გაწევას. სენატში აღნიშნული შესწორების გაუქმების განხილვა ფაქტიურად წინააღმდეგობის გარეშე მიმდინარეობდა. საბოლოო ვერდიქტი ბუშის ადმინისტრაციის ზეწოლის ქვეშ იქნა მიღებული, რომელიც საკუთარ პოზიციას ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციაში ბაქოს ჩართვით ხსნიდა. ამასთან, პროსომხურად განწყობილ სენატორებს უკვე ამოწურული ჰქონდათ დოკუმენტში ცვლილებათა შეტანის ლიმიტი. 907-ე შესწორების გაუქმების შედეგად აზერბაიჯანი ფინანსურ დახმარებას 2002 წლის ოქტომბრიდან მიიღებს. მანამდე კი აშშ-ის პრეზიდენტს უფლება აქვს აზერბაიჯანს გაუწიოს ერთჯერადი დახმარებები.

აშშ-ის კონგრესის შემთანხმებელი კომისიის გადაწყვეტილებით აზერბაიჯანს ეკრძალება გამოყოფილი ფინანსური დახმარების გამოიყენება სომხეთისა და კავკასიაში არსებული სომხური სათვისტომოების წინააღმდეგ. ამასთან, სომხური მხარე ამერიკელი კანონმდებლებისგან მოითხოვდა პუნქტის მიღებას, რომელიც აზერბაიჯანს აუკრძალავდა ამერიკული დახმარების მთიანი ყარაბაღის წინააღმდეგ გამოყენებას, რის წინააღმდეგაც გამოვიდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც აღიარებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და ამერიკულ კანონებში არ განიხილავს მთიან ყარაბაღს ცალკე ერთეულად. მიღებული ფორმულირება - „კავკასიაში სომხური სათვისტომოები", ერთგვარი კომპრომისი გახდა.

907-ე შესწორების დროებით შეჩერების განხილვის პარალელურად აშშ-ში მოქმედმა სომხურმა ორგანიზაციებმა და ლობიმ გააძლიერეს ანტიაზერბაიჯანული პროპაგანდა. პროსომხურად განწყობილი (სომხური ლობის ერთ-ერთი წარმომადგენელი) კონგრესმენი ჯოზეფ კროული აშშ-ის კონგრესის საფინანსო სამსახურის კომიტეტის სხდომაზე ნავთობსადენის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობისთვის დაფინანსების შეწყვეტის წინადადებით გამოვიდა. კონგრესმენის არგუმენტაცია ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ სომხეთის ტერიტორიის შემოვლით მილსადენის მშენებლობა 600 მლნ. დოლარით ძვირი ჯდება. ნაკლებსავარაუდოა, რომ კონგრესმა მიიღოს კროულის წინადადება, რამდენადაც ზემოაღნიშნული პროექტი წარმოადგენს ერთ-ერთ ასპექტს, რომელიც უზრუნველყოფს აშშ-ის გავლენას სამხრეთ კავკასიაში. ამასთან, აშშ-ს მოუწევს საკუთარი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების გადასინჯვა თურქეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და კასპიისპირა ქვეყნების მიმართებაში.

აზერბაიჯანი გარკვეულწილად ჩაერთო ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაციაში. ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელებისათვის ვაშინგტონს, თურქეთსა და ბაქოს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება აზერბაიჯანში სამხედრო-საჰაერო ბაზის და რესპუბლიკის საჰაერო ძალების ინფრასტრუქტურის გამოყენების შესახებ. აღნიშნული შეთანხმების პირველ ეტაპზე მოხდება აზერბაიჯანის სამხედრო აერორომების ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ანტითალიბურ ოპერაციაში აზერბაიჯანის უშუალო ჩართვასთან და ბაქოში სამხედრო-საჰაერო კონტინგენტის განთავსებასთან დაკავშირებით ქვეყანაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. პროდასავლურად განწყობილი ძალები მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანში ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზის ფუნქციონირება რეგიონალური სტაბილურობის ფაქტორი და აზერბაიჯანის უსაფრთხოების და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტი გახდება. მათი აზრით, სამხრეთ კავკასიაში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის არსებობა რეგიონში რუსეთის გავლენის შემცირებას გამოიწვევს, ხოლო საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელშიც ძალოვანი სტრუქტურების ზოგიერთი წარმომადგენელიც იგულისხმება, აშშ-ს სამხედრო ბაზის განლაგების წინააღმდეგი გამოდის, რასაც შედეგად შესაძლოა რუსეთთან უკანასკნელ პერიოდში დაბალანსებული ურთიერთობის გაუარესება მოჰყვეს.

ოფიციალურ დონეზე აზერბაიჯანი და თურქეთი კვლავ სტრატეგიულ პარტნიორებად რჩებიან, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მათ ურთიერთობაში გარკვეული პრობლემებიც შეინიშნება. თურქეთის მხარე უკმაყოფილებას გამოთქვამს აზერბაიჯანში თურქული ბიზნესის განვითარებისათვის საგადასახადო და სატრანსპორტო მიმოსვლის სფეროებში არსებული არახელსაყრელი პირობების გამო. არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის მოხსნა. თავის მხრივ, აზერბაიჯანის მხარე უკმაყოფილოა ჟენევაში თურქულ-სომხური „შემრიგებლური კომისიის" შექმნით და უკანასკნელ პერიოდში თურქ და სომეხ ბიზნესმენებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებით.

სახელმწიფო დონეზე თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის მიუხედავად, აზერბაიჯანის მხარე წინააღმდეგია იმ ქმედებებისა, რომელიც მიმართულია ორ ერს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ. ერთი მხრივ, აღნიშნული კომისიის შექმნა, რომელიც გამოიწვევს ანტითურქმანული განწყობის შემცირებას, ხელსაყრელია აზერბაიჯანისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებამდე თურქ და სომეხ საქმიან წრეებს შორის კავშირების დამყარებით აზრს კარგავს აზერბაიჯანის და თურქეთის მხრიდან განხორციელებული ეკონომიკური ბლოკადა, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ყარაბაღის დარეგულირების საკითხზე მოლაპარაკებების

შედეგებზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ოფიციალური ანკარას პოზიცია აზერბაიჯანის, როგორც სტრატეგიული პარტნიორის მიმართ უცვლელი რჩება. აღსანიშნავია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ისმაილ ჯემის ვიზიტი ბაქოში. აღნიშნული ვიზიტის შედეგების კომენტარისაგან თავს იკავებენ ორივე ქვეყნის ოფიციალური პირები. ისმაილ ჯემთან ერთად აზერბაიჯანს ეწვია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩევლის მოადგილე საგარეო პოლიტიკის საკითხებში ითიგ ალპოგანი და აღნიშნული უწყების მაკოორდინირებელი მრჩევლის მოადგილე ავღანეთში აიდემირ ერმანი. აღსანიშნავია, რომ ალპოგანის ვიზიტი აზერბაიჯანში პირველი არ არის. რამოდენიმე თვის წინ, თურქი დიპლომატი იმყოფებოდა ბაქოში, სადაც იგი შეხვდა პრეზიდენტ ალიევს. დღემდე, არც აზერბაიჯანის და არც თურქეთის მხარე აღნიშნული ვიზიტის დეტალებს არ აქვეყნებენ.

2001 წელს თურქეთი კვლავ აქტიურად თანამშრომლობდა აზერბაიჯანთან სამხედრო-ტექნიკურ სფეროში. თურქეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო უწყების ხელმძღვანელებს შორის მომზადდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად თურქეთი მოახდენს აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მოდერნიზებას და აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურეების თურქეთის სამხედრო სასწავლებლებში მომზადებას. ასევე, ორ ქვეყანას შორის განიხილება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქეთის სამხედრო ბაზების შესაძლო განლაგების საკითხი.

ამასთან, თურქეთის პოლიტიკური წრეების გარკვეული ნაწილი ყარაბაღში შესაძლო „ანტიტერორისტული ოპერაციის" განხორციელებისა და მასში თურქეთის მხარის მონაწილეობის მომხრეა, თუ აზერბაიჯანის მხარე დაამტკიცებს სომხეთის და მთიანი ყარაბაღის კავშირს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განხორციელებულ ტერაქტებთან. თუმცა ნაკლებსავარაუდოა, რომ აზერბაიჯანის მიერ „ანტიტერორისტული ოპერაციის" დაწყების შემთხვევაში თურქეთი ღიად ჩაერთოს აღნიშნულ კამპანიაში, ვინაიდან ამ შემთხვევაში თურქეთს ფაქტიურად რუსეთთან მოუწევს დაპირისპირება (როგორც ცნობილია, სომხეთში დისლოცირებული რუსეთის 102-ე დივიზია ყარაბაღის არმიის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს).

იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი რეგიონში აშშ-ის ინტერესების გამტარებელ სახელმწიფოდაა მიჩნეული, ხოლო აშშ-მა აზერბაიჯანი ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის წარმოებაში ერთ-ერთ პარტნიორად დაასახელა, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის მოსალოდნელია სამხედრო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება.

აზერბაიჯანის და ირანის ოფიციალური პირების მცდელობა, აღადგინონ კეთილმეზობლური ურთიერთობა და შეძლებისდაგვარად გაანეიტრალონ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული მდგომარეობა, ჯერჯერობით უშედეგოდ დასრულდა. ივლისში ირანის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ აზერბაიჯანის საჰაერო და საზღვაო სივრცის დარღვევის ფაქტებმა უკიდურესად გაამწვავა უკანასკნელ პერიოდში ისედაც დაძაბული ურთიერთობა. ირანის მხარემ ულტიმატური ფორმით მოითხოვა, რომ აზერბაიჯანის კვლევით გემებს, რომლებიც სამუშაოებს ატარებდნენ სანავთობო სტრუქტურა „ალოვი"-ს რაიონში (ბაქოდან 150 კმ-ის დაშორებით), დაეტოვებინათ აღნიშნული ზონა. ირანი კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრამდე უკანონოდ მიიჩნევს აზერბაიჯანის მხრიდან აღნიშნულ ზონაში საძიებო სამუშაოების ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ ინციდენტმა ნეგატიური გავლენა იქონია არა მარტო აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობაზე, არამედ გარკვეულწილად აზერბაიჯანის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც - დასავლეთის ნავთობკომპანიებმა შესაძლოა შეაჩერონ სამუშაოები იმ სტრუქტურებში, რომელზედაც ირანი აცხადებს პრეტენზიებს (ბრიტანულ-ამერიკულმა ნავთობკომპანია „British Petrolium"-მა უკვე შეაჩერა საძიებო სამუშაოები). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მხარეები ცდილობდნენ სიმშვიდე შეენარჩუნებინათ, მომხდარმა ინციდენტმა კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით წამოსწია წინა პლანზე ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობაში არსებული პრობლემები.

აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ აზერბაიჯანში იკრძალება ირანული წიგნები (ირანის პრესის მიხედვით), კერძოდ აზერბაიჯანის ხელისუფლების ბრძანებით ნახიჩევანში გაყიდვიდან ამოღებულ იქნა ირანში გამოცემული ლიტერატურა. გარდა ამისა, თეირანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ნახიჩევანში ირანის მოქალაქის დაპატიმრების გამო, რომელსაც ბრალი ედებოდა ჯაშუშობაში და ძირგამომთხრელ საქმიანობაში რელიგიურ-საგანმანათლებლო საფარით. აღნიშნულს არ უარყოფს აზერბაიჯანის მხარე და ყოველივეს აზერბაიჯანში რადიკალური ისლამის გავრცელების საშიშროებით ხსნის, რაშიც გარკვეულწილად ირანსაც ადანაშაულებს.

აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად რჩება ირანის პროსომხური განწყობა ყარაბაღის კონფლიქტში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო შუამავლები (აშშ, საფრანგეთი, რუსეთი) ცდილობენ ირანის ჩართვას ყარაბაღის კონფლიქტის სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესში, რაც გამოწვეულია თითოეული მათგანის ინტერესებით რეგიონში. კერძოდ, რუსეთს ირანი ესაჭიროება როგორც „ანტიდასავლური

ელემენტი", საფრანგეთი დაინტერესებულია ირანის ენერგორესურსებით, ხოლო აშშ ირანს განიხილავს, როგორც სამშვიდობო პროცესში თურქეთის ჩართვის ერთ-ერთ საშუალებას.

ზემოაღნიშნულის პარალელურად აზერბაიჯანი ცდილობდა გაენეიტრალებინა ირანთან არსებული დაძაბული ურთიერთობა. აზერბაიჯანის უშიშროების მინისტრის ნამიკ აბასოვის ირანში ვიზიტისას დაიგეგმა თანამშრომლობის პერსპექტივები ორი ქვეყნის უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურებს შორის. ამ მხრივ საყურადღებოა მისი შეხვედრა ირანის უშიშროების სამსახურის „ეთელაათ"-ის უფროსთან ალი იუნისისთან. „ეთელაათ"-ის ერთ-ერთი ფუნქციაა საზღვარგარეთ მყოფი ირანელი დისიდენტების წინააღმდეგ ბრძოლა. ამჟამად აზერბაიჯანში იმყოფება ირანელი დისიდენტების დიდი რაოდენობა, რომლებიც ერთიანი აზერბაიჯანის მომხრენი არიან და მათ უმრავლესობას არ გააჩნია პოლიტემიგრანტის ლეგალური სტატუსი. სავარაუდოდ აბასოვის და იუნისის შეხვედრისას ერთ-ერთ განსახილველ საკითხს სწორედ ირანელი ემიგრანტების ირანისთვის გადაცემა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქმედი ანტიირანული მიმართულების ორგანიზაციების (მსოფლიო აზერბაიჯანელთა უფლებათა დაცვის კომიტეტი, სამხრეთ აზერბაიჯანის ღია საზოგადოება, გაერთიანებული აზერბაიჯანის ორგანიზაცია, ორგანიზაცია „21 აზერი" და სამხრეთ აზერბაიჯანის პარლამენტი) დახურვა წარმოადგენდა. ბაქოსა და თეირანს შორის აღნიშნულ საკითხთან შეთანხმების მიღწევისას, შესაძლოა ირანმა თანხმობა განაცხადოს მახირ ჯავადოვის (ბრალი ედება აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში) აზერბაიჯანისათვის გადაცემაზე.

ამავე დროს კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ვიზიტი ირანში. პრეზიდენტის აპარატი ალიევის ვიზიტის გადადების მიზეზად აშშ-ში განხორციელებული ტერაქტს და ირანში ალიევსა და ხათამს შორის ხელმოსაწერი დოკუმენტების პაკეტის არასრულყოფილად დამუშავებას ასახელებს. აღნიშნულის მიუხედავად, აზერბაიჯანსა და ირანს შორის უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები თავიდანვე ნაკლებსავარაუდოს ხდიდა ალიევის ვიზიტს თეირანში, თუმცა შესაძლოა მას გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეეტანა აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ დონეზე აზერბაიჯანი და საქართველო კვლავ სტრატეგიული პარტნიორები რჩებიან, უკანასკნელ პერიოდში ორი ქვეყნის ურთიერთობაში გარკვეული პრობლემები შეინიშნებოდა. აზერბაიჯანში აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის განხილვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რესპუბლიკაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნებოდა. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გარკვეული ძალების გავლენით ხდება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ხელოვნური დაძაბვა, ხოლო მეორე ნაწილი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს აღიქვამს როგორც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მიზანმიმართულ დისკრიმინაციას (აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე მომხდარი ტრაგიკული ინციდენტი და ბოლნისის რაიონის სოფელ კოლაგირში ქართველი სამართალდამცავების უკანონო მოქმედებები). საქართველოს აზერბაიჯანულ დიასპორას მჭიდრო კავშირი გააჩნია აზერბაიჯანის ოპოზიციურ პარტია სახალხო ფრონტის „კლასიკოსების", ფრთასთან. კერძოდ, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში არაოფიციალურად რამდენჯერმე იმყოფებოდა აღნიშნული პარტიის წარმომადგენელი, აზერბაიჯანის მილი მეჯლისის დეპუტატი - ზალიმხან მამედლი (იგი დაბადებულია საქართველოში). ზ. მამედლის აზრით, საქართველოში აზერბაიჯანელთა მიმართ ტარდება შოვინისტური პოლიტიკა.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების პრობლემების განხილვას მიეძღვნა პარტია სახალხო ფრონტის „კლასიკოსების", ფრთის მიერ ბაქოში ორგანიზებული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანის პოლიტიკური მოღვაწეები, ექსპერტები და საქართველოში აზერბაიჯანელთა სახალხო მოძრაობა „გეირათ"-ის (ლიდერი ალიბალა ასკეროვი) წარმომადგენლები. კონფერენციის მსვლელობისას ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა უფლებების უხეში დარღვევები და მათ მიმართ შოვინისტური პოლიტიკა სულ უფრო მზარდ ხასიათს ღებულობს. კერძოდ, აღინიშნა, რომ საქართველოში ღიად მიმდინარეობს აზერბაიჯანელთა დეპორტაციის პროპაგანდა, აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში მცირდება ან იხურება აზერბაიჯანული სკოლები, ირღვევა მათი ქონებრივი უფლებები, თვით მათი კომპაქტურად დასახლების რაიონულ (ბოლნისი და დამანისი) ცენტრებში სახელმწიფო დაწესებულებებში არ ხდება აზერბაიჯანული ეროვნების წარმომადგენლების დასაქმება და საქართველოში აზერბაიჯანელებს მხოლოდ როგორც სამუშაო ძალას ისე აღიქვამენ. საქართველოდან ჩასულმა დელეგაციამ აღნიშნა, რომ პრობლემების მოუგვარებლობამ შესაძლოა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვიოს.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი პოზიცია გარკვეულ გავლენას ახდენს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებზეც. მარნეულის, ბოლნისის, დმანისის და სხვა რაიონების აზერბაიჯანული მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში მიმდინარეობს ანტიქართული პროპაგანდა (ქვემო ქართლის როგორც აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილის განხილვა). რეგიონის მოსახლეობაში ვრცელდება ჟურნალი „მოლა ნასრედინი", რომელშიც ქვეყნდება ანტიქართული წერილები და ტენდენციური სტატიები (მთავარი რედაქტორი აზიმ ისმაილბეილი). საყურადღებოა, რომ ჟურნალი „მოლა ნასრედინი" ასევე ვრცელდება აზერბაიჯანში. აზიმ ისმაილბეილი მოუწოდებს აზერბაიჯანის პოლიტიკურ ძალებს ხელი შეუწყონ აზერბაიჯანელების ჩამოსახლებას ბორჩალოს ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი სტუდენტების ნაწილი მხარს უჭერს აზიმ ისმაილბეილის მიერ გავრცელებულ იდეებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა შესაძლოა ნეგატიური ასახვა ჰპოვოს როგორც საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობაზე, ასევე გარკვეულწილად გამოიწვიოს სიტუაციის დაძაბვა აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. აზერბაიჯანის ოფიციალური სტრუქტურების დამოკიდებულება აღნიშნული პროცესებისადმი ნეგატიურია, თუმცა აზერბაიჯანში არსებობენ გარკვეული ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ანტიქართული ტენდენციების გაძლიერებით.

ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაცია აზერბაიჯანისთვის ხელსაყრელი საბაბი გახდა, რათა გაეფართოვებინა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა არატრადიციულ პარტნიორებთან და მიმდინარე პროცესები საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინა.

გასულ წელს გაღრმავდა ურთიერთობა აზერბაიჯანსა და ისრაელს შორის. მიღწეულ იქნა შეთანხმება თელ-ავივში აზერბაიჯანის საელჩოს გახსნის შესახებ, რომელიც 2002 წელს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ვილაიათ გულიევის ისრაელში ვიზიტის ფარგლებში განხორციელდება.

ნიშანდობლივია, რომ „თავისუფლების მხარდამჭერი აქტის" 907-ე შესწორების სრულად გაუქმების მიმართულებით აქტიურ პროპაგანდას ეწევიან აშშ-ში მოქმედი ებრაული ორგანიზაციები, რომლებიც საკუთარ პოზიციას ხსნიან ბაქოსა და თელ-ავივს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობით, აზერბაიჯანის სურვილით განავითაროს ეკონომიკური კავშირები ისრაელთან და ირანის მიერ აზერბაიჯანზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებით.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯან-ისრაელის კავშირში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანკარას. ისრაელმა თანხმობა განაცხადა მის მიერ წარმოებული სამხედრო პროდუქციის, თურქეთში აწყობის შემდეგ, რეალიზაცია მოხდეს ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. გავრცელებული ინფორმაციით, ანკარაში გაიმართა მოლაპარაკება ისრაელისა და აზერბაიჯანის სამხედრო უწყებებს შორის, რომლის დროსაც მიღწეულ იქნა შეთანხმება აზერბაიჯანის მიერ ისრაელისგან სამხედრო ტექნიკის შესყიდვის თაობაზე. ნიშანდობლივია, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეარცერთი მხარე არ აქვეყნებს ინფორმაციას ზემოხსენებული შეხვედრის შედეგების შესახებ.

საყურადღებოა, რომ თელ-ავივი-ანკარა-ბაქო ღერძის შესაძლო ფორმირების შესახებ ვარაუდი ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გამოითქვა, თუმცა აღნიშნული მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები კასპიის ზღვის გაყოფასთან დაკავშირებით აზერბაიჯან-ირანის ურთიერთობის მნიშვნელოვნად გამწვავების შემდეგ იქნა განხორციელებული. აღნიშნულ პერიოდამდე ბაქო ცდილობდა ყურადღება არ გაემახვილებინა ისრაელთან დაახლოების მისწრაფებაზე, რათა მუსლიმური ქვეყნების ნეგატიური რეაქცია არ გამოწვია. ამ შემთხვევაში აზერბაიჯანი რისკის ქვეშ აყენებდა ისლამური სახელმწიფოების ორგანიზაციის მიერ აზერბაიჯანისთვის გაწეულ მხარდაჭერას ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მსგავსი საფრთხე დღესაც აქტუალური რჩება აზერბაიჯანული დიპლომატიისთვის.

სამხედრო თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის სამხედრო პოტენციალი აღემატება ოფიციალურად დეკლარირებულს და მნიშვნელოვნად აჭარბებს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქვოტებს, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალებში არსებული მოძველებული სამხედრო ტექნიკა, სუსტი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, კადრების მომზადების დაბალი დონე, ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი, აგრეთვე უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში შესაძლო არასტაბილური მდგომარეობის წარმოქმნის საფრთხე და დაძაბული ურთიერთობა სომხეთთან, თურქმენეთთან და ირანთან აიძულებს ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გააფართოოს სამხედრო ურთიერთობები როგორც ტრადიციულად სტრატეგიულ პარტნიორებთან, ასევე დაამყაროს ახალი კავშირები.

თურქეთს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, სამოქალაქო თავდაცვითი სისტემის შექმნაში, აზერბაიჯანის საზღვრების დაცვაში და ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვედანაყოფების მომზადებაში. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროსა და თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება სამხედრო მრეწველობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ორ ქვეყანას შორის მომზადდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად თურქეთი აზერბაიჯანს სამხედრო დახმარებას გაუწევს, კერძოდ, მოახდენს აზერბაიჯანის შეიარაღებული

ძალების მოდერნიზირებას. თურქეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქეთის სამხედრო ბაზების შესაძლო განლაგების საკითხს.

როგორც ცნობილია, თურქეთმა დაიწყო საკუთარი შეიარაღებული ძალების მასშტაბური მოდერნიზაციის პროცესი, რომელიც 30 წლის განმავლობაში გაგრძელდება. პროგრამის განხორციელებისას წინა პლანზე წამოიწევს მოძველებული შეიარაღებისა და აღჭურვილობის უტილიზაციის პრობლემა. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტექნიკის გარკვეული ნაწილი შეღავათიანი პირობებით გადაეცეს აზერბაიჯანს.

თურქეთის მეშვეობით აზერბაიჯანი ცდილობს გააფართოვოს ურთიერთობა ნატო-სთან. მიმდინარე ეტაპზე ნატო-ს სპეციალისტები აზერბაიჯანს დახმარებას უწევენ თავდაცვითი დაგეგმარებისა და შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაში, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში და სამხედრო კადრების მომზადებაში, სამოქალაქო თავდაცვის სისტემის შექმნაში, სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების მომზადებაში. ასევე აქტიურად მიმდინარეობს სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის გაცვლა და პოლიტიკური კონსულტაციები. ნატო-ს წევრი ქვეყნები ჩართულნი არიან აზერბაიჯანის საზღვრის, მ.შ. საჰაერო სივრცის, დაცვის საკითხში, რაც ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდებით და მესაზღვრეთა კვალიფიცირებული კადრების მომზადებით გამოიხატება.

საკმაოდ აქტიურად ვითარდება აზერბაიჯან-ნატო-ს თანამშრომლობა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ჩარჩოებში (1994 წლიდან). აღნიშნულ თანამშრომლობას აზერბაიჯანის მხარე განიხილავს როგორც ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ფორმირების საწყის ეტაპს, რომლის დროსაც ძირითად დასაყრდენს დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური გარანტიების მიღება და ნატო-ს უსაფრთხოების სისტემაში შესაძლო უფრო მჭიდრო ინტეგრაცია წარმოადგენს.

აზერბაიჯანი საკმაოდ წარმატებულად ავითარებს სამხედრო, სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობას ისეთ ქვეყნებთან როგორიცაა უკრაინა, ლატვია, რუმინეთი, პაკისტანი და ისრაელი. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ინფორმაციით ისრაელსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამხედრო ტექნიკისა და იარაღის, მ.შ. 100 ერთეული „მერკავ"-ის ტიპის საბრძოლო ტანკის და 30 ერთეული სამხედრო თვითმფრინავის, შესყიდვის შესახებ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორივე მხარე უარყოფს მ.შ. სამხედრო-სავაჭრო კავშირების არსებობას.

თურქეთის რესპუბლიკა

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. გასულ წელს მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე, კერძოდ, აშშ-ის მიერ ავღანეთის ტერიტორიაზე დაწყებული ანტიტერორისტული ღონისძიების მსვლელობისას, გაიზარდა თურქეთის როლი, როგორც სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ასევე გარკვეულწილად ავღანეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმირებაში. აშშ-ის აზრით თანამედროვე, მაგრამ ისლამურ თურქეთს აქვს უნარი გარკვეულწილად დაამყაროს საკუთარი გავლენა ისლამური სამყაროს ნაწილზე, მათ შორის ავღანეთზეც. ამ იდეამ, რომელმაც ყურადღება დაიმსახურა თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან, აქტიურად დაიწყო განვითარება თურქეთის საზოგადოებაშიც.

ანტიტერორისტული ოპერაციის მსვლელობისას აშშ-ის მთავრობამ ოფიციალურად მიმართა თურქეთის სახელმწიფოს დახმარება აღმოეჩინა მისთვის ავღანეთში საბრძოლო მოქმედებების წარმოების პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით თურქეთის მინისტრთა საბჭოში გამართულ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ავღანეთში სპეციალური დანიშნულების რაზმის 90 თურქი სამხედრო მედესანტეს გაგზავნის შესახებ. ამასთან, თურქეთის ხელისუფლებამ აშშ-ს მისცა თურქეთის საჰაერო სივრცის გამოყენების უფლება. თუმცა, თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ აშშ-სგან მოითხოვა გარანტია იმის შესახებ, რომ არცერთი ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც თურქეთის ავიაბაზას გამოიყენებს, არ გადაიტანს ბირთვულ იარაღს.

საყურადღებოა, რომ თურქეთი, რომელიც აშშ-ის მთავარი რეგიონალური მოკავშირე და ერთადერთი მუსლიმური ნატო-ს წევრი ქვეყანაა, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ნატო-ს კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციის მეხუთე მუხლის მიხედვით, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. თურქეთის ოფიციალური პირები და სამხედრო უწყებების ყოფილი ხელმძღვანელობა შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მონაწილეობას ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, შესაძლოა მოსახლეობის უკმაყოფილება გამოეწვია, რისი ნათელი მაგალითიც იყო ბოლო პერიოდში, თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში გამართული საპროტესტო დემონსტრაციები (აღსანიშნავია, რომ თურქეთში ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვების შედეგად, მოსახლეობის 70%-ზე მეტი მხარს არ უჭერდა ავღანეთის დაბომბვას, ხოლო მოქალაქეთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ანტიტერორისტულ კამპანიაში თურქეთის ჯარების მონაწილეობისა). თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამართლების მიზნით, თავდაცვის მინისტრმა საბაჰათთინ ჩაქმაქოღლუმ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც თურქეთმა სპეციალიშნულების ქვედანაყოფი ავღანეთში გააგზავნა არა სახმელეთო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, არამედ ჩრდილოეთის ალიანსის მებრძოლებისთვის სამხედრო გამოცდილების გასაზიარებლად.

ანტიტერორისტულ კამპანიაში თურქეთის ჩაბმამ და თურქეთის მთავრობის მხრიდან ავღანეთის ტერიტორიაზე თურქი სამხედროების გაგზავნამ, თურქეთის რესპუბლიკა გარკვეული სახის საფრთხის წინაშე დააყენა. საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული სპეცრაზმის გაგზავნის გადაწყვეტილებას, თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების გარდა, საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა თალიბანის მხრიდანაც. ქ. ისლამაბადში გამართულ პრესკონფერენციაზე თალიბანის ელჩმა აბდულსელამ ზაიფმა განაცხადა, რომ ყველა ჯარისკაცი, რომელიც გაგზავნილი იქნება კონფლიქტის ზონაში მუსლიმური ქვეყნიდან გამოცხადდება მათ მტრად. აქედან გამომდინარე, ისლამური ტერორისტი კამიკაძეების მოსალოდნელი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, თურქეთში მაქსიმალური მობილიზება გამოცხადდა. გაძლიერებული დაცვის ქვეშ გადავიდა სტრატეგიული დანიშნულების ყველა ობიექტი. მთავრობის შენობა აღიჭურვა დაცვის ახალი ელექტრონული სისტემებით. თავდაცვით ოპერაციებში მონაწილეობის მიზნით გამოიყო 6000 სამხედრო მოსამსახურე. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში გემების დასაცავად შეიქმნა „სანაპირო დაცვისა და უშიშროების ჯგუფები", რომლებსაც დაევალათ სრუტეებსა და მარმარილოს ზღვაზე ქიმიური ნივთიერებებით და ნავთობით დატვირთული ტანკერებისა და უცხოური სამხედრო ხომალდების უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური სამყაროდან მოსალოდნელი საფრთხის მიუხედავად, ავღანეთის პოლიტიკური მომავალი ყველაზე აქტიურად სწორედ ანკარაში იხილებოდა. ქვეყნის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ავღანეთში აუცილებელია კოალიციური მთავრობის ფორმირება ჩრდილოეთ ალიანსისა და თალიბების მხარდამჭერი „ეთნიკური დაჯგუფებების" მონაწილეობით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთი აქცენტს აკეთებს ქვეყნის მართვაში ავღანეთის ხალხის პროპორციულ მონაწილეობაზე.

ავღანეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმირებაში თურქეთის როლის განსაზღვრელად ანკარაში იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ. საყურადღებოა, რომ დიდი ბრიტანეთი საომარი მოქმედებების შემდეგ ცდილობს მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რეგიონში საკუთარი პოლიტიკის ფორმირებაში, რის გამოც მიისწრაფვის თურქეთთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებისკენ (იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთს გააჩნია განსაზღვრული გავლენა ანტითალიბური კოალიციის ზოგიერთ მოღვაწეზე, კერძოდ, გენერალ რაშიდ დუსთუმზე). გარდა ამისა, დომინირებს აზრი, რომ ანკარას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ავღანეთში დასახლებულ თურქულენოვანი ეთნიკური ჯგუფების ლიდერებზე. პუშტუნები, რომლებიც ყველაზე მსხვილ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ ავღანეთში, ჰეგემონიის კენ მიისწრაფვიან, რაც შეიძლება ქვეყნის დაქუცმაცების წინაპირობად იქნას აღქმული. დასავლეთის ამოცანას კი წარმოადგენს თურქეთის დახმარებით წინ აღუდგეს ავღანეთის დანაწევრებას მცირე სახელმწიფოებად. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით თურქეთი საკმაოდ მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა, ვინაიდან ანკარას შესაძლებლობა მიეცა, ვაშინგტონის პოზიციების გათვალისწინებით, ავღანეთში მიმდინარე პროცესებზე თავისი ზემოქმედების მექანიზმი აემუშავებინა. ამასთან, პენტაგონმა თურქეთის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შესთავაზა სამხედრო დახმარების პაკეტი, რაც ჰაერსაწინააღმოა თავდაცვის სისტემებისა და სამხედრო იარაღის უფასოდ ან სიმბოლურ ფასებში გადაცემას გულისხმობს. არ არის გამორიცხული, რომ ამერიკამ თურქეთს შეუმციროს ან საერთოდ გაუუქმოს 5 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის ვალი. აღნიშნული საკითხი უახლოეს მომავალში იქნება განხილული.

საყურადღებოა ნოემბრის თვეში თურქეთსა და აშშ-ს შორის ხელმოწერილი შეთანხმება, აშშ-ს მიერ წარმოებული იარაღის მესამე ქვეყნისათვის გადაცემის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება თურქეთს ქვეყანაში არსებული აშშ-ის მიერ წარმოებული შეიარაღების ავღანეთში ჩრდილოეთის ალიანსისთვის გადაცემის საშუალებას აძლევს.

საყურადღებოა, რომ თურქეთი აშშ-ის დახმარებით გადაიქცა მუსლიმანური სამყაროს „გარდაქმნის" და ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ გლობალური მოლაპარაკებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. ამ კუთხით აღსანიშნავია იორდანიის მეფის აბდულლას ვიზიტი ანკარაში, სადაც რეგიონის ორი ყველაზე პროამერიკულად განწყობილი მუსლიმანური სახელმწიფოს ლიდერებმა პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს ავღანეთში „ფართო შემადგენლობით კოალიციური მთავრობის" ფორმირების აუცილებლობისა და ერაყზე შესაძლო დარტყმების მიყენების დაუშვებლობასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს ოფიციალური ანკარას ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას ვაშინგტონის მიმართ. აშშ-ის პოლიტიკა ერაყის მიმართ ბოლო დრომდე არ ითვალისწინებდა თურქეთის ინტერესებს. ამასთან, აშშ-ის ადმინისტრაციაში არსებული განწყობილება მეტყველებს იმაზე, რომ ამერიკული ჯარების დიდი რაოდენობით გამოჩენას რეგიონში, სამხედრო ინფრასტრუქტურის

მშენებლობას და ზურგის გაძლიერებას სხვა მიზნები აქვს, ვიდრე ავღანეთში ტერორიზმთან ბრძოლა. აქედან გამომდინარე, ანკარაში არ გამორიცხავდნენ ავღანეთის კამპანიის გავრცელებას თურქეთის მეზობელ და სავაჭრო პარტნიორ ერაყზე, რაც უდავოდ გამოიწვევს ერაყის მხრიდან ადექვატურ რეაქციას. ერაყში საომარი მოქმედებების განხორციელება ხელს შეუწყობს თურქეთის საზღვართან ქურთთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაძლო ფორმირებას, რაც უარყოფითად იმოქმედებს თურქეთის საშინაო პოლიტიკაზე. აღნიშნული გამოიწვევს თურქეთში კომპაქტურად დასახლებული ქურთების მხრიდან თურქეთიდან გამოყოფისათვის ბრძოლის გამწვავებას, რაც თავისთავად წარმოადგენს თურქეთში სამოქალაქო ომისა და მთლიანად ახლო აღმოსავლეთში დესტაბილიზაციის წინაპირობას. ამასთან, აღნიშნულ ოპერაციას მოჰყვება ათიათასობით ლტოლვილის გადმოსვლა თურქეთის ტერიტორიაზე, რაც ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე დიდ სირთულეებს გამოიწვევს. პარალელურად აღსანიშნავია ისიც, რომ გაიზრდება თურქეთის შანსი მიიღოს დამატებითი ფინანსური დახმარება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისაგან.

მოცემულ შემთხვევაში თურქეთისთვის საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა ამერიკელების გამოთქმული მზადყოფნა ხელი შეუწყოს ერაყში ქურთების ეთნოსახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფორმირებას. ამგვარი პერსპექტივა თურქეთისთვის, რომელიც სიფრთხილით ეკიდება მის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე ქურთული სეპარატიზმის გაძლიერებას და სუვერენული ქურთისტანის შექმნის შესაძლებლობას, განსაკუთრებით მიუღებელია. აქედან გამომდინარე, თურქეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ არაერთხელ მოუწოდა აშშ-ს არ მიეტანა იერიში ერაყზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საყურადღებოა დეკემბრის თვეში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ვიზიტი თურქეთში. თურქეთის პრემიერ-მინისტრთან ბულენთ ეჯევითთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ისმაილ ჯემთან გამართულ შეხვედრებზე განხილვის მთავარ თემას ანტითალიბურ კოალიციაში თურქეთის მონაწილეობის, ავღანეთში თურქი მშვიდობისმყოფელთა გაგზავნის, სამხრეთ კვიპროსის ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანების საკითხები და ერაყში შესაძლო საომარი მოქმედებები წარმოადგენდა. კოლინ პაუელი ასევე შეხვდა თურქეთის გენერალური შტაბის უფროსს არმიის გენერალს ჰუსეინ ქივრიქოღლუს და ახალი პირობები შესთავაზა, რომლის მიხედვითაც ავღანეთის კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების რეგულირება და კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა თურქეთს უნდა დაკისრებოდა. იგი ნატო-ს და გაერო-ს ეგიდით სათავეში ჩაუდგებოდა ინდონეზიის, მალაიზიის, ბანგლადეშის, პაკისტანის, ირანისა და სხვა მუსლიმანური ქვეყნების კოალიციურ სამშვიდობო ძალებს.

ზემოაღნიშნულ შეთავაზებას, თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან ერაყის საკითხთან დაკავშირებით, ახალი შეფასებები მოჰყვა. კერძოდ, თურქი სამხედრო პირების განცხადებით, მათ შესაძლოა მხარი დაუჭირონ აშშ-ის, ნებისმიერი მოქმედების დროს, ვინაიდან თურქეთი, მისი სურვილის მიუხედავად, ვერ შესძლებს ხელი შეუშალოს აღნიშნულ აქციას ვაშინგტონის მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თურქეთის ხელმძღვანელობამ მიიღო მანდატის გაგრძელების გადაწყვეტილება, რომელიც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო თვითმფრინავებს ერაყში აკრძალული საჰაერო სივრცის პატრულირებისა და ინჯირლიქის ავიაბაზის, როგორც პლაცდარმის კიდევ ექვსი თვის განმავლობაში გამოყენების უფლებას აძლევს, სავარაუდოა, რომ ინჯირლიქის ავიაბაზა გამოყენებულ იქნას ერაყზე თავდასხმებისათვის.

საყურადღებოა, რომ მოსაზრება, თითქოს თურქი სამხედროები უხელმძღვანელებდნენ ავღანეთში სამშვიდობო ძალებს, არ გამართლდა. სავარაუდოდ, თურქი სამხედრო პირი უხელმძღვანელებს სამხედრო დაზვერვას, ადგილობრივ ავღანურ დაჯგუფებებთან კავშირსა და მოქმედების კოორდინაციას. მიუხედავად ამისა, ოფიციალური ანკარა მაინც ითხოვს ავღანეთში სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობის უფლებას. აღნიშნულ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ბანგლადეშმა, ირანმა, მალაიზიამ და სხვა ისლამურმა ქვეყნებმა, რომლებიც სამშვიდობო მისიაში მონაწილეობას მიიღებენ. საყურადღებოა, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს რეზოლუცია, რომელის თანახმადაც ავღანეთში განლაგდება საერთაშორისო უსაფრთხოების ძალები. რომელშიც შევლენ რიგი ევროპისა და სხვა ქვეყნების, მათ შორის თურქეთის სამხედრო მოსამსახურეებიც. 2002 წლის მარტის ბოლომდე კონტინგენტს დიდი ბრიტანეთი უხელმძღვანელებს, რის შემდგომაც დიდი ბრიტანეთი შესაძლოა თურქეთმა შეცვალოს. აღსანიშნავია, რომ თურქეთი საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში 600 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნას გეგმავს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თურქეთის ხელისუფლებამ სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ აშშ-სგან მოსალოდნელი ნებისმიერი მოქმედებისთვის მზადყოფნა გამოაცხადა. გაძლიერდა კონტროლი თურქეთ-ერაყის საზღვარზე თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების საშუალებით. საზღვართან დისლოცირებული ჟანდარმერიის ქვედანაყოფები შეცვლილია სამხედრო ქვედანაყოფებით.

გასულ წელს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა თურქეთი აიძულა გარკვეულად შეეცვალა აღებული სამხედრო-პოლიტიკური კურსის ზოგიერთი მიმართულებები. თურქეთის გენერალური შტაბის გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თურქეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის ფარგლებში თებერვლის ეკონომიკური კრიზისის გამო შეწყვეტილი პროგრამების რეალიზაციას. თურქი და ამერიკელი სპეციალისტები განიხილავენ ახალ პროექტებსაც, რომლებიც ითვალისწინებს თურქეთის კუთვნილი სამხედრო თანამგზავრების, უპილოტო საფრენი აპარატებისა და საზღვაო საპატრულო თვითმფრინავების მშენებლობის მთელი სიმძლავრით ამუშავებას. სპეციალისტები უახლოეს მომავალში აშშ-დან სამხედრო ტექნოლოგიის გადმოტანას ვარაუდობენ.

საყურადღებოა, რომ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში, შესაძლოა თურქეთს მიენიჭოს მაკოორდინირებელი ფუნქციები, როგორც ნატო-ს ბლოკის, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის, მისი აღნიშნულ კავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით.

საგარეო-პოლიტიკური ვითარება. თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად კვლავ ევროკავშირში გაწევრიანება რჩება. აღნიშნულის გათვალისწინებით, თურქეთი მოითხოვს მონაწილეობას ევროკორპუსის შექმნის საკითხსა და ევროკავშირის სწრაფი რეგირების ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების გამომუშავებისა და მიღების მექანიზმში. ამავდროულად, პრემიერ-მინისტრის ბულენთ ეჯევითის განცხადებით, თურქეთმა გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს „ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების“ ახალ პოლიტიკას. მისი თქმით, თურქეთმა შეცვალა პოზიცია ევროპის ერთობლივი უსაფრთხოების საკითხზე და გააუქმა ვეტო ევროპული არმიის შექმნასთან დაკავშირებით. თავის მხრივ ევროპა თვლის, რომ თურქეთმა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა. აღნიშნული აზრი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ თურქეთის გარეშე ევროარმიის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია.

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების განმსაზღვრელ ფაქტორად კვლავ კვიპროსის საკითხი რჩება. საყურადღებოა, რომ მას შემდეგ, რაც საბერძნეთმა განაცხადა ბერძნული კვიპროსის ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ, ოფიციალურმა ანკარამ ევროკავშირში მკაცრი გაფრთხილება გაგზავნა, რომელის მიხედვითაც მოვლენების აღნიშნული მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, მოხდება ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთთან მიერთება, რაც თურქ კვიპროსელებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ სახელმწიფო სუვერენიტეტი საშინაო საქმეებში, მაგრამ საგარეო და თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით დამოკიდებული იქნებიან თურქეთზე.

თურქეთის მხრიდან კვიპროსის ანექსირების შემთხვევაში მოსალოდნელია თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების კიდევ უფრო გართულება, რაც წინააღმდეგობას შეუქმნის აღნიშნულ ორგანიზაციაში მის გაწევრიანებას. აღნიშნულზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ბრიუსელში ევროკომისიამ არ დააკმაყოფილა თურქეთის მოთხოვნა ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, რის ძირითად მიზეზსაც თურქეთში ადამიანის უფლებათა დარღვევისა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის საკითხი წარმოადგენდა.

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს ასევე წარმოადგენს მოუგვარებელი პრობლემები სომხეთთან. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთ-სომხეთის შემთანხმებელი კომისიის ორმა მთავარმა წევრმა, თურქეთის ყოფილმა ელჩმა აშშ-ში ოზდეგმ სანბერქმა და ამერიკელ სომეხთა ასამბლეის ხელმძღვანელმა ვან კრიკორიანმა ორ ქვეყანას შორის დიალოგის გააქტიურების წინადადება წამოაყენა, უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა ნოემბერში სომხეთ-თურქეთის „შერიგების კომისიის“ მორიგმა, რიგით მესამე სხდომამ ქ. ნიუ-იორკში. სხდომაზე თურქეთის წარმომადგენლები მკვეთრი განცხადებებით გამოვიდნენ „1915 წლის სომხური გენოციდის“ საერთაშორისო აღიარების კამპანიის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. აღნიშნულის საპასუხოდ, კომისიის სომეხმა წევრებმა განაცხადეს, რომ კომისია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „ოსმალეთის იმპერიაში სომხების გენოციდის უდავო ფაქტის აღიარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იძულებული გახდებიან დატოვონ კომისიის რიგები“. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მხარეებს შორის აზრთა სხვაობის მიუხედავად, „შერიგების კომისიაში“ უთანხმოება არ უნდა ნიშნავდეს ამ სტრუქტურის მოკლე დროში დაშლას, რადგან ამ იდეის მარცხი ეწინააღმდეგება ოფიციალურ ვაშინგტონის ინტერესებს გაადვილოს საკუთარი პოზიციები კავკასიაში, რაც შეუძლებელია სომხეთისა და თურქეთ-აზერბაიჯანის შერიგების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ თურქეთ-სომხეთის შემრიგებლური კომისიის სხდომამ, რომელიც მიმდინარეობდა ჟენევაში, ფართო რეზონანსი გამოიწვია აღნიშნული ქვეყნებისა და აზერბაიჯანის საზოგადოებას შორის. შეხვედრაზე თურქეთის მხრიდან მონაწილეობდნენ ილთერ თურქმენი (საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი), გუნდუზ აქთანი (თურქეთის ყოფილი ელჩი გაერო-

სა და ჟენევაში), სადი ერგუვენჩი (გადამდგარი გენერალი), უსთუნ ერგუდერი (ბოღაზჩის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი), ვამიქ ვულქანი (აშშ-ს ვირჯინიის უნივერსიტეტის ფსიქოანალიტიკოსი), ოზდემ სანბერქი (საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე), ხოლო სომხეთის მხრიდან - ალექსანდრე არზუმანიანი (საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი), დავით ოვანესიანი (სომხეთის ყოფილი ელჩი სირიაში), ვან კრიკორიანი (ამერიკელი სომხების გავლენიანი ლობისტური ორგანიზაციის „არმენიან ესსემბლის“ წარმომადგენელი) და რუსეთის მოქალაქე ანდრონიკ მიგრანიანი (რუსეთის პოლიტოლოგი).

როგორც დელეგაციის შემადგენლობიდან ჩანს, ორივე მხრიდან ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ ყოფილი სახელმწიფო ჩინოვნიკები, რაც იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ შეხვედრას არ შეეძლო მოეტანა სერიოზული შედეგები. მის მიზანს უმეტესად წარმოადგენდა, წინაპირობების მომზადება შემდგომში უფრო სერიოზულ დონეზე მოლაპარაკებებისთვის. ამასთან, ოფიციალური ანკარა ცდილობს დაიკავოს დისტანცია კომისიის მოღვაწეობისგან - ბიულენთ ეჯევითმა ჟენევაში შეხვედრას არასერიოზული უწოდა და განაცხადა, რომ სანამ სომხეთი არ შეასრულებს ანკარას მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს (ოფიციალური ერევანის მიერ უარის თქმა „სომხების გენოციდის“ საკითხისგან, ოკუპირებული აზერბაიჯანის მიწების გათავისუფლება), მასთან ოფიციალურ დონეზე რაიმე სახის ურთიერთობის დამყარება შეუძლებელია.

საყურადღებოა, რომ „სომხურ-თურქული შერიგების კომიის“ შექმნას ხელი შეუწყო აშშ-ის სომხურმა ასამბლეამ, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით სარგებლობს. თურქეთის და სომხეთის დაახლოებით აშშ ცდილობს სომხეთი გამოიყვანოს რუსეთის და ირანის გავლენის სფეროებიდან.

ერთ-ერთ ყველაზე მთავარ პირობად ევროკავშირში გასაწევრიანებლად თურქეთისთვის მკაცრი სავიზო რეჟიმის შემოღების ვალდებულება გახდა. ევროკავშირის კომისია მოითხოვს, რომ ვიზები თურქეთში გაიცეს მხოლოდ საელჩოებსა და საკონსულოებში და არა საზღვრის გადაკვეთისას. ამ გზით ევროპული თანამეგობრობა მიისწრაფვის თავი დაიზღვიოს დასავლეთში კრიმინალური ელემენტების და არალეგალური მუშახელის აღმოსავლეთ ევროპიდან შელწევისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში საკმაოდ გამოკვეთილ ხასიათს ატარებდა რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების მცდელობა. თურქეთის ხელისუფლება რუსეთს სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებში პარტნიორად მიიჩნევს. ამასთან, 16 ნოემბერს ნიუიორკში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის ფედერაციის და თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას სახელწოდებით „ევრაზიაში თანამშრომლობის ერთობლივი მოქმედებების გეგმა“, რომლის თანახმადაც, რუსეთი და თურქეთი გააააქტიურებენ ურთიერთთანამშრომლობას საერთაშორისო ტერორიზმის, იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. თურქეთსა და რუსეთს შორის ახალი თანამშრომლობის საფუძვლების შემუშავების მიზნით ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს „მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობებისკენ გამიზნული თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების და მიმართულებების განმსაზღვრელ პრაქტიკულ წინადადებებს.“ გეგმა ასევე ითვალისწინებს კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში რუსეთისა და თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობის კოორდინაციას.

ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, ოფიციალურმა ანკარამ რუსეთთან მიმართებაში განონასწორებული საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. თურქეთის ხელისუფლებამ, რომელიც წლების მანძილზე იგნორირებას უკეთებდა რუსეთს და ჩეჩენ მეამბოხეებთან მიმართებაში ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდა, შეცვალა საკუთარი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ანკარამ აუკრძალა თურქეთში მოქმედ სხვადასხვა დაჯგუფებებს შემოწირულობების აკრეფა და გაყინა მათი საბანკო ანგარიშები იმ მიზეზით, რომ ისინი შესაძლოა გამოყენებულ იქნას ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ მიერ. „ფუნდამენტალურ ტერორიზმთან“ ბრძოლის საპასუხოდ, ოფიციალურმა მოსკოვმა თურქეთს პირობა მისცა, რომ ქურთ მუშაოა პარტიას თავშესაფარს აღარ მისცემდა.

პოზიტიურად ვითარდება თურქეთ-რუსეთის თანამშრომლობა თავდაცვის სფეროშიც, რომელიც მოიცავს ერთობლივ სამხედრო წვრთნებს და რუსული თავდაცვითი სისტემების გაყიდვას თურქეთში. აღნიშნულზე დადებითად იმოქმედა თურქეთის სამხედრო უწყებასა და ფირმა „ბელ ტექსტრონ“-ს შორის წარმოქმნილმა სერიოზულმა უთანხმოებამ ვერტმფრენების პროექტთან დაკავშირებით. თურქეთის შეიარაღებული ძალების პროექტმა, რომელიც 145 სამხედრო ვერტმფრენის კომპიუტერებით მოდერნიზებას ითვალისწინებდა, აშშ-ის ხელისუფლების პროტესტი გამოიწვია. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი ამერიკული ფირმის „ლიტტონის“ წარმოების კომპიუტერებს არ შეიძენდა აშშ თურქეთს ვერტმფრენების გაყიდვის ლიცენზიას არ მისცემდა. ოფიციალური ანკარა კი ითხოვდა, რომ თურქეთის მხარეს მისცემოდა AH-1Z „კობრა“-ს ტიპის ვერტმფრენის მთლიანად თურქეთში დამზადების და მისი მესამე ქვეყნებში რეალიზაციის უფლება.

აქედან გამომდინარე, სავარაუდო იყო, რომ თურქეთი განიხილავდა K-50-2 (თურქული ვერსიით „ერდოგანის“) ტიპის ვერტმფრენის რუსეთში შეძენის საკითხს. თუმცა, ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე აშშ-ის კონგრესმა საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა ანკარაზე სამხედრო ტექნოლოგიების გადაცემის საკითხში - თურქეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე თვის შეფერხების მიუხედავად, თურქეთის აეროკოსმოსური მრეწველობის ორგანიზაციამ განაახლა მოლაპარაკებები აშშ-ის ფირმა „ბელ ტექსტრონ“-თან 50 ერთეული AH-1Z., ტიპის ვერტმფრენის კომპლექსური მოდერნიზაციის პროექტის შემუშავების შესახებ (თურქეთში არსებული ეკონომიკური ვითარების გამო საწყის ეტაპზე საუბარია არა 145 საფრენ მანქანაზე, არამედ 50 ვერტმფრენზე). აღნიშნული პროექტი 1,8 მლრდ. აშშ დოლარად არის შეფასებული. ამ ეტაპზე უკვე მიღწეულია შეთანხმება ვერტმფრენების ერთობლივი ნარმოების საბოლოო დეტალებზე, ხოლო პროექტის საბოლოო ვარიანტის დამტკიცება და ხელმოწერა 2002 წლის იანვარში იგეგმება.

განსაკუთრებული ინტენსივობით ვითარდება თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებიც. 8 აგვისტოს ანკარაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი. შეხვედრაზე მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს უსაფრთხოების პრობლემებზე. მათ შორის, თავდაცვის ახალ პროექტებზე, Arrow-ს ტიპის ანტიბალისტიკური რაკეტებსა და M-60 ტიპის 170 თურქული ტანკის მოდერნიზების საკითხებზე. ამასთან, დღის წესრიგში კვლავ დადგა ისრაელის მიერ თურქეთისადმი სადაზვერვო თანამგზავრისა და საბრძოლო ვერტმფრენების მიყიდვის საკითხი. შეხვედრაზე სამხედრო თანამშრომლობასთან ერთად, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობებიც იქნა განხილული. ისრაელის პრემიერ-მინისტრის და თურქეთის სახელმწიფო მინისტრის ეკონომიკის საკითხებში ქემალ დერვიშის შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს თურქული წყლის ისრაელისათვის მიყიდვის შესაძლებლობასა და თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში საირიგაციო პროექტების განხორციელების თაობაზე. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ისრაელი დაინტერესებულია თავად მოახდინოს წყლის ტრანსპორტირება და გააკონტროლოს შეთანხმება ტრანსპორტირების შესახებ, რაც თურქ პოლიტიკოსებს მიზანშეუწონლად მიაჩნიათ. მათი აზრით, თურქეთმა თავად უნდა წამოაყენოს წინადადება ტრანსპორტირების ფასისა და გრძელვადიანი კონტრაქტის პირობების შესახებ. მიუხედავად ამისა, გავრცელებული ინფორმაციით ისრაელის მხარემ უარი განაცხადა თურქეთიდან სასმელი წყლის შესყიდვაზე მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. საპასუხოდ, თურქეთი აპირებს შეაჩეროს სამხედრო სფეროში ისრაელთან არსებული ხელშეკრულებები. მათ შორის, თურქეთის თავდაცვითი მრეწველობის სამდივნოსა და ისრაელის ფირმა IMI-ს შორის დადებული ხელშეკრულება M-60 ტიპის 170 ტანკის მოდერნიზების შესახებ. მიუხედავად ამისა, თურქეთის თავდაცვის სამინისტრო არ ადასტურებს ინფორმაციას ისრაელთან M-60 ტიპის ტანკების მოდერნიზების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. თურქეთის მხარის თქმით, პროექტი არ შეწყვეტილა და პროექტის დაფინანსება უახლოეს მომავალში იგეგმება.

თურქეთ-ისრაელის საერთო მისწრაფებათა მიუხედავად, თურქეთი გარკვეულწილად იძულებულია ანგარიში გაუწიოს რეგიონის ისლამურ სახელმწიფოებს, რომლებთანაც ისრაელს მტრული ურთიერთობა გააჩნია. ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის თურქეთში ვიზიტის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ მხარეთა ერთობლივი პოზიციის ფორმირება წარმოადგენდა. აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით პალესტინის ხელისუფლებამ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ. წერილში პალესტინის ხელისუფლება ისრაელის მხარეს მოუწოდებდა შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები და დაეშვა საერთაშორისო დამკვირვებლები რეგიონში. ამასთან მოითხოვდა, რომ თურქეთს მოეხდინა ზეწოლა ისრაელზე აღნიშნულის განსახორციელებლად. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით თურქეთის პრეზიდენტმა ა. სეზერმა ისრაელის მხარეს დიალოგისკენ მოუწოდა. მიუხედავად ამისა, ა. შარონი მაინც სკეპტიკურად უყურებს პალესტინის ხელისუფლების წინადადებას რეგიონში საერთაშორისო დამკვირვებლების ჩაყვანის შესახებ. მისი თქმით, შეუძლებელია კონსესუსის მიღწევა პალესტინელების მხრიდან ძალადობისა და ტერორის შეწყვეტამდე.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება. გასულ წელს თურქეთის საშინაო პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ აღებული პოლიტიკური კურსის უცვლელობით გამოირჩეოდა. საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული თურქეთის ისლამისტური პარტიების ბედი, რომელთა გაუქმებამაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. თურქეთის სახელმწიფო უშიშროების საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი, რომლის მიხედვითაც გარკვეული ცვლილებები უნდა შესულიყო კონსტიტუციის 69-ე მუხლში. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი ცვლილებების წინააღმდეგ გამოვიდა თურქეთის თავდაცვის მინისტრი ჰუსეინ ქივრიქოღლუ. მან განაცხადა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ

მიღებულ იქნება შემოთავაზებული ცვლილებები, ანტისახელმწიფოებრივი პარტიების დახურვას აზრი არა ქვს, რადგან პარტიის მესვეურებს საშუალება ექნებათ დააარსონ ახალი სახელწოდების პარტია, რომლის პრინციპებიც შეუცვლელი დარჩება."

საყურადღებოა, რომ „სათნოების პარტიის" წევრებმა, პარტიის დახურვიდან 28 დღის შემდეგ განაცხადი შეიტანეს ახალი პარტიის შექმნაზე სახელწოდებით „ნეტარების პარტია". პარტიის დამაარსებლების მიერ დამფუძნებელ სხდომაზე არჩეულ იქნა პარტიის თავმჯდომარე (რ. ქუთანი) და ძირითადი ადმინისტრაციული და დისციპლინარული საბჭოები. დაიგეგმა რეგიონალური წარმომადგენლობების დაკომპლექტებაც.

პოლიტიკური წრეების დიდი ინტერესი გამოიწვია „თეთრი ენერგიის" სახელით ცნობილი ოპერაციის (უკავშირდება გაზსადენი „ცისფერი ნაკადის" მშენებლობის პროექტს) ერთ-ერთი ინიციატორის, ჟანდარმერიის ოპერატიული სამმართველოს უფროსის გენერალ ოსმან ოზბეკის მოულოდნელმა გადადგომამ. აღსანიშნავია, რომ „თეთრი ენერგიის" ოპერაციის მსვლელობისას თანამდებობიდან გადაყენებული და დაკავებული იქნა მრავალი მაღალჩინოსანი პირი. საყურადღებოა, რომ ოსმან ოზბეკმა გადადგომის მიზეზად ჟანდარმერიის სამსახურის ხელმძღვანელის არმიის გენერლის აითაჩ იალმანის მიკერძოებული პოზიცია დაასახელა. მისი განცხადებით, ეს უკანასკნელი „დედა სამშობლოს" პარტიის ლიდერის მესუთ ილმაზის ინტერესებს ემსახურება და აფერხებს ობიექტურ გამოძიებას. ენერგეტიკის სფეროში გამოვლენილი დარღვევების გამო მესუთ ილმაზის პარტიის რეიტინგი ბოლო ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ დაეცა. შელახული იმიჯის აღსადგენად თურქეთის კოალიციური მთავრობის მემარჯვენე ცენტრისტული „დედა სამშობლოს" პარტია სერიოზული ცვლილებებისთვის ემზადება.

აგვისტოში ოფიციალურად დაარსდა „სამართლიანობისა და განვითარების პარტია". პარტიის ლიდერია რეჯეფ თაიფ ერდოღანი, რომლის შემადგენლობაში ძირითადად შევიდნენ დღეისათვის გაუქმებული „კეთილდღეობის პარტიის" ყოფილი წევრები. აგრეთვე, „ნაციონალისტური სახალხო პარტიის", „ჭეშმარიტი გზის პარტიის", „დედა სამშობლოს პარტიის" ზოგიერთი წევრი. საყურადღებოა, რომ „დედა სამშობლოს პარტიიდან" და „ჭეშმარიტი გზის პარტიიდან" გამოსული დეპუტატები - იალიმ ერეზი, მერალ აქშენერი, ჰუსნუ დოღანი, მეჰმეთ აღარი, მელიჰ გოქჩექი, ავნი დოღანი ილჰან ქესიჯიქის ხელმძღვანელობით, თავის მხრივ, ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას გეგმავენ. მათი განცხადებით, ქვეყანაში აუცილებელია ახალი ცენტრისტული-მემარჯვენე პარტიის არსებობა.

ნოემბრის თვეში ჩატარდა „დედა სამშობლოს" პარტიის წევრთა შეხვედრა, რომელსაც თავმჯდომარეობდა პარტიის ლიდერი, ვიცე-პრემიერი მესუდ ილმაზი. შეხვედრაზე განხილულ იქნა ვიცე-პრემიერის მოადგილის ერქან მუმჯუს მოხსენება, რომელიც მინისტრთა რიცხვის შემცირებას და ზოგიერთი სამინისტროს გაერთიანებას ეხება. პროექტის თანახმად, სამინისტროთა რიცხვი 20-მდე მცირდება. აღნიშნულ საკითხს საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა პარტიის წევრების მხრიდან - „დედა სამშობლოს" პარტიის რიგები დატოვა კიდევ რამოდენიმე წევრმა, რის შედეგადაც პარლამენტში „დედა სამშობლოს" პარტიის წარმომადგენელთა რიცხვი 79-მდე შემცირდა.

თურქეთის საშინაო პოლიტიკაში განვითარებული მოვლენებიდან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პარლამენტს განსახილველად გადაეგზავნა კანონპროექტი თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილეებისა და იუსტიციის მინისტრის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრობის შესახებ. კანონპროექტის მიხედვით საბჭოს შემადგენლობაში შევლენ პრემიერ-მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები, ეროვნული თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ხელმძღვანელები, ჟანდარმერიის უფროსი და იუსტიციის მინისტრი.

თურქეთში არსებული ეკონომიკურ პრობლემების შედეგად, ბიულენთ ეჯევითის მთავრობა, რომლის რეიტინგიც კატასტროფულად დაეცა, პოლიტიკური სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. ეჯევითის სიტყვებით, პოზიტიური ტენდენცია ეკონომიკაში, რომელიც შეიმჩნეოდა ივლისსა და აგვისტოში, აშშ-ში განვითარებული სექტემბრის მოვლენების შემდგომ გლობალური ფაქტორების ზემოქმედებით სანინააღმდეგოდ შეიცვალა. აღნიშნულის გათვალისწინებით, თურქეთის სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკის საკითხებში ქემალ დერვიში სამუშაო ვიზიტით ვაშინგტონს ეწვია. 3 ოქტომბერს აშშ-ში თურქეთის საელჩოში გამართულ ბრიფინგზე ქემალ დერვიშმა განაცხადა, რომ „11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა გარკვეულწილად შეაფერხა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული ეკონომიკური პროგრამა, რომლის განხორციელებითაც თურქეთი 2002 წლისათვის ეკონომიკურ წინსვლას მიაღწევს". აღსანიშნავია, რომ თურქეთმა უკვე გადაიხადა თავისი საგარეო ვალების ნაწილი 89 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, მ.შ. 57,30 მლნ. აშშ დოლარი - სახელმწიფო ხაზინამ, 6,68 მლნ. აშშ დოლარი - ცენტრალურმა ბანკმა, ხოლო 16,81 მლნ. აშშ დოლარი დამატებითი ბიუჯეტიდან იქნა გადახდილი. აქვე თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, თურქეთმა, რომელიც 100-მდე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, 31 დეკემბრამდე 66 ორგანიზაციის საწევრო უნდა გადაიხადოს, რომელიც 21 ტრილიონ თურქულ ლირას შეადგენს.

თურქეთის პარლამენტმა ოპოზიციის მწვავე კრიტიკის მიუხედავად დაამტკიცა 2002 წლის ბიუჯეტი, რომლის ხარჯვით ნაწილს 98 კატრილიონი ლირა (65 მლრდ აშშ დოლარი) შეადგენს. აღნიშნული ბიუჯეტი სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების 10%-ით გაზრდას ითვალისწინებს. საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა კმაყოფილება გამოთქვა თურქეთის 2002 წლის ბიუჯეტის პროექტის გამო. ურთულესი კრიზისის ფონზე, თურქეთი მაინც განიხილავს წინადადებას მომავალში გაზარდოს ქვეყნის თავდაცვითი ბიუჯეტი. ვინაიდან არსებული ხელისუფლების მიერ დამტკიცებული 2002 წლის სამხედრო ბიუჯეტი (5.4 მლრდ აშშ დოლარი) გასულ წელთან შედარებით (11 მლრდ აშშ დოლარი) 5.6 მლრდ აშშ დოლარით ნაკლებია.

დაძაბული შიდაპოლიტიკური ვითარების მიუხედავად, თურქეთის ხელისუფლება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზას გარკვეულწილად საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობაში ხედავს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაცია თურქული სექტორის დირექტორის იუჰა კაჰკონენის მეთაურობით 4 ნოემბერს ქ. ანკარაში ჩავიდა, სადაც დელეგაციამ საქმიანი შეხვედრები გამართა თურქეთის ეკონომიკური წრეების წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც განიხილეს თურქეთის 2002 წლის ბიუჯეტისთვის დამატებითი ფინანსური წყაროების გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხები (სახელმწიფო ხაზინის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოსალოდნელია დამატებით 12 მლრდ. აშშ დოლარის მიღება).

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარების გარდა, თურქეთი ცდილობდა ფულადი რეფორმით გამოესწორებინა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. ანკარას სავაჭრო პალატამ სავალუტო ბირჟასთან ერთად თურქული ლირის კურსის სტაბილიზაციისთვის დოლარზე ვაჭრობის აკრძალვის კამპანია დაიწყო. აღნიშნული გადაწყვეტილებით, სექტემბრიდან სავაჭრო ობიექტებში აიკრძალა უცხოური ვალუტით ვაჭრობა, ხოლო წესების დარღვევისათვის დაწესდა ჯარიმა. ამასთან, თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა №1211 კანონის მიხედვით მიმოქცევაში გამოუშვა 20 მლნ. ლირის ღირებულების ბანკნოტები, რასაც მოჰყვა 100 ათასი ლირის ღირებულების ბანკნოტების მიმოქცევიდან ამოღება.

მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნებოდა თურქეთის ენერგეტიკის სფეროშიც. თურქეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული ენერგოგამანაწილებელი კომპანიის TEDAS-ის რეკონსტრუქციის შესახებ. TEDAS-ის რეფორმები მთლიანობაში ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებს და არ გულისხმობს კომპანიის პრივატიზაციას.

ქ. სტამბოლში გამართულ ენერგეტიკის საერთაშორისო კონფერენციაზე თურქეთის ენერგეტიკის ოფიციალური პირების განცხადებით, თურქეთის რეგიონალური ენერგეტიკული პროექტები (ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი და ბუნებრივი აირის „ცისფერი ნაკადის" პროექტი) აუცილებლად განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ „ცისფერი ნაკადის" გაზსადენის მშენებლობა დადგენილი გრაფიკით მიმდინარეობს. ამჟამად დასრულებულია თურქეთის ტერიტორიაზე მილსადენის მცირესადენიანი ნაწილის მშენებლობა. გაზის ტრანსპორტირება მოხდება სტავროპოლის მხარის იზობილის რაიონიდან თურქეთის ქ. სამსუნამდე. „ცისფერი ნაკადის" სრული საპროექტო სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ „გაზპრომი" თურქეთის ბაზარზე 16 მლრდ. კუბური მეტრი ბუნებრივი აირის შემოტანას უზრუნველყოფს.

საქართველოს შიდაკონფლიქტური რეგიონები

ცხინვალის რეგიონი

შიდაპოლიტიკური ვითარება. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ცხინვალის რეგიონში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ნოემბრის თვეში გამართულმა ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებმა. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოიკვეთა რიგი ფაქტორები, რომლებიც გავლენას მოახდენს ახალი ოსური ხელისუფლების პოლიტიკური სპექტრის ფორმირებაზე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესზე.

რეგიონში სიტუაციის მკვეთრი გაუარესების ობიექტური ნიშნები გამოიკვეთა ხელისუფლებისა და კლანური ნიშნით ჩამოყალიბებულ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირებით გამოიწვეული გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესის გაძნელების შედეგად. აღნიშნული ვითარება კი მყარ საფუძველს ქმნის, რათა დაინტერესებულმა ძალებმა კვლავაც გამოძებნონ შესაბამისი ბერკეტები პოლიტიკურ პროცესებზე ეფექტური ზემოქმედების მიზნით.

ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინ პრაქტიკულად დამთავრდა ძალთა ერთგვარი გაერთიანების და მათი ახალ დაჯგუფებად ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც პრეზიდენტ ლ. ჩიბიროვის ხელისუფლების „მხარდამჭერ" და მის „მოწინააღმდეგეებად" გადანაწილების პრინციპით წარიმართა. აღნიშნული პრინციპი როგორც პოლიტიკური ძალების, ისე ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის ნაკლებად იყო დაკავშირებული პოლიტიკურ არგუმენტებთან (წინასაარჩევნო პროგრამები ერთმანეთისაგან პრინციპულად არ განსხვავდებოდა). ამასთანავე, პრეზიდენტობის კანდიდატები პოლარიზებულნი

იყვნენ ორ ჯგუფად, ერთი მხრივ, ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრები: ა. პარასტაევი, ა. კოჩიევი, გაგიევი, ხოლო, მერე მხრივ, ოპოზიცია: ს. კოჩიევი, ა. კოკოევი.

საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობის პროცესში განვითარებული მოვლენები ადასტურებენ, რომ ლ. ჩიბიროვის ხელისუფლების სხვა ხელისუფლებით ჩანაცვლების საფუძველი რუსეთში მოღვაწე გარკვეულმა ძალებმა მოამზადეს, რაშიც განსაკუთრებული ადგილი რუსეთის მემარცხენე და რადიკალურად განწყობილ პოლიტიკურ ძალებს უჭირავთ. კერძოდ:

➢ პრეზიდენტ ლ. ჩიბიროვსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ს. კოჩიევს შორის კონფრონტაცია გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ს. კოჩიევი თავის დაახლოებულ პირებთან ერთად აშკარად მიემხრო ქ. მოსკოვში მოღვაწე ორგანიზაცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კავშირი“-ს შემადგენლობაში ჩამოყალიბებულ ე.წ. სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა „რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის“ ლიდერი გ. ზიუგანოვი. აღნიშნული კავშირის უცვლელი თავმჯდომარეო. შენინკი მწვავედ დაუპირისპირდა გ. ზიუგანოვს, რომელიც ცდილობს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კავშირი“-ს ერთადერთი თავმჯდომარე გახდეს (აღნიშნულ კავშირში გაერთიანებულია 20-მდე კომუნისტური ორგანიზაცია, მ.შ. სეპარატისტული აფხაზეთის, დნესტრისპირეთის კომპარტიები);

➢ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის „კომპარტიის“ ფრაქციის თავმჯდომარის ა. ჩეხოვის და გ. ზიუგანოვის მხრიდან ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების წინ გაკეთდა ოფიციალური განცხადებები პრეზიდენტ ლ. ჩიბიროვის ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით. საგულისხმოა, რომ აღნიშნული განცხადებები გაკეთდა მას შემდეგ, რაც ლ. ჩიბიროვმა უარყო გ. ზიუგანოვის ინიციატივა მისი ს. კოჩიევთან ურთიერთობის დარეგულირების საქმეში შუამავლად „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის“ ლიდერის პ. გიორგაძის ჩართვის შესახებ;

➢ მოძრაობა „ალანთი ნიხასი“ (შტაბბინა - ქ. ვლადიკავკაზი), რომელსაც ძლიერი პოზიციები გააჩნია ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში მოქმედ ორგანიზაციებს შორის და მასთან ჩამოყალიბებული „ალანთა საერთაშორისო კონგრესი“ (შტაბბინა - ქ. ვლადიკავკაზი);

➢ პრეზიდენტ ლ. ჩიბიროვის ოპოზიციას მიემხრნენ ყოფილი საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ყოფილი პრემიერი რ. ხუგაევი (შემდგომში პრეზიდენტობის კანდიდატის ე. კოკოევის პირადი წარმომადგენელი). აღსანიშნავია, რომ მათ უარი ეთქვათ ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატებად რეგისტრაციაზე კანონმდებლობის იმ მოთხოვნის შესაბამისად, რომლის თანახმად „პრეზიდენტად შეიძლება არჩეული იყოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არა ნაკლებ 10 წლის განმავლობაში მცხოვრები სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქე.“ საგულისხმოა, რომ ფ. სანაკოევს ქ. მოსკოვში საკუთარი ბიზნესი გააჩნია, ხოლო მის ვაჟს ქ. მოსკოვში რუსეთ-ჩინეთის სავაჭრო წარმომადგენლობაში ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა უჭირავს).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაპირისპირებული მხარეებისთვის „ურთიერთობების გარკვევის“ მწვავე ფორმა საბოლოო ჯამში ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა პრეზიდენტ ლ. ჩიბიროვის ხელისუფლებისა და რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის (პოლიტიკურ კონფლიქტში ჩათრევის საფრთხის გამო, საქართველოს მხრიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების რეგიონიდან გაყვანის მოთხოვნის გათვალისწინებით). არჩევნების პირველ ტურის შედეგების შეჯამების შემდეგ, როდესაც პრეზიდენტის პოსტზე რეალურ პრეტენდენტად ე. კოკოევის კანდიდატურა განიხილებოდა, გაიმართა შეხვედრა კონსულტაციები ე. კოკოევსა და შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებულ სარდლობას შორის, რომლის პარალელურად, პრეზიდენტმა ლ. ჩიბიროვმა გამოთქვა მზადყოფნა შეექმნა ყველა პირობა არჩევნების მე-2 ტურის ჩასატარებლად, ხოლო მისი ვაჟი ა. ჩიბიროვი მზად იყო გადამდგარიყო თანამდებობიდან, იმის მიუხედავად თუ ვინ გახდებოდა პრეზიდენტი.

ეგრეთ წოდებული არჩევნების პირველ და მეორე ტურებში მონაწილეობა მიიღო შესაბამისად ამომრჩეველთა 70%-მა და 65,8%-მა. მოსახლეობის საარჩევნო აქტიურობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა არჩევნებამდე პრეზიდენტობის კანდიდატის ე. კოკოევის შტაბის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მოსახლეობის ფართო ნაწილის (განსაკუთრებით ახალგაზრდობის) მხარდაჭერის მოპოვებას. ე. კოკოევის რეიტინგის და პოპულარობის გაზრდაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ფ. სანაკოევის და რ. ხუგაევის მხარდაჭერამ, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობენ ოსურ მოსახლეობაში.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე მისი წევრები დროებით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს. მოსალოდნელი იყო ე. კოკოევის მიერ საკადრო წმენდის გატარება ისეთ შიდასახელისუფლებო სტრუქტურებშიც, რომლებსაც დაკისრებული აქვთ პასუხისმგებლობა რეგიონში არსებულ მდგომარეობასა და გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ, სოციალურ პოლიტიკაზე. აღნიშნულის განხორციელებისას ე. კოკოევის ხელისუფლება ეყრდნობა გარკვეული ძალების მხარდაჭერას. მათ შორის:

➢ ყოფილი ე.წ. ექს-პრეზიდენტის ოპოზიცია,

რომელიც პარლამენტში უმრავლესობას შეადგენს;

➢ რუსეთის მემარცხენე პოლიტიკური ძალები, ბიზნესმენთა წრეები, სპორტსმენები და ოსური დიასპორა, რომლებმაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულეს ე. კოკოევის გამარჯვებაში.

კრიმინოგენური ვითარება. გასულ წლის ბოლოს რეგიონში გაუარესდა კრიმინოგენური მდგომარეობა, რომელიც ძირითადად საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდებოდა. არჩევნების ჩაშლის მიზნით გარკვეული ძალები გეგმავდნენ ვითარების დესტაბილიზაციას კრიმინოგენური მდგომარეობის გამწვავებით, რომლის ობიექტიც დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართული მოსახლეობა გახდებოდა. კერძოდ, ითვალისწინებდნენ რა ქართულ მოსახლეობასა და ქართულ პოლიციას შორის ნდობის ფაქტორის დეფიციტის არსებობას, ორგანიზებული ჯგუფების მიერ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილ იქნა რამოდენიმე მძიმე დანაშაული, რომელიც მიზნად ისახავდა ქართულ მოსახლეობაში დაპირისპირებების გაღვივებას. შიდაპოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვამ პოზიტიურად იმოქმედა საერთო კრიმინოგენურ მდგომარეობაზე, თუმცა უცვლელი დარჩა მისი გამომწვევი ისეთი ფაქტორები, როგორიებიცაა:

➢ ექსტრემისტული ძალების მხრიდან მართული ოსური შეიარაღებული ფორმირებები (ომონი, სხვადასხვა ე.წ. სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები) და მათი წარმომადგენლები;

➢ ცალკეული პირები და სხვადასხვა დაჯგუფებები, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებიან;

➢ „შავი სამყაროს“ ცალკეული ავტორიტეტები.

არსებული ინფორმაციით სამართალდამცავ ორგანოებთან დანაშაულებრივად დაკავშირებული ცალკეული პირების და დაჯგუფებების მიერ უკანასკნელ პერიოდში ჩადენილია რეგიონში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების 50%-ზე მეტი. აღნიშნული კატეგორიის დაჯგუფებების წარმომადგენლები ოსური უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შეკვეთების შემსრულებლებად და მათ თანამონაწილეებადაც გვევლინებიან.

სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შეფასებისას გასათვალისწინებელია რეგიონით ქართული და ოსური გარკვეული წრეების დაინტერესება დიდი შემოსავლების მიღების პერსპექტივის თვალსაზრისით, რაც, იქ არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ რეალურია. რეგიონში ე.წ. დიდი ბიზნესის მფლობელთა შორის ფიგურირებენ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში მცხოვრები პროფესიონალი სპორტსმენებიც, რომელთა შორის არიან ს. ანდიევი და მ. ხადარცევი. ე.წ. ფინანსთა სამინისტროს მიერ 2001 წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თანახმად, შემოსავლებმა სულ 41,5 მლნ. რუსული რუბლი შეადგინა, რაც დაგეგმილის 80%-ს შეადგენს. ამასთან, ფაქტიურად მიღებული საბიუჯეტო შემოსავლებიდან მხოლოდ საბაჟო შემოსავლებმა 21 მლნ. რუბლი შეადგინა, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადის სახით გათვალისწინებულმა თანხებმა, რომელსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიუჯეტის სტრუქტურაში - 5 მლნ. რუსული რუბლი (აღნიშნული თანხა გეგმით 11 მლნ. რუბლს შეადგენდა). სხვა ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად ბიუჯეტის შეუსრულებლობა განპირობებულია როკის გვირაბის გავლით შემოსული პროდუქციის გაძვირებით და ტვირთბრუნვის შემცირებით.

კვლავ რთულია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ პირებზე გაცემული არ არის 3-4 თვის ხელფასები, პენსიები და დახმარებები. რეგიონი შედარებით სტაბილურად მარაგდება ელექტროენერგიით, რომელიც „რაოეეს“-სთან ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად შეღავათიან ფასებში თითქმის შეუზღუდავად ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკიდან მიეწოდება. საწარმო „იუგოსტენერგო“-ს განსაზღვრული ტარიფის თანახმად 1 კვტ. ენერგიის ღირებულება 60-80 რუსულ კაპიკს (4,2-5,5 თეთრი) შეადგენს.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. გასული წლის მეორე ნახევარში რეგიონში წინასაარჩევნო დაძაბულობის მოსალოდნელ ზრდასთან ერთად, როდესაც საქართველოს ხელისუფლებასა და პოლიტიკურ წრეებში განიხილებოდა აფხაზეთიდან დსთ-ს მანდატით მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების დაუყოვნებლივი გაყვანის საკითხი, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობა ყველანაირი ფორმით ცდილობდა განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებში ჩაურევლობის პოზიციის დემონსტრირებას.

ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, როდესაც ოპერატიული და პოლიტიკური ვითარების ესკალაციის საფრთხე არჩევნების პირველი ტურის შემდგომ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, რუსული სარდლობა ხელმძღვანელობს „პრაგმატული“ მოსაზრებებით (ფაქტიურ ხელისუფლებასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა) და პოლიტიკური პროცესებისადმი შემდეგი პოზიციები უკავია:

➢ რეგიონში არჩევნები ჩატარდა დემოკრატიული არჩევნებისადმი წარდგენილი მოთხოვნების დაცვით, ვინაიდან მოსახლეობას საშუალება მიეცა გაეკეთებინა საკუთარი არჩევანი წარმოდგენილ კანდიდატებს შორის;

➢ ეთანხმება რა იმ მოსაზრებას, რომ რეგიონში ახალი ეთნოკონფლიქტის წარმოქმნის საფრთხე ნაკლებად არსებობს, სამშვიდობო

ძალების ხელმძღვანელობა დაკისრებული ფუნქციების განხორციელების ძირითად საშუალებად მიიჩნევს საკუთარი ძალებით დამატებითი საგუშაგოების და საბრძოლო პატრულირების ორგანიზებას კონფლიქტის ზონაში. აღნიშნული ტენდენცია კი ეწინააღმდეგება პოლიტიკურ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სამშვიდობო ძალების საგუშაგოების გეგმიურ შემცირებას და რეგიონში ვითარებაზე კონტროლის ფუნქციების ოსური და ქართული შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის გადაცემას ითვალისწინებენ.

რუსეთის სარდლობის მხრიდან სამხედრო მეთვალყურის მუშაობის ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად მიჩნეულია მათი პასუხისმგებლობის ზონაში შემავალი ტერიტორიებიდან მოსახლეობისაგან ამოღებული იარაღის და საბრძოლო მასალების რაოდენობა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომის შედეგად პრაქტიკულად ჩამოყალიბდა მოთხოვნა, რომლის შესრულების ხარისხი დამოკიდებული გახდა მხოლოდ ჩაბარებული იარაღის (საბრძოლო მასალის) რაოდენობაზე. ამასთან, კონფლიქტის ზონიდან ამოღებულ იარაღსა და საბრძოლო მასალებში ითვლება ის იარაღიც (საბრძოლო მასალა), რომელსაც კავშირი არ გააჩნია კონფლიქტის ზონასა და რეგიონის მოსახლეობასთან (აღნიშნულ კატეგორიაში შედის სასნავლო და გამოყენებისათვის უვარგისი იარაღი).

მიმდინარე წლის ოქტომბრიდან სამშვიდობო ძალებისათვის იარაღის ჩაბარების პროცესის სტიმულირების მოტივით ეუთო-ს დაფინანსებით გათვალისწინებული იყო კომპენსაციების გაცემა იმ პირებზე, რომლებსაც ექნებოდათ სურვილი ჩაბარებული იარაღის სანაცვლოდ მიეღოთ მათთვის სასურველი დასახელებული ვლ. არძინბას გადადგომაში ხედავს. მიუხედავად აფხაზური ხელისუფლების მტკიცებისა არძინბას ჯანმრთელობის დადებითი მდგომარეობის შესახებ, ე.წ. პრეზიდენტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა აფხაზეთის საზღვრებს გარეთ და გადიოდა ინტენსიური მკურნალობის კურსს. მის მოვალეობას ასრულებდა ვიცეპრეზიდენტი ვალერი არშბა.

აღნიშნულმა ვითარებამ კიდევ უფრო გაამძაფრა დაპირისპირება აფხაზეთში არსებულ კლანებს შორის. პრემიერ-მინისტრად ანრი ჯერგენიას დანიშვნამ, რომელიც ცდილობს სახელმწიფო ხელისუფლების მართვის ყველა ბერკეტის საკუთარ ხელში მოქცევას, გამოიწვია აფხაზეთის პარლამენტის და საზოგადოებრივი მოძრაობების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილის უკიდურესი უკმაყოფილება. საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტისთვის აფხაზეთის მთავრობის დაქვემდებარებას. ოპოზიციის შეშფოთებას ინვევს ჯერგენიას მიერ განხორციელებული საკადრო პოლიტიკური კურსი. მან უკვე მოახდინა თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში მისი მხრიდან დაფიქსირებული პოზიცია, რომ „კონფლიქტის დარეგულირება შესაძლოა მხოლოდ ქართული მხარის მიერ 1989-92 წლებში ოსი ხალხის გენოციდის ფაქტის ოფიციალურად აღიარების შემდეგ", ქმნის კონფლიქტის დარეგულირების პროცესის გაჭიანურების საფრთხეს;

- რეგიონში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალები საკმაოდ მნიშვნელოვან რესურსებს ფლობენ. ამასთან, აღნიშნული ძალები გარეგნული ნეიტრალური პოზიციის მიუხედავად, ოსური ხელისუფლების ჩამოყალიბების ერთგვარი მონაწილე გახდა, რასაც განსაზღვრავს რეგიონის ტერიტორიაზე მათი არსებობის ფაქტორი;
- ე.წ. სორ-ს პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში გატარებული ზომების და რიგი ფაქტორების გავლენის შედეგად გარკვეული დროით თავიდან იქნა აცილებული ქართული მოსახლეობის სხვადასხვა სახის დაპირისპირებები ჩათრევის საფრთხე. ამავდროულად ოსური მოსახლეობა უნდობლობით ეკიდება პოლიციას, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ კრიმინალური სამყარო გარკვეული ძალების მხრიდან გამოყენებულ იქნას პოლიტიკური მიზნებისათვის.

აფხაზეთი

საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება. 2001 წელი აფხაზეთში მძიმე პოლიტიკური ვითარებით გამოირჩეოდა, რაც სახელისუფლო კრიზისში გამოიხატა. აფხაზეთში მოქმედი ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ნაწილი შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავალს გარკვეულწილად ვლ. არძინბას გადადგომაში ხედავს. მიუხედავად აფხაზური ხელისუფლების მტკიცებისა არძინბას ჯანმრთელობის დადებითი მდგომარეობის შესახებ, ე.წ. პრეზიდენტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა აფხაზეთის საზღვრებს გარეთ და გადიოდა ინტენსიური მკურნალობის კურსს. მის მოვალეობას ასრულებდა ვიცეპრეზიდენტი ვალერი არშბა.

აღნიშნულმა ვითარებამ კიდევ უფრო გაამძაფრა დაპირისპირება აფხაზეთში არსებულ კლანებს შორის. პრემიერ-მინისტრად ანრი ჯერგენიას დანიშვნამ, რომელიც ცდილობს სახელმწიფო ხელისუფლების მართვის ყველა ბერკეტის საკუთარ ხელში მოქცევას, გამოიწვია აფხაზეთის პარლამენტის და საზოგადოებრივი მოძრაობების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილის უკიდურესი უკმაყოფილება. საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტისთვის აფხაზეთის მთავრობის დაქვემდებარებას. ოპოზიციის შეშფოთებას ინვევს ჯერგენიას მიერ განხორციელებული საკადრო პოლიტიკური კურსი. მან უკვე მოახდინა

მინისტრთა კაბინეტში გარკვეული საკადრო გადაადგილება, რაც აშკარად საკუთარი პოზიციების განმტკიცების მცდელობაზე მიუთითებს. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია აფხაზი დეპუტატების უკმაყოფილება, რაც ნოემბრის თვეში სეპარატისტული აფხაზეთის პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატების მიერ პრემიერ-მინისტრის ა. ჯერგენიას გადაყენების მცდელობაში გამოიხატა.

აფხაზეთში „ახალი მთავრობის" ჩამოყალიბების პროცესში შეინიშნებოდა ჯერგენიას ხშირი ვოიაჟები რუსეთში, რაც სავარაუდოდ მიუთითებს, რომ სეპარატისტული ხელისუფლების პოლიტიკური კურსის განსაზღვრა ძირითადად მოსკოვში ხდებოდა.

პარალელურად საყურადღებოა სეპარატისტული აფხაზეთის ურთიერთობა დნესტრისპირეთთან. აგვისტოს თვეში სოხუმში ხელი მოეწერა პროტოკოლს, რომელიც ითვალისწინებს კონსულტაციების ჩატარებას იმ საკითხებზე, რომლებიც შედის ორივე მხარის ინტერესებში: საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარება, საერთო დიპლომატიური, საკონსულო და საპროტოკოლო საქმიანობა. მხარეთა სამუშაო ჯგუფები წელიწადში ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს (შესაბამისად სოხუმსა და ტირასპოლში) აღნიშნული საკითხების რეალიზაციისათვის. ამასთან, 12 დეკემბერს მოსკოვში გამართულ მთიანი ყარაბაღის, დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 2002 წლის თებერვალში ქ. სოხუმში გაიმართება შეხვედრა, რომელზეც განიხილება სეპარატისტული რეჟიმების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც შესაძლოა სამხედრო ბლოკის შექმნაში გამოიხატოს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სეპარატისტული ქმედებებისა, ოქტომბრის თვეში კოდორის ხეობაში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო აფხაზეთის მთავრობის გააქტიურებას რუსეთის ფედერაციაში ასოცირებულ წევრად შესვლის მიმართულებით.

ნიშანდობლივია, რომ 2001 წლის დასაწყისიდან აფხაზეთში აქტიურად მიმდინარეობს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცესი. არსებული მონაცემებით, სოხუმიდან განთიადის მიმართულებით მოსახლეობის 87%-მა უკვე მიიღო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა, რაც აფხაზებისთვის სირთულეს არ წარმოადგენს. საჭირო საბუთების გაფორმებას აწარმოებს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „რუსულ თემთა კონგრესი", რომელსაც ხელმძღვანელობს გენადი ნიკიტენკო.

საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისა და კავკასიის რეგიონში გავლენის შესუსტების საშიშროების არსებობის გათვალისწინებით რუსეთი გარკვეულწილად ხელს უწყობს არაღიარებული სეპარატისტული რესპუბლიკების (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი, დნესტრისპირეთი) პოლიტიკური კავშირის ინსპირირებას, რითაც ცდილობს მოახდინოს ზემოქმედება კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე.

ზემოაღნიშნული სახით მოვლენათა განვითარების ფონზე, აფხაზური მხარე იგნორირებას უკეთებს გაერო-ს გენერალური მდივნის და მეგობარი ქვეყნების ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტის (თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ) ჩარჩოებში მოლაპარაკების წარმოებას და კატეგორიულად აცხადებს აფხაზეთის სუვერენიტეტის შესახებ.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გათვალისწინებით, სეპარატისტებს მიაჩნიათ, რომ ოქტომბრის თვეში კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენები საქართველოს მხრიდან პრობლემის ძალოვანი გზით გადაჭრის მცდელობას იყო. აღნიშნულთან მიმართებაში სოხუმში შეინიშნებოდა დაძაბული ვითარება, რაც აფხაზური მხარის განცხადებით, საომარი მოქმედებების შესაძლო განახლებასთან იყო დაკავშირებული. ამასთან, აფხაზური სახელისუფლო სტრუქტურები მიიჩნევენ, რომ ა. აბაშიძის დანიშვნა საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად კონფლიქტის დარეგულირების პროცესში შედეგს ვერ გამოიღებს, რამდენადაც აფხაზეთი არ ეთანხმება საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ყოფნას, ხოლო საქართველოს მხრიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრის შეცვლა არ აღინიშნება.

კოდორის ხეობაში ქართული საჯარისო ქვედანაყოფების განთავსებით შეშფოთებულმა აფხაზეთის ხელისუფლებამ ქართულ მხარეს შესთავაზა აღნიშნული ტერიტორიიდან მათი გაყვანა, რის სანაცვლოდაც აფხაზები არ მოახდენენ კოდორის ხეობაში საკუთარი შეიარაღებული ნაწილების მასიურ მობილიზებას. აღნიშნულ შეთავაზებაზე ქართული მხარის თანხმობის შემდგომ აფხაზური მხარე თანახმაა დიალოგის გაგრძელებაზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც მისთვის მიუღებელი იქნება უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხის განხილვა.

საყურადღებოა, რომ აფხაზეთის მთავრობას სეპარატისტული მიზნების მისაღწევად გარკვეულ მორალურ მხარდაჭერას უწევენ რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები. კერძოდ, დეპუტატ ალკანისის განცხადებით, დაახლოებით 10 წლის შემდეგ მოხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შერწყმა რუსეთთან, ხოლო საქართველო სულ უფრო დაშორდება რუსეთს. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთის პოზიცია ნათლად გამოიხატა 2001 წლის 30 ნოემბერს გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე, როდესაც რუსეთი თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღების წინააღმდეგ გამოვიდა.

აფხაზეთში მიმდინარე შიდაპოლიტიკური

პროცესებიდან მნიშვნელოვანია ივლისის თვეში სოხუმში აფხაზეთის კომუნისტური პარტიის და რესპუბლიკური პარტია „აფსნი“-ს წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა მემარჯვენე-ცენტრისტული პატრიოტული მოძრაობის დაწყების შესაძლებლობა.

აფხაზეთის კომუნისტური პარტიისა და პარტია „აფსნი“-ს წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს ერთობლივი მიმართვა, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ყველა ფენის კონსოლიდაციას აფხაზეთის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობების გათვალისწინებით. შეხვედრის მონაწილეებმა მემარჯვენე-ცენტრისტული მოძრაობის შექმნის პერსპექტივების განხილვისას, დიალოგისაკენ და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის ძალების გაერთიანებისკენ მოუწოდეს აფხაზეთის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას.

ეკონომიკური ვითარება. გასული წლის სექტემბერში პრეზიდენტ არძინბას ბრძანებით, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა აფხაზეთის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. 2001 წლის ზაფხულში პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ აფხაზეთის მეურნეობებში ვიზიტისას ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სოფლის მეურნეობას.

წინა პლანზე წამოიწია გასაღების ბაზრის უქონლობის პრობლემამ. წლების განმავლობაში ადგილი აქვს ჩაისა და თამბაქოს მზა პროდუქციის გართულებულ რეალიზაციას. ოჩამჩირის რაიონის ადმინისტრაციის დავალიანება ჩაის მწარმოებლების მიმართ, ორ მილიონ რუსულ რუბლს აღწევს. იგრძნობა თანამედროვე ტექნიკის დეფიციტი. საკონსერვო ქარხნის სამექანიზაციო აღჭურვილობა მორალურად მოძველებულია, რაც არ იძლევა მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობას.

ივლისში მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა სახელმწიფო მნიშვნელობის ხიდებისა და საავტომობილო გზების სპეციალური ნუსხა. ასევე შეიმუშავეს მძიმე, მავნე ან საშიშ პირობებში ქალთა და 18 წლამდე ასაკის პიროვნებების შრომის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩამონათვალი. ამასთან, განხილულ იქნა აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარება.

ივლისის შუა რიცხვებში ხელისუფლების გადაწყვეტილებით სასტუმრო „რიცა“ 49 წლის ვადით იჯარით გადაეცა ფირმა „ჩეგემ-2000“-ს. მოლაპარაკების თანახმად, სასტუმროს აღდგენა 2003 წლისათვის არის დაგეგმილი.

სეპარატისტების შეფასებით, აფხაზეთის სანატორიუმებში დამსვენებლების რიცხვმა გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მოიმატა, რაც გამოწვეულია ხელსაყრელი ფასებით და დასვენების კარგი პირობებით. 9 აგვისტოს შემდგარ პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ განაცხადა, რომ მხოლოდ გაგრაში სეზონზე დაახლოებით 20 ათასმა კაცმა დაისვენა. მისი თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აშკარად და გამოკვეთილად განაცხადეს, რომ ისინი არ აპირებენ დაარღვიონ რუსეთის მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები იმით, რომ დაუშალონ მათ აფხაზეთის კურორტებზე დასვენება.

ივლისისში რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის კოლეგიის სხდომაზე განხილულ იქნა საგადასახადო სისტემის კონტროლის მექანიზმის და 2001 წლის პირველ ნახევარში გადასახადების სახით ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობის საკითხები. სხდომაზე მონაწილეობას იღებდნენ ქალაქებისა და რაიონების საგადასახადო სამსახურების უფროსები. სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გადასახადების საერთო რაოდენობის შესრულების მიუხედავად არსებობს ნაკლოვანებები ცალკეულ რგოლებში. კერძოდ, მუდმივ ხასიათს ატარებს დღგ-სა და აქციზის გადაუხდელობა.

ზაფხულში, ქ. პიატიგორსკში გამართულ ასოციაცია „ჩრდილოეთ კავკასია“-ს 25-ე სხდომაზე ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარმომადგენელს კავკასიაში ვიქტორ კანანიკინს და ადიღეს რესპუბლიკის პრეზიდენტს ასლან ჯარიმოვს. შეხვედრაზე განხილულ იქნა აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები. ვალერი არშბას განაცხადებით, მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთისა და კრასნოდარის მხარის ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ.

აგვისტოს თვის დასაწყისში ტყვარჩელში აღადგინეს და წარმოებაში გაუშვეს ასფალტის ქარხანა. ოჩამჩირე-ტყვარჩელის 27 კილომეტრიანი გზის შესაკეთებლად (აღდგენითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს) უკვე შეძენილია გუდრონისა და ცემენტის აუცილებელი რაოდენობა. სარემონტო სამუშაოებისათვის აფხაზეთის მთავრობამ გამოყო 300 ათასი რუბლი, ასევე დაიგეგმა დამატებით 150 ათასი რუბლის გამოყოფა. ამასთან, სექტემბრის თვის შუა რიცხვებისათვის დამთავრდა სოხუმი-ფსოუს საავტომობილო გზის მონაკვეთის ძირითადი ნაწილის მშენებლობა. ხელისუფლებამ გამოყო თანხები ბზიფიდან ტბა რიცამდე და აგრეთვე ცენტრალური ტრასიდან სოფ. მიკამდე არსებული გზის რეკონსტრუქციისათვის.

აგვისტოს თვეში აფხაზეთში იმყოფებოდნენ რუსი ფინანსისტები და ეკონომისტები, რომლებსაც თვის ბოლომდე უნდა წარედგინათ აფხაზეთის ეკონომიკის გაუმჯობესების წინადადებები. აღნიშნულთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ განაცხადა, რომ „იმდენად, რამდენადაც ჩვენ მივდივართ საბაზრო ეკონომიკის გზაზე, საჭიროა ვაწარმოოთ

კონკურენტუნარიანი საქონელი და არა ვყიდოთ ნედლეული, როგორც დღეს ამას ვაკეთებთ.“

აფხაზეთში დამტკიცდა ტელევიზიის ახალი სტრუქტურა და შტატი 125 კაცის შემადგენლობით, რომელშიც გათვალისწინებულია ტექნიკური პერსონალიც. ასევე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტელევიზიის ჟურნალისტებისთვის ხელფასის გაორმაგების შესახებ.

აფხაზეთის პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა მუხლი „ეკოციდი“, ასევე კანონი სხვადასხვა მცენარეების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის შესახებ. კანონის თანახმად აიკრძალა ისეთი მცენარეების გატანა, როგორიცაა აგავა, ურთხელი, ბიჭვინთის ნაძვი, ბზა და სხვა (სულ 55 ჯიშის მცენარე). აღნიშნული კანონის შემოღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში ეროვნულ პარკში და ნაკრძალში მოიჭრა 600-მდე წაბლის, მუხის და წიფლის ხე, რომელთა უმრავლესობა შეტანილია საერთაშორისო წითელ წიგნში. მოჭრილი ხე-ტყის მოცულობამ შეადგინა 3417 კუბური მეტრი. პროკურატურის განცხადებით, მთლიანად აფხაზეთში მოჭრილი და გამოყენებულია 3 000-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის მცენარე, ხოლო ზარალმა 4 მლნ. რუსულ რუბლს გადააჭარბა.

„ჩერნომორენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილის ხუტა ჯინჯოლიას განცხადებით, ელექტროგაყავანილობა მთელი აფხაზეთის მასშტაბით მოძველებულია. მისი თქმით, მხოლოდ სოხუმის ელექტრომომარაგების რეკონსტრუქციის პროგრამა საჭიროებს 42 მლნ. რუბლს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეტაპობრივი რეკონსტრუქციის ჩატარების შესახებ, რომლის განსახორციელებლად პრეზიდენტმა სარეზერვო ფონდიდან გამოყო 600 ათასი რუბლი. სოხუმის მერის ლეონიდ ლოლუას განცხადებით, „ქალაქის ელექტროგაყვანილობის მშენებლობის პირველი ეტაპი დაახლოებით ნახევარი მილიონი რუბლი დაჯდება.“

ოქტომბრის თვის ბოლოს აფხაზეთში კრასნოდარის მხარიდან და ადიღეს რესპუბლიკიდან შემოტანილ იქნა 100 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი (კვების პროდუქტები, მედიკამენტები). 27 ოქტომბერს აფხაზეთში ვიზიტით იმყოფებოდნენ კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ალექსანდრე ტკაჩევი, საკანონმდებლო კრების თავმჯდომარე ვლადიმერ ბიკეტოვი, კრასნოდარის და სოჭის მერები, ასევე ადიღეს წარმომადგენელი ასლან კარაბეტოვი. კრასნოდარის მხარის გუბერნატორის ტკაჩევის განცხადებით, გასულ წელს ყუბანში მოყვანილ იქნა 8 მლნ. ტონაზე მეტი ხორბალი, რომლის ნაწილიც აუცილებლად მიეწოდება აფხაზეთს.

1 ნოემბერს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განხილულ იქნა 2002 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარადგინა ფინანსთა მინისტრმა ლილი ბგანბამ. ხელისუფლებამ, გარკვეული შესწორებების შემდეგ (კერძოდ გაიზარდა თავდაცვის სამინისტროს და აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის დაფინანსება) მიიღო 2002 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომლის თანახმადაც:

- საშემოსავლო ნაწილი შეადგენს 259 239 800 რუბლს;
- ხარჯვითი ნაწილი - 270 300 000 რუბლს;
- დეფიციტი - 11 060 200 რუბლს.

საყურადღებოა, რომ სეპარატისტული აფხაზეთის ეროვნული ბანკის განცხადებით, 2002 წელს არ არის დაგეგმილი აფხაზური ვალუტის შემოღება.

მინისტრთა კაბინეტის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქვანახშირის საბადო, რომელიც ტყვარჩელის რაიონში მდ. ჯიგიტის შესართავთან მდებარეობს, შემდგომი დამუშავებისათვის გადაეცა თურქულ ფირმა „კარაელმა“-ს. სპეციალისტების შეფასებით, ქვანახშირის საბადოს მარაგი 3,8 მლნ. ტონას შეადგენს. ეკონომიკის მინისტრის ადგურ ლუშბას განცხადებით, ხელშეკრულების თანახმად სახელმწიფო 1 ტონა ქვანახშირზე 6 აშშ დოლარს მიიღებს. შემოსავლის 2/3 შევა ადგილობრივ, ტყვარჩელის ბიუჯეტში, ხოლო 1/3 - ცენტრალურ ბიუჯეტში. ხელშეკრულება იძლევა 1500 ახალი სამუშაო ადგილის შექმნის საშუალებას.

სექტემბერში სახელმწიფო კომპანია „აფხაზპურ“-მა შეამცირა ფასები პურზე. ამჟამად უმაღლესი ხარისხის ფქვილისგან დამზადებული 600 გრამიანი პური 4,50 რუბლი ღირს, პირველი ხარისხის - 4,20 რუბლი, მეორე ხარისხის - 3,80 რუბლი. ფასების ვარდნა პურზე გამოიწვია კრასნოდარის მხარეში ფქვილის მსყიდველობითი ფასების დაწევამ. დღესდღეობით სოხუმის პურით მომარაგებაში კერძო საწარმოების წილი 75%-ია.

რთული ვითარებაა ტყვარჩელის რაიონში მიწის გადასახადების მხრივ. გეგმით გათვალისწინებული 484 ათასი რუბლის ნაცვლად, ბიუჯეტში შესულია 258 ათასი რუბლი. რაიონის სოფლების ხელმძღვანელთა განცხადებით, მიწის გადასახადი დაიფარება ციტრუსების რესურსების სრული რეალიზაციის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ გალის რაიონში ციტრუსების დამზადებისა და რეალიზაციის კომპანიას აფხაზთა შეიარაღებული დაჯგუფებები აკონტროლებენ. სოფელ ღუმურიშში 7-კაციანი ჯგუფი თითო ქართველი მოსახლისაგან სახელმწიფო ბეგარის სახით 200 კგ მანდარინს იღებდა, რაზედაც შესაბამის საბუთს გასცემდნენ, რის შემდგომაც ციტრუსის მეპატრონეს უფლება ეძლევა მოახდინოს მოსავლის რეალიზაცია. ქ. გალში მანდარინის სარეალიზაციოდ ჩადიან რუსი მოქალაქეებიც, რომლებიც შემდგომ რუსული სამშვიდობო ძალების დახმარებით ახდენენ შესყიდული ციტრუსების რუსეთში გატანას. აღსანიშნავია, რომ ქ. გალში 1 კგ მანდარინი 6 რუსული რუბლი ღირს, ქ. სოჭში - 18 რუბლი, ხოლო ქ. მოსკოვში - 54 რუბლი. ციტრუსების სეზონთან დაკავშირებით გალის რაიონის სოფ. აჩიგვარაში შეყვანილ იქნა სეპარატისტების 30-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი ვინმე ფოცხო-ოღლის

მეთაურობით, ასევე ქ. გალის დაბალ ზონაში იმყოფებოდა ვინმე ა შხაცავას 10-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი.

ზემოაღნიშნულთან ერთად საყურადღებოა, რომ სეპარატისტები ერთ კილოგრამ თხილში მოსახლეობას უფრო ნაკლებს უხდიან, ვიდრე ზუგდიდის ბაზარზე ღირს. ჩასაბარებელი ფასი დაახლოებით 1,40-1,60 ლარია. გალის რაიონის ადმინისტრაციამ თითოეულ ოჯახს ელექტროენერგიის გადასახადის საფასურად 50 კგ თხილის გადახდა დაუწესა, ხოლო ძირზე ნახევარ კილოგრამს ითხოვენ კრიმინალური დაჯგუფებებიც. ამას გარდა, მიმდინარე წელს გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ გალის თითოეულ სოფელს თვეში 40-60 ტონა თხილის ჩაბარება მოსთხოვა, სანაცვლოდ კი უსაფრთხოების გარანტიებს შეპირდა. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდში გადამუშავებული თხილი ძირითადად თურქეთში გააქვთ, ხოლო აფხაზებისთვის კი გასაღების ბაზარი რუსეთია.

მიმდინარე ეტაპზე სეპარატისტებმა მიუხედავად ეკონომიკაში არსებული სირთულეებისა რუსეთის დახმარებით შეძლეს შეექმნათ ბაზა წარმოების შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო და ტურისტულ სფეროებში. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა საქონელი, რომელიც აფხაზეთში იწარმოება, საექსპორტოდ გადის რუსეთში.

კრიმინოგენური ვითარება. სახელისუფლო კლანებს „აფხაზეთის რესპუბლიკის" მთელი ტერიტორია ფაქტიურად დაყოფილი აქვთ გავლენის სფეროებად. მათ შორის გამუდმებით მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა საკუთარი გავლენის გაფართოებისათვის, რაშიც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ძალოვან სტრუქტურებსა და კრიმინალურ დაჯგუფებებს. აღნიშნული დაპირისპირება ხშირად სისხლისღვრითაც მთავრდება.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული კლანები არათუ ებრძვიან ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადებასა და შემდგომ გავრცელებას, არამედ ხშირ შემთხვევაში აქტიურად უმაგრებენ ზურგს კრიმინალებს ნარკოტიკების საზღვარზე არალეგალურ გადატანაში, რაშიც სოლიდურ მოგებას ღებულობენ.

ივლისში აფხაზეთში განსაკუთრებით დაიძაბა კრიმინოგენური ვითარება. სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში განხორციელებულმა აფეთქებებმა და გახშირებულმა მკვლელობებმა ადგილობრივ მოსახლეობას შორის პანიკა გამოიწვია. აღნიშნულმა ფაქტებმა წარმოაჩინა სეპარატისტების შინაგან საქმეთა სამინისტროს უუნარობა სამართალდარღვევებთან ბრძოლაში, თუმცა სამართალდამცავები, თავის მხრივ, უკვე ნაცად ტაქტიკას - ყოველივე მომხდარის „ქართველ ტერორისტებზე" და პარტიზანებზე გადაბრალებას კვლავაც იყენებენ, რითაც თავს იმართლებენ მოსახლეობის წინაშე.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ოქტომბერში საომარი მოქმედებების დაწყების პარალელურად, სამშვიდობო ძალებმა გააძლიერეს თავიანთი საგუშაგოები და გაამკაცრეს კონტროლი მიმოსვლაზე, რაც ტვირთის გადატანის დროს მათი მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ 4-5 საათიან შეფერხებასა და ფულის გამოძალვაში გამოიხატებოდა.

საყურადღებოა, რომ სხვა დანაშაულთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აფხაზეთის ტერიტორიიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, კერძოდ, ციტრუსებისა და თხილის გატანასთან დაკავშირებულ დანაშაულებს. სწორედ აღნიშნული გარემოება გვევლინება გალისა და ოჩამჩირის რაიონებში მთავარ მადესტაბილიზირებელ ფაქტორად. აგვისტოში აფხაზეთში კრიმინოგენური ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. თხილის სეზონის დადგომამ არსებულ სეპარატისტულ კლანებსა და ფორმირებებს შორის ვითარების ესკალაცია გამოიწვია. 11 აგვისტოს ენგურის ხიდის გადაკეტვაც თხილის ბიზნესთან იყო დაკავშირებული, თუმცა სეპარატისტებმა ეს ფაქტი გამოცხადებული კარანტინით ახსნეს. სინამდვილეში, ისინი ხელს უშლიდნენ თხილის მოსავლის ზუგდიდში გადმოტანას და ენგურზე ძირითად გადმოსასვლელებს მკაცრად აკონტროლებდნენ.

სეპარატისტების სამართალდამცავი ორგანოების ძირითად პრობლემად რჩება კვალიფიციური კადრების უკმარისობა, სამართალდამცავი ორგანოების მომზადებისა და, შესაბამისად, წინასწარი გამოძიების დაბალი დონე. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს სასამართლოების მიერ, ჩადენილი დანაშაულის შეუსაბამო (შედარებით რბილი) განაჩენის გამოტანის ფაქტებს, რაც, თავის მხრივ, მოსამართლეთა კონტინგენტის კორუმპირებულობაზე მიუთითებს.

პროფესიული კადრების დეფიციტი (აფხაზური მილიციის სკოლას არ შეუძლია აუცილებელი კადრებით მოამარაგოს შსს) და პერიოდულად ვითარების დაძაბვასთან დაკავშირებით აფხაზური მილიციის კონტინგენტის დიდი რაოდენობით გალის რაიონში გადასროლა, სახელისუფლო სტრუქტურებში არსებული კორუფცია, კრიმინალური დაჯგუფებების საქმიანობა, ნეგატიურ გავლენას ახდენს აფხაზეთის ტერიტორიაზე კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესებაზე.

სამხედრო ვითარება. კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების პერიოდში საყურადღებოა გუდაუთის 50-ე სამხედრო ბაზაზე არსებული ვითარება.

გასათვალისწინებელია, რომ რუსეთს არ სურდა შეგუებოდა გუდაუთიდან 50-ე სამხედრო ბაზის გაყვანის საკითხს და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა არ დაეშვა სამხედროების გაყვანა აღნიშნული ტერიტორიიდან. ამ მიზნით მოხდა

აფხაზეთის ადგილობრივი მოსახლეობის ფსიქოლოგიური დამუშავება, რომლის შედეგად მათ დაიჯერეს, თითქოს ბაზის გაყვანის შემთხვევაში, საქართველოს შეიარაღებული ძალები განახორციელებენ აფხაზეთის ანექსიას, რამაც გამოიწვია მოსახლეობის მღელვარება. მათ გადაკეტეს ბაზასთან მისასვლელი გზები მოთხოვნით - აფხაზეთის ტერიტორიიდან არ გასულიყვნენ რუსი სამხედროები. თავის მხრივ, აღნიშნულმა ფაქტმა რუსეთს გარკვეულწილად საშუალება მისცა, ერთი მხრივ, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების არშესრულების საპასუხოდ თავი ემართლებინა აფხაზი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო, მეორე მხრივ, დაედანაშაულებინა ქართული მხარე, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა აღებული ვალდებულებების შესრულებას რუსი სამხედროების გაყვანის პროცესში მათი უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით.

გუდაუთიდან სამხედრო ბაზის გაყვანის პროცესის ჩაშლის ან გაწელვის მცდელობად შეიძლება აღვიქვათ რუსეთის მხრიდან გაკეთებული განცხადება გუდაუთის ბაზაზე არსებული სამხედრო ტექნიკის არ განადგურების შესახებ (მათი განმარტებით აღნიშნული ტექნიკა იმყოფება გამართულ მდგომარეობაში და ესაჭიროება რუსეთის შეიარაღებულ ძალებს). რაც შეეხება გუდაუთის სამხედრო აეროდრომის დემონტაჟს, რუსული მხარის განმარტებით აღნიშნული პროცესი დაახლოებით 5 წლის მანძილზე გაგრძელდება, იმის გათვალისწინებით, რომ ჩასატარებელი სამუშაოები განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობების და აფხაზი მოსახლეობის პროტესტისა, 26 ოქტომბერს რუსული მხარის განცხადებით დამთავრდა რუსული შეიარაღებისა და საზენიტო დანადგარების გატანის პროცესი, თუმცა ეს ფაქტი ჯერაც არ არის დადასტურებული გაეროს დამკვირვებლების მიერ. სოხუმის თანმხმობა, აფხაზეთიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანის თაობაზე, იმანაც განაპიროობა, რომ დაიწყო გუდაუთის ბაზის მოდიფიცირება, რაც მძიმე შეიარაღების გარეშე რუსეთის სამშვიდობო ძალების 600-მდე წარმომადგენლის დატოვებას ითვალისწინებს.

29 ნოემბერს ჭუბურხინჯში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების ახალი ნაწილები ენგურის სანაპიროს 12 კილომეტრიან ზოლში განლაგდნენ. აღნიშნული ფაქტი აშკარად მიგვანიშნებს, რომ რუსეთის მხარე ცდილობს აგრძნობინოს საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთში მის ხელთ არსებული სამხედრო კონტინგენტის ძალაზე, რომელიც მზად არის სეპარატისტების მხარდასაჭერად. ამავე მიზნით განხორციელდა სამშვიდობო ძალების შედარებით მოძველებული საბრძოლო ტექნიკის შეცვლა ახლით, ხოლო მოგვიანებით კი ჩატარდა რუსული სამშვიდობო კონტინგენტის როტაცია.

სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსმა დიმიტრი ბუგაევმა დაამთავრა მუშაობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში და დროებით, მის ადგილზე დაინიშნა პოლკოვნიკი ვალერი ლეონიდეს ძე ჯოევი, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ აფხაზეთისა და რუსეთის შემდგომი ურთიერთობა სამხედრო სფეროში უცვლელი დარჩება. საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, რუსეთი გუდაუთის 50-ე ბაზის კონტინგენტის სრულად გაყვანის შემთხვევაშიც, საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, კვლავ შეეცდება აფხაზების მორალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას. სავარაუდოდ, რუსეთი გამოიყენებს დსთ-ს ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული რესპუბლიკების მიერ სამხედრო ურთიერთდახმარების ბლოკის შექმნის იდეას, აფხაზი სეპარატისტების სამხედრო დახმარებისა და მომზადებაში მონაწილეობის დასაფარავად.

ოქტომბრის თვეში კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების განხილვამდე აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ აგვისტოში აფხაზურმა მხარემ განახორციელა რიგი სამხედრო ოპერაციებისა მარუხის უღელტეხილზე და აჩიგვარას მთის მიდამოებში, სადაც სეპარატისტებმა ვერტმფრენით სადესანტო ჯგუფი გადასხეს. ოპერაციას ჰაერიდან სუ-25 ტიპის გამანადგურებელი აკონტროლებდა. ოპერაციის მიზანს ხეობაში ქართველ პარტიზანთა მოქმედებების აღკვეთა წარმოადგენდა. ამავდროულად მზადყოფნაში იყო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 67-ე საარმიო კორპუსის შემადგენლობიდან გამოყოფილი მაიკოპის 131-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა, რომელიც შეყვანილ იქნა აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ჯარების შემადგენლობაში.

აღსანიშნავია, რომ შექმნილი დაძაბული მდგომარეობიდან გამომდინარე, სეპარატისტული აფხაზეთის და როსტოვის ოლქის დამოუკიდებელმა სამხედრო პროფკავშირებმა 7 სექტემბერს ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის ერთობლივ ხელშეკრულებას.

ზემოაღნიშნულ მოვლენებს ამძაფრებდა აფხაზეთში 25-27 სექტემბერს ტყვარჩელისა და აფხაზთა მიერ კონტროლირებადი კოდორის ხეობის ნაწილში ჩრდილოეთ კავკასიელებისა და ადგილობრივი პარტიზანებისაგან შემდგარი შეიარაღებული ჯგუფების დაფიქსირება. მიუხედავად აფხაზების მხრიდან ძალოვანი სტრუქტურების მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე გადასვლისა, სექტემბრის პირველ დეკადაში ზემოაღნიშნულმა შეიარაღებულმა ჩეჩნურმა დაჯგუფებამ მოახერხა გადასულიყო კოდორის ხეობის იმ ნაწილში, რომელსაც ოფიციალური

თბილისი ვერ აკონტროლებს.

ოქტომბრში კი აფხაზეთში ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებთან აფხაზეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. განვითარებული საბრძოლო მოქმედებების ფონზე აშკარად გამოიკვეთა გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზისა და, ასევე, დსთ-ს სამშვიდობო ძალების მხარდაჭერა აღნიშნულ მოვლენებში სეპარატისტების სასარგებლოდ.

საომარი მოქმედებების განმავლობაში კოდორის ხეობა ინტენსიურად იბომბებოდა „მი-24" და „სუ-25" ტიპის საფრენი აპარატებიდან. აღსანიშნავია გაზეთ „მოსკოვსკოე ნოვოსტი"-ში დაბეჭდილი სტატია, რომლის მიხედვითაც „მი-24" ტიპის ვერტმფრენების შეძენა, შენახვა და კვალიფიციური მფრინავების დაქირავება აფხაზურ მხარეს დამოუკიდებლად არ შეუძლია, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულ საფრენ აპარატებს რუსი პილოტები მართავდნენ.

ოქტომბრის ბოლოსათვის კოდორის ხეობაში საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის მიუხედავად სიტუაცია კვლავ დაძაბული რჩებოდა.

ნოემბრის დასაწყისში სეპარატისტული აფხაზეთის უშიშროების საბჭოს დავალებით, აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საბჭომ განიხილა ყველა ასპექტი, რომელიც დაკავშირებული იყო კოდორის ხეობაში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებთან. სამხედრო საბჭოს სხდომა ჩატარდა თავდაცვის მინისტრის ვლ. მიქნბას თავმჯდომარეობით. საბჭოში მონაწილეობას იღებდნენ სარეზერვო (სამობილიზაციო განწესლის) ბრიგადების მეთაურებიც.

კოდორის ხეობაში ვითარების ანალიზის შემდეგ, სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სპეციალური ანტიტერორისტული ქვედანაყოფის შექმნის შესახებ, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ აფხაზეთის არმიის რეგულარული ნაწილები პრაქტიკულად მოუმზადებელი შეხვდნენ მოწინააღმდეგის შეჭრას აფხაზეთის ტერიტორიაზე (ახალი ბიუჯეტის პროექტით, თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხის ერთი მესამედი დაიხარჯება სწორედ აღნიშნული ქვედანაყოფების შექმნისათვის).

აღსანიშნავია, რომ აფხაზი სეპარატისტების მთავარ მებრძოლ ძალას წარმოადგენენ მოხალისეები და რეზერვისტები, რომელთა ბრძოლებში მონაწილეობაც აიხსნება მათი ინდივიდუალური თვისებებიდან და სეპარატისტისადმი შეხედულებებიდან გამომდინარე. კოდორის მოვლენებმა გამოავლინეს სეპარატისტული აფხაზეთის რეზერვისტების საკმაოდ მაღალი საბრძოლო და მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა. რეზერვისტების უმრავლესობა 1992-93 წ.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მონაწილეა. მათ გააჩნიათ გარკვეული სამხედრო გამოცდილება. რეზერვისტების ძალის გამოყენებით, რუსული სამხედრო დახმარების მიღებამდე, გარკვეულწილად, შესაძლებელი გახდა რეალური და მოსალოდნელი საფრთხის მიმართულებებზე თავდაცვის ორგანიზება, ხოლო, საბრძოლო მოქმედებების შემდგომ, ტერიტორიის წმენდის ოპერაციების განხორციელება (9 ოქტომბერს რეზერვისტებმა პოზიციებზე თითქმის მთლიანად შეცვალეს რეგულარული ნაწილების ჯარისკაცები). აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა რეზერვისტს პირად მფლობელობაში გააჩნია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც მშვიდობიანობის დროს მათ საცხოვრებელ ბინებში ინახება. კოდორის ხეობაში მიმდინარე ბრძოლების დროს რეზერვისტები ტყვია-წამალს ღებულობდნენ აფხაზური სამხედრო ნაწილებიდან, რასთან დაკავშირებითაც სეპარატისტების აღიარებით დაიხარჯა სამჯერ მეტი ტყვია-წამალი, ვიდრე 1998 წლის მაისის გალის მოვლენების დროს. საყურადღებოა, რომ აფხაზეთში რეზერვისტთა საერთო რაოდენობა შეადგენს 28 ათასს, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მხოლოდ 5-8 ათასი რეალურად ბრძოლისუნარიანი რეზერვისტის მობილიზება.

ყოველივე ზემოთქმულის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- სეპარატისტებს, მათი ფინანსებიდან გამომდინარე არ შეუძლიათ რეალურად ჩამოაყალიბონ და შექმნან რეგულარული არმია. ამასთან დაკავშირებით, ისინი განიხილავენ მობილური სპეციალური ქვედანაყოფების შექმნას, აგრეთვე კონტრაქტის საფუძველზე დაქირავებული ბოევიკების გამოყენებას, რომელთაც უკვე აქვთ გარკვეული ბრძოლების გამოცდილება, რაც შესაძლებლობას მისცემს სეპარატისტებს მუდმივ მზადყოფნაში იყოლიონ ბოევიკთა ჯგუფების საკმარისი რაოდენობა;
- აფხაზი სეპარატისტების რეგულარული ნაწილების ბრძოლისუნარიანობის ვარდნა, პირველ რიგში გამოწვეულია თვითშეფასების მაღალი დონით და იმით, რომ მათი აზრით ქართული არმიას არ შესწევს უნარი ფართომასშტაბიანი ომის წარმოებისათვის. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ აფხაზური ხელისუფლების მიერ 2001 წლის ბიუჯეტში მთავარი ადგილი ეკონომიკის აღორძინებას დაეთმო, ხოლო ეროვნული უსაფრთხოების განხრით მხოლოდ ქართველი პარტიზანების მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეთმობოდა ყურადღება;
- რაც შეეხება სეპარატისტების იარაღით დატყვია-წამლით მომარაგებას, სავარაუდოა, რომ ძირითადი ნაწილი შეიარაღებისა, შემოდის რუსეთიდან და შემოდის სწორედ იმ დროს, როდესაც წარმოიქმნება სერიოზული საშიშროება ქართული არმიის აფხაზეთში შეჭრისა.

ზემოაღნიშნულის პარალელურად საყურადღებოა, რომ აფხაზ სეპარატისტთა შეიარაღებული ძალების გაძლიერების მიზნით ხდებოდა და ახლაც ხდება 50-ე ბაზიდან რუსი ოფიცრების მოზიდვა აფხაზურ არმიაში. მათი გადაბირების მიზნით სეპარატისტების წარმომადგენლები ზაფხულის პერიოდიდან აქტიურ პროპაგანდას

ეწეოდნენ თვით ბაზის ტერიტორიაზეც კი, რაშიც მათ აქტიურად ეხმარებოდა სამხედრო ბაზის სამეთაურო შემადგენლობა. აშკარაა, რომ რუსეთის მხარე ცდილობს გაითვალისწინოს მოვლენების განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტი, თვით აფხაზეთის ტერიტორიიდან მათი წასვლის შესაძლებლობის ჩათვლით. აქედან მიმდინარეობს მათი სურვილიც - აამაღლონ სეპარატისტების საბრძოლო მომზადების დონე და ბრძოლისუნარიანობა. ასევე აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს სეპარატისტების მიერ გუდაუთის ბაზიდან სამხედრო ამუნიციის და ქონების გამალებული შესყიდვის და მათ ხელთ არსებული საბრძოლო ტექნიკის აღდგენა-შეკეთების პროცესი, რაშიც აქტიურად ეხმარებიან რუსი სამხედროები.

აფხაზეთში გამოქვეყნდა ვიცე-პრეზიდენტის ვ. არშბას კანონი, რომლის მიხედვითაც სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული იქნება ყველა უმაღლესი, თუ საშუალო განათლების მქონე პირი, რომლებსაც სამხედრო სამსახური არ გაუვლიათ. რაც შეეხება გალის რაიონს, აქ ადგილობრივ მაცხოვრებლებს აფხაზურ სამხედრო ძალებში არ იწვევენ, თუმცა ისინი სანაცვლოდ 500 რუსულ რუბლს იხდიან. ქ. გალის კომისარიატის წარმომადგენლის განმარტებით, ეს თანხა აფხაზეთის ჯარს საკვები პროდუქტების შესაძენად ხმარდება. ტყვარჩელის რაიონში კი გადავადების ოფიციალური გადასახადი 1000 რუსულ რუბლს შეადგენს.

***

მსოფლიოში მიმდინარე ანტიტერორისტულმა კამპანიამ, თავისთავად, ასახვა ჰპოვა კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, თუმცა რეგიონი კვლავ რჩება რუსეთის, დასავლეთისა და გარკვეულწილად ისლამური სამყაროს ინტერესების გადაკვეთის წერტილად. ამიერკავკასიის სახელმწიფოების სხვადასხვა პოლიტიკური კურსი იწვევს გარკვეულ დისბალანსს მთლიანად რეგიონში, რაც ადვილად სამართავს ხდის აღნიშნულ ქვეყნებს სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ აშშ და რუსეთი რეგიონში საკუთარი პოზიციების გაძლიერების მიზნით ტრადიციული, შესაბამისად, ეკონომიკური და სამხედრო ბერკეტების გამოყენებასთან ერთად ცდილობენ აღნიშნული მიზნის სხვა, არატრადიციული მეთოდებით განხორციელებას. აშშ მასზე ორიენტირებული პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ბაზების გამოყენებით ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელებასთან ერთად, თვალისწინებს საკუთარი სამხედრო ყოფნის დაფიქსირებას ზემოაღნიშნულ ქვეყნებში.

თურქეთი, თავისი სამხედრო პოტენციალის და გეოსტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით, ახორციელებს საკუთარი ძალისა და მნიშვნელოვნების დემონსტრირებას რეგიონში. იმის გათვალისწინებით, რომ იგი ერთადერთი ისლამური ქვეყანაა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემადგენლობაში, ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობისას ცდილობს არ გამოიწვიოს ისლამური სამყაროს უარყოფითი რეაქცია. ბოლო პერიოდში თურქეთის სწრაფვა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ მიუთითებს, რომ იგი, საბოლოო ჯამში, ვერ ახდენს რუსეთის, როგორც ძლიერი მეზობლის, არსებობის ფაქტის იგნორირებას.

აღსანიშნავია, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში რეფორმატორები, კონსერვატორების წინააღმდეგობის მიუხედავად, და რუსეთთან არსებული წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური ურთიერთობის ფონზე არ გამორიცხავენ დასავლეთთან და კერძოდ აშშ-თან ურთიერთობის გარკვეულწილად დაბალანსებას, რაც შესაძლოა მომავალში ირანზე დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნის წინაპირობას წარმოადგენდეს.

ზემოთქმული გლობალური პროცესები გავლენას ახდენს საქართველოს როგორც საგარეო, ასევე შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაზე. რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რეგიონის რესპუბლიკებში არსებული ვითარება ასახვას პოულობს ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ პანკისის ხეობაში, კოდორის ხეობაში და აფხაზეთში ვითარების გაუარესებაზე, ხოლო აფხაზეთის პრობლემა თავისთავად წარმოადგენს რუსეთისათვის საქართველოში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე ზემოქმედების ძლიერ ბერკეტს.

ზვიად ჩხაიძე
კავკასიური კლუბის წევრი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.smi.ru
2. www.kolokol.ru
3. www.fas.org
4. www.inopressa.ru
5. www.100news.ru
6. Независимая газета-გაზეთი
7. Голос Армении-გაზეთი
8. www.turkishpress.com
9. www.azg.am
10. www.cumnurient.com
11. www.aravot.am
12. www.panarmenian.net
13. www.noyan-tapan.am
14. "Эхо" - გაზეთი
15. Бакинский Рабочий-გაზეთი
16. www.gazetasng.ru
17. www.kavkaz.org
18. www.kavkazveb.com
19. www.sakartvelo.ru
20. www.apkhaziainfo.narod.ru

წინამდებარე სტატიაში წარმოგიდგენთ საქართველოში არსებული კრიზისების მართვის სტრუქტურას, რომელსაც შევადარებთ ნატო-ში დაგროვილ გამოცდილებასთან. სტატიაში აგრეთვე აღწერილია კრიზისების სხვადასხვა ფორმები და ბუნება და მოკლედ განხილულია საქართველოში არსებული ზოგიერთი კრიზისი.

კრიზისის ბუნება, რეგულირების ჩარჩოები

კრიზისის განმარტება. კრიზისის რეგულირების ჩარჩოების დადგენისათვის პირველი ნაბიჯი ტერმინთა - „კრიზისი" და „კრიზისის დარეგულირება" - განსაზღვრაა. სამწუხაროდ არ არსებობს ამ ტერმინთა საერთაშორისო განსაზღვრება. ამიტომ საერთაშორისო კრიზისების სახეობების განხილვისათვის შემოგთავაზებთ ქვემოთ მოცემულ რამოდენიმე განმარტებას:

- კრიზისი შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც „ეროვნული ან საერთაშორისო სიტუაცია, როდესაც საფრთხე ემუქრება მონაწილე მხარეთა უმაღლეს ღირებულებებს, ინტერესებს ან მიზნებს." (ნატო-ს კრიზისების მართვის სახელმძღვანელო);
- „სწრაფად განვითარებად მოვლენათა ერთობლიობა, რომლებიც დესტაბილიზაციის გამომწვევ ძალთა წყალობით იკრებენ ძალას საერთაშორისო სისტემასა თუ მის ქვესისტემაში, რაც ზრდის სისტემაში ძალის გამოყენების ალბათობას";
- „მძაფრი კონფლიქტის პერიოდში ორ ან რამდენიმე სუვერენულ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის ურთიერთქმედების ჯაჭვი, ჯერ კიდევ არა ომის, მაგრამ ომის დაწყების საფრთხის საშიშროების განცდის ვითარებაში";
- „ორ ან რამოდენიმე მოწინააღმდეგე მხარეებს შორის არსებული ცვალებადი ვითარება, რომელიც მძაფრი დაძაბულობით ხასიათდება."

რომელი განმარტებაც არ უნდა ავირჩიოთ აუცილებელია გვახსოვდეს, რომ კრიზისი, როგორც სილამაზე, ინდივიდუალური აღქმის საგანია. რასაც ერთი მხარე განიხილავს, როგორც კრიზისს, მეორისათვის ის შეიძლება სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდეს.

ჩვეულებრივი სამშვიდობო ოპერაციები შეიძლება განვიხილოთ, როგორც კრიზისის ყველაზე დაბალი დონე. დაგეგმარების ზოგიერთი პროცედურის შესაბამისად ითვლება, რომ ისეთი მცნებები როგორც „მშვიდობა" და „კრიზისია" პოლარული მდგომარეობებია, ხოლო ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. თუმცა ასეთი განსხვავება არ არის არსებითი კრიზისის რეგულირების სტრუქტურის განსაზღვრისათვის. ასეთი ჩარჩოები უნდა ითვალისწინებდნენ პროცესის უწყვეტობას, რომელიც მოიცავს ყველა ეტაპს, დაწყებული მშვიდობიანი მდგომარეობიდან ომამდე, „კრიზისის" განსაზღვრებისგან დამოუკიდებლად.

კრიზისის რეგულირება. კრიზისების დარეგულირება, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მოიცავს ორგანიზაციის (სახელმწიფოს ან მისი კონკრეტული სტრუქტურების) ჩართვას, ღონისძიებების გატარებასა და მოქმედებას იმ მიზნით, რომ მოხდეს:

- ხელმძღვანელობის მიერ სიტუაციის სრული კონტროლის ქვეშ აყვანა;
- ღონისძიებათა შედეგად კრიზისის მარეგულირებელთა მიერ კრიზისის მსვლელობის სწორი კურსის განვითარება და, შესაბამისად, მისი დარეგულირების გზების მოძებნა.

ასეთი ღონისძიებები და მოქმედებები მოიცავენ: ინფორმაციის შეგროვებას და მის შეფასებას, სიტუაციის ანალიზს, საბოლოო მიზნების განსაზღვრას, საპასუხო ქმედებათა ვარიანტების შემუშავებას და მათი შედარებითი სამუშაოების ჩატარებას, შერჩეულ ვარიანტთა რეალიზაციას და, ციკლის დამთავრებისას შესწავლილი რაიონებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კონფლიქტის მხარეთა საპასუხო რეაქციების ანალიზს. ამგვარი მიდგომა აუცილებელს ხდის აღწერილ იქნას კრიზისის რეგულირების მთელი სპექტრი, ისეთი მცნების საფუძველზე როგორიცაა „კრიზისის არსებობის ციკლი", რის შედეგადაც მოგვეცემა საშუალება შევიმუშავოთ კრიზისის რეგულირების პროცესის ჩარჩოები.

რომელიმე მხარე იწყებს კრიზისის მიჩნევას სერიოზულად, იმ აზრით, რომ მის უმაღლეს ღირებულებებსა დ მიზნებს საფრთხე ემუქრება, თუ საფრთხე რეალურია და დაუშვებლად ფართომასშტაბიანი. იმავდროულად საფრთხე გარდაუვალი ხასიათის უნდა იყოს. თუ ის მსხვილმასშტაბიანი, მაგრამ არა პირველი რიგის გადასაწყვეტია, ასეთ შემთხვევაში კრიზისი სახეზეა, მაგრამ

შედარებით დაბალ დონეზე, რადგანაც არსებობს **საკმარისი დრო** საპასუხო რეაგირების დასაგეგმად. ზუსტად ასევე, როდესაც საფრთხე მცირე ინტენსივობისაა, მაშინ, მიუხედავად მისი გადაწყვეტის აუცილებლობისა, კრიზისი უფრო დაბალ დონეზეა. აღსანიშნავია, რომ ვითარების ამგვარი შეფასება შეიძლება შეიცვალოს ერთი ან რამოდენიმე მხარის გაუთვალისწინებელი მოქმედებების შედეგად ან მოვლენათა კონკრეტული განვითარების გამო.

კრიზისის სერიოზულობა. კრიზისის სერიოზულობის ხარისხის განსაზღვრისას შეიძლება დავეყრდნოთ ზემოთ მოცემულ მარტივ წარმოდგენებს, კერძოდ, მთავარი ღირებულებების, ინტერესებისა და მიზნების წინაშე წარმოქმნილი საფრთხეების მასშტაბებსა და რიგითობას.

კრიზისის სერიოზულობის ამგვარი განმარტება შეიძლება დავუკავშიროთ კრიზისის მნიშვნელობის შეფასებას მასში მონაწილე მხარეთათვის. გრაფიკში №1 ნაჩვენებია როგორ შეგვიძლია გავანაწილოთ სერიოზულობის ხარისხი ცალკეული კრიზისებისათვის. ნათლად ჩანს, რომ კრიზისი სერიოზულობის მაღალ ხარისხზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრთხე **სრულმასშტაბიანია**, ხოლო რიგითობის მიხედვით **გარდაუვალი**.

ინტენსივობის მცნება.

კრიზისის ინტენსივობა. კრიზისთან დაკავშირებული სხვა მცნებაა მისი ინტენსივობა, ანუ სიმწვავის ხარისხი. მართლაც რაც უფრო აგრესიულად მოქმედებს ერთი ან რამოდენიმე მხარე მით უფრო მაღალია კრიზისის ინტენსივობა. ეს მცნება განსხვავდება კრიზისის სერიოზულობისაგან. მაგალითად, შეიძლება წარმოიშვას ვითარება, როდესაც კრიზისი განსაკუთრებით სერიოზულია, მაგრამ არა მაღალი ინტენსივობის. პირიქით, შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში კრიზისის ინტენსივობის გრაფიკში მნიშვნელოვანი რყევები შეიძლება მოხდეს. ამ გრაფიკის მრუდის მიმართულება არ არის დამოკიდებული იმაზე თუ რომელი მხარის პერსპექტივა იქნა მიღებული ათვლის წერტილად. ის დამოკიდებულია ძალადობის ხარისხზე და არა შეფასებებზე.

№2 გრაფიკში 1947-83 წლებში მიმდინარე რეალური კონფლიქტის მაგალითზე ნაჩვენებია კრიზისის ინტენსივობის გათვლა. თვალნათლივ ჩანს, რომ შედარებით მაღალი ინტენსივობის პერიოდებს (ან „ძალადობის დონეს") ენაცვლება ინტენსივობის შედარებით დაბალი დონის პერიოდები.

გრაფიკი №1

კრიზისის სერიოზულობა გაბმულ მექანიზმის მასშტაბურობის და რეგიონების კვეთაში

სერიოზულობის დონე	გარდაუვალი	სერიოზულობის დაბალი დონე	სერიოზულობის საშუალო დონე	სერიოზულობის მაღალი დონე
	შეიძლებული	სერიოზულობის დაბალი დონე	დაბალი საშუალო დონე	სერიოზულობის საშუალო დონე
	შორეული	სერიოზულობის დაბალი დონე	სერიოზულობის დაბალი დონე	სერიოზულობის დაბალი დონე

მექანიზმის მასშტაბური

აღსანიშნავია, რომ კრიზისის სერიოზულობის ხარისხი შეიძლება თითქმის ცვლილებების გარეშე შენარჩუნდეს კრიზისის არსებობის ძთელი პერიოდის განმავლობაში, რაც სვარაუდოდ კონფლიქტის მხარეების მიერ განხორციელებული მოქმედებების რეზულტატია. ნათელია, რომ კრიზისის სერიოზულობის კონცეფცია თავის როლს თამაშობს იმ აზრით, რომ მხარეებმა უნდა გაატარონ და სინამდვილეშიც ანხორციელებენ კრიზისის მნიშვნელობის შეფასებას, როდესაც ისინი რეაგირებენ მასზე. მიუხედავად ამისა, კრიზისის სერიოზულობა არ გვევლინება კრიზისის მთავარ მექანიზმად კრიზისების რეგულირების ფორმულაში. ეს ასპექტი მხოლოდ ცვლადი ინდიკატორის როლს ასრულებს, რომელიც აირეკლავს მშვიდობის მდგომარეობიდან კრიზისში და პირიქით გადასვლის პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს. როგორც კი გადაწყვეტილება მიღებულია, ეს ასპექტი კარგავს თავის როლს. უფრო მნიშვნელოვნად გვევლინება კრიზისის

კრიზისის ცხოვრების ციკლი. კრიზისი, გამოიწვეული მიზეზებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, ეკოლოგიური, სოციალური და ა.შ. ძალიან ხშირად კრიზისები შერეული ხასიათისაა, თუმცა ყოველთვის ჭარბობს რომელიმე ერთი მიმართულება ან თემა. შეშფოთების მიზეზები უნდა იყოს სასიცოცხლო ან მნიშვნელოვანი და ისინი პირდაპირ თუ ირიბად ყოველთვის იქნებიან დაკავშირებული სახელმწიფოს ძლიერების ან გავლენის გაფართოებასა თუ დაცვასთან. მაგალითად, ეკონომიკურ კრიზისს შეიძლება ჰქონდეს სოციალური ან პოლიტიკური ხასიათი, რომელსაც მივყავართ უწესრიგობამდე, წესრიგის აღსადგენად და სამხედრო მანქანის გამოყენებამდე. ამ შემთხვევაში მთავარი აქცენტი კეთდება კრიზისზე, რის გამოც, პოტენციურად შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო მოქმედებები კრიზისზე კონტროლის დამყარების მიზნის ხელშესაწყობად და მის სამომავლო

გრაფიკი №2

1947-1983 წლებში კრიზისის ინტენსივობა



კურსზე ზემოქმედებისათვის. თუმცა ქვემოთ მოყვანილის დიდი ნაწილი აგრეთვე გამოიყენება ღონისძიებების წარმოდგენილი მატრიცა მთლიანობაში განსაზღვრავს კრიზისების დარეგულირების მთავარ ელემენტებს.

გრაფიკი №3

კრიზისის მდგომარეობა



სხვა ტიპის კრიზისების დროსაც.

ასეთ ფონზე კრიზისების ცხოვრების ციკლი შეგვიძლია აღვწეროთ კრიზისების დარეგულირების თვალსაზრისით. №3 გრაფიკში მოცემული მრუდის სხვადასხვა მონაკვეთები, ჩვენი განმარტებით, შეესაბამება „კრიზისების სტადიებს." ეს საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ერთმანეთთან დაკავშირებულ „კრიზისების დარეგულირების ღონისძიებების" ძირითად ეტაპებს. **კრიზისის სტადიების**/კრიზისის დარეგულირების

კრიზისის სტადიები. არსებობს კრიზისის განვითარების პროცესის ორი ეტაპი - **ესკალაციის,** რომელსაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ცვლის **დეესკალაციის** ეტაპი. ასეთი გადასვლა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ეტაპზე, რაც განსაზღვრავს „კრიზისების" პროცესს.

ესკალაციის ეტაპი. ტიპიური მრუდი იწყება სტადიაზე, რასაც ჩვენ ვეძახით „მშვიდობას". იგი ხასიათდება სახელმწიფოებს შორის საკუთარი ინტერესების დაცვის ჩვეულებრივი ურთიერთო-

ბებით. განსაზღვრება „მშვიდობა“ ნიშნავს კრიზისის სტადიას, როცა ძალადობა არსებობს მცირე ხარისხით ან საერთოდ არა აქვს ადგილი, და, აგრეთვე, როცა სახელმწიფოს ყველაზე პირველხარისხოვან მიზნებს საფრთხე არ ემუქრება. აღნიშნული არ გულისხმობს, რომ პოტენციურ მოწინააღმდეგეთა შორის დაძაბულობა არ არის. კრიზისების რეგულირების მთავარი კომპონენტია მიმდინარეკვითარებაზემუდმივი თვალყურისდევნება, სადაზვერვო მონაცემების შეგროვებისჩათვლით.

შემდგომ მრუდმა შეიძლება აიწიოს ზემოთ „უთანხმოებისაკენ!“, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს უპირველეს მიზნებს საფრთხე ემუქრება. კრიზისის ამ სტადიის დროს მეორე მხარის მოტივებთან და მოქმედებებთან დაკავშირებით წარმოიშვება განგაშისა და ეჭვის მდგომარეობა. ის ხასიათდება სიფხიზლის მდგომარეობის ამაღლებით, აგრეთვე, დაშინებისა და მუქარის სტრატეგიით. კრიზისების რეგულირების მთავარი ღონისძიებებია: კრიზისების დროულად გამოცნობის უნარი და რეაგირების დაგეგმვა, მიზნობრივი ინფორმაციის მიღების მცდელობა, - მდგომარეობის ყოველმხრივი შეცნობისათვის; რათა გაირკვეს კრიზისის მიზეზები, კონფლიქტში ჩათრეული მხარეების მიზნები და ამოცანები, ასევე, ამ მიზნების მისაღწევად ჩაფიქრებული სტრატეგიული გეგმები.

შემდეგ ეტაპზე მრუდი შეიძლება უფრო ამაღლდეს და მიაღწიოს ,,კონფრონტაციის“ ნიშნულს. რაც მიგვითითებს იმაზე, რომ ქმედებები უფრო ძალადობრივ ხასიათს ღებულობენ. ძალადობას მიმართავს ერთი ან რამდენიმე მხარე, შესაბამისად, კრიზისი უფრო მწვავდება. კრიზისის განვითარების ეს სტადია იწვევს ღრმა შეშფოთებას მოწინააღმდეგეთა მოტივებისა და ქმედებების გამო. ტარდება სამხედრო მანევრები (რომლებიც, კრიზისის გამწვავების კვალობაზე უფრო და უფრო აგრესიულნი ხდებიან), იწყება მზადება ჯარების განლაგებისთვის, ჯარის ოპერატიული ნაწილი, ფაქტობრივად, საბრძოლო პოზიციებს იკავებს. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ულტიმატუმებს უყენებენ. კრიზისის შეკავება რეგულირების მთავარი ფაქტორი ხდება, თუმცა, მხარეები აქტიურად ემზადებიან შესაძლო შეიარაღებული კონფლიქტისათვის.

შემდეგ, მრუდი ზენიტს აღწევს, როდესაც იწყება ,,შეიარაღებული კონფლიქტის“ ეტაპი. აღინიშნება, რომ კრიზისის შეკავებისა და თავიდან აცილების მცდელობა უშედეგოა. საბოლოოდ, იწყება შესაძლო (და არა გარდაუვალი) შეიარაღებული კონფლიქტი.

დეესკალაციის ეტაპი. საბოლოოდ, კრიზისის სიმწვავე ნელ-ნელა ცხრება, რაც მიგვანიშნებს „დაცხრომის“ სტადიაზე. მრუდი დაბლა ეშვება, რადგან კლებულობს მხარეთა მიერ გამოყენებული ძალადობა. ამ დროისათვის შესაძლებელია ჯარების გამოყვანა და აღიარება, რომ მცირდება საფრთხე ქვეყნის პირველხარისხოვანი მიზნების მიმართ. შესაძლებელია, რომ კრიზისი დამთავრდეს, თუმცა არ იყოს წარმატებით დარეგულირებული. კრიზისის ამ ეტაპზე მატულობს რწმენა, რომ ყველაზე უარესი პერიოდი გავლილია და მოწინააღმდეგე მხარეები ყველა ღონეს ხმარობენ ორმხრივ მისაღები პოსტკრიზისული სტაბილურობის მისაღწევად. ამ ეტაპზე დარეგულირების მთავარ ღონისძიებად მიჩნეულია ჯარების დაშორიშორება, რაც ხასიათდება ჯარების დისლოკაციის ადგილის შეცვლით. აგრეთვე, მშვიდობის დამყარება მოლაპარაკებების გზით, შუამავალთა დახმარებით.

შემდეგ მრუდი უფრო დაბლა ეშვება, რაც აღნიშნავს, რომ დაიწყო „ახალი სტაბილურობის“ ხანა, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელია საწყისი სტადიის ნიშნულის ზევით ან ქვევით იდგეს. თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ „მშვიდობის“ ეტაპის მსგავსად, მხარეთა შორის არანაირი დაძაბულობა არ არსებობს. ეს უფრო მიგვანიშნებს იმაზე, რომ წარმოიქმნება ახალი სტატუს-კვო, რომელიც მისაღებია კრიზისში ჩათრეული მხარეებისათვის. ძალიან ხშირად, ასეთი სტატუს-კვოსთან დაკავშირებული კრიზისის ინტენსიურობა უფრო მაღალია, ვიდრე

კრიზისის საწყისი სტადია. „მშვიდობის“ განსაზღვრება - „ახალი სტაბილურობა“ ნიშნავს სასიცოცხლო ინტერესებისადმი მუქარის აცილებას, გაქრობას ან გაყინვას.

ეს მუქარა იყო კიდეც კრიზისის დაწყების უმთავრესი მიზეზი. კრიზისის დარეგულირების მთავარი ღონისძიებები უკავშირდება მშვიდობის აღდგენის ქმედებებს, რომელიც მიმართულია ორმხრივად მისაღები სტაბილური მდგომარეობის შესაქმნელად.

კრიზისის რეგულირების ღონისძიებები. კრიზისის ზემოაღნიშნული ეტაპებისადმი დაკავშირებული დისკუსიების შედეგად ჩამოყალიბდა ხუთი სახის ღონისძიება, რომლებიც უნდა განხორციელდეს კრიზისის ეტაპების შესაბამისად. შემოგთავაზებთ ხუთივე ღონისძიების აღწერას.

სიტუაციზე დაკვირვება. შეიცავს სადაზვერვო მონაცემების რეგულარულ შეგროვებას; ინფორმაციის შეგროვებას, მის დამუშავებას და ამის შედეგად რეალური სურათის შედგენას; მოიცავს დეტალურად შესასწავლი ახალი ან უარყოფითი ასპექტების გამოვლენის მიზნით მიღებული სურათის შესწავლას; შეიცავს პრეზენტაციას; კრიზისის ყველა ეტაპის აღწერას.

კრიზისის აღმოჩენის უზრუნველყოფა. მოიცავს სიტუაციაზე რეგულარული თვალყურისდევნების შედეგების შესწავლის მეთოდების გამოყენებას; მიზანია განისაზღვროს მოვლენები და ტენდენციები, რომლებიც გვკარნახობენ არასახარბიელო ნიშნების შესაძლო გამოჩენას; ასეთი ეჭვის გამოჩენისთანავე აუცილებელია მიზნობრივი ინფორმაციის შეგროვების დაწყება, რათა

დადასტურდეს ან პირიქით უარყოფილ იქნას შეშფოთება; შეიცავს პრეზენტაციას; „მშვიდობის“ და „უთანხმოების“ ეტაპების პერიოდებისათვის ღონისძიებების აღწერას.

შეკავება. შეიცავს ეროვნული/ფუძემდებლური მიზნების მკაფიოდ განსაზღვრას. შემდგომ ალტერნატიული სტრატეგიების/ მოქმედების ვარიანტების და სამუშაო კრიტერიუმების განსაზღვრას, რაც ჩვენთვის აუცილებელი კრიტერიუმების შერჩევის საშუალებას იძლევა. ამის შემდგომ ცხოვრებაში გასატარებელი გეგმების შედგენას, ხოლო შემდგომ აუცილებელია თვალყური ვადევნოთ მათ შესრულებას. შემდგომ (სიტუაციაზე გამუდმებული თვალყურისდევნების წყალობით) მათი ზემოქმედების შეფასებას, და აუცილებლობის შემთხვევაში, ეროვნული/ფუძემდებლური მიზნების გადახედვას; შეიცავს პრეზენტაციას;

კრიზისის რეგულირების პროცესის მთავარი ელემენტები. კრიზისის ყველა ეტაპისათვის დამახასიათებელი „კრიზისის რეგულირების მთავარი ღონისძიებების“ განხილვა ვარაუდობს კრიზისის რეგულირების მთელი პრიცესისათვის მარტივი მატრიცის შედგენას. მატრიცა მოყვანილია ცხრილში №1.

ცხრილი№1

კრიზისის რეგულირების საერთო პროცესის მატრიცა

კრიზისის რეგულირების ზომები	კრიზისის სტადიები					
	ესკალაცია				დეესკალაცია	
	მშვიდობა	უთანხმოება	კონფრონტაცია	შეიარაღებული კონფლიქტი	შემცირება	სტაბილურობა
ვითარებაზე დაკვირვება	X	X	X	X	X	X
კრიზისის აღმოჩენის უზრუნველყოფა	X	X				
შეკავება		X	X	X	X	
ჯარების დაშორიშორება				X	X	X
მშვიდობის აღშენებლობა					X	X

„უთანხმოების“, „კონფრონტაციის“ და „შეიარაღებული კონფლიქტის“ ეტაპების პერიოდების ყველა ღონისძიებების აღწერას.

ჯარების დაშორიშორება. მოიცავს ზოგად ტერმინებში კრიზისის შემდგომი სტაბილური სიტუაციის მცნების განსაზღვრებას, რომლის მიზანი შეძლებისდაგვარად უნდა იყოს მებრძოლ მხარეებს შორის მოლაპარაკებებისა და დისკუსიათვის პირობების შექმნა, რომლებიც შეესაბამება ეროვნულ/ ფუძემდებლურ მიზნებს; მოიცავს შემცირების განხორციელების გრაფიკის შედგენასა და შეთანხმებას; მოიცავს შესრულების ყოველ ეტაპზე რისკის შეფასებას და პარალელურად, წარუმატებლობის შემთხვევაში, ჯარების რიცხოვნობის გაზრდისაკენ დაბრუნების გეგმას (რაც გამოიწვევს ეროვნული/ფუძემდებლური მიზნების გადახედვას); შეიცავს პრეზენტაციას.

მშვიდობის აღდგენა. მოიცავს დისკუსიების ჩატარებას მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ურთიერთმისაღები ღონისძიებებისა და მიღწეული პოსტკრიზისული (კრიზისის შემდგომი) სტაბილური სიტუაციის ხელშეწყობის გრაფიკის დადგენის მიზნით, რაც კონფლიქტის მხარეთათვის უნდა წარმოადგენდეს ეროვნულ/ფუძემდებლურ მიზანს. არ არის გამორიცხული ცალმხრივი მოქმედებების შესაძლებლობაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია რისკისა და მოსალოდნელი შედეგების შეფასება; შეიცავს პრეზენტაციას.

კრიზისის რეგულირების ზოგიერთი ღონისძიებები ნაწილობრივ დუბლირებენ ერთმანეთს; ან კრიზისის რამოდენიმე სტადიას ერთდროულად ეხებიან. მაგალითად, თუ კრიზისი გამწვავდა იმ ზღვრამდე, საიდანაც შეიარაღებული კონფლიქტი იწყება, კრიზისის რეგულირების ხუთი ღონისძიებიდან სამი უნდა გატარდეს ერთდროულად - სიტუაციაზე თვალყურისდევნება, შეკავება და ჯარების დაშორიშორება. „X“ ნიშანი მიუთითებს კრიზისის მოცემული ეტაპის განმავლობაში გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობის შესახებ, ისე როგორც მატრიცაშია განსაზღვრული.

კრიზისის რეგულირების ამოცანები კრიზისის თითოეულ სტადიაზე.

სიტუაციის შეფასება. აქ შედის ფაქტების დადგენასა და მათ აღწერასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება; კრიზისის მთავარ მონაწილეთა მოქმედებების მიზეზების გაგაზრება; კრიზისის

ძირითადი მიზეზების და დესტაბილიზაციის გამომწვევი ძალების განსაზღვრა. ამ შეფასებების მუდმივი გადახედვა და განახლება; აგრეთვე ამ შეფასებათა შედეგების კრიზისის მარეგულირებელ ხელმძღვანელთა განკარგულებაში გადაცემა.

კრიზისის რეგულირებასთან დაკავშირებული ამოცანები:

➢ საერთო თვალყურის დევნება, სადაზვერვო მონაცემების კოორდინირებული შეგროვება და ინფორმაციის მოპოვება;

➢ ინფორმაციის შეფასება, საერთო სურათის შედგენა;

➢ ფორმირება და შექმნილი მდგომარეობის მხარდაჭერა;

➢ ანგარიშების შედგენა და ინფორმაციის გავრცელება;

➢ მთავარ მონაწილეთა დადგენა, მათი მიზნებისა და სტრატეგიის განსაზღვრა;

➢ მიზანმიმართული თვალყურის დევნება და მიზნობრივი ინფორმაციის მოპოვება;

➢ პოტენციური ესკალაციის შესაძლო შედეგების/საშიშროების ზოგადი შეფასება.

ეროვნული/ფუძემდებლური ამოცანები. ეროვნული და ფუძემდებლური მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა აყალიბებს პოლიტიკურ ჩარჩოებს, რომელშიც უნდა განხორციელდეს კრიზისის რეგულირების ყველა ღონისძიება სხვა მხარეთა მონაწილეობის გარდუვალობის გამო, საჭიროა მათი მონაწილეობით დადგინდეს სამუშაო განრიგი, ზოგჯერ ასეთი ურთიერთობები შეიძლება მტრულ ხასიათს ატარებდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია შემუშავდეს ძალის გამოყენების მკაცრად განსაზღვრული წესები.

კრიზისის რეგულირებასთან დაკავშირებული ამოცანები:

➢ კრიზისისაგან დაზარალებულ მხარეთა განსაზღვრა;

➢ კრიზისის მონაწილეთა მკაფიო განსაზღვრა;

➢ მოკავშირეებთან, მესამე მხარესთან და, შეიძლება, კრიზისში ჩართულ მხარეებთან კონსულტაციები;

➢ პოლიტიკური კურსის განსაზღვრა; მოკავშირეებთან და მესამე მხარის წარმომადგენლებთან კოორდინაცია;

➢ ძალის გამოყენების წესების განსაზღვრა.

სტრატეგია/მოქმედების ვარიანტები. ეროვნული/ფუძემდებლური მიზნების შესაბამისად აუცილებელია შესწავლილ იქნას პოლიტიკური/სამხედრო მოქმედების ალტერნატიული გეგმები. შემდგომ აუცილებელია მათი შეფარდება რისკის, სარგებლისა და ზარალის გათვალისწინებით, რომ უარვყოთ წამგებიანი ვარიანტები და ყურადღება გავამახვილოთ დარჩენილი ალტერნატივების უფრო დაწვრილებით შესწავლაზე, პოლიტიკური ფაქტორების მიზეზით შესაძლო შეზღუდვების გათვალისწინებით.

კრიზისის რეგულირებასთან დაკავშირებული ამოცანები:

➢ ალტერნატიული სტრატეგიის/ვარიანტების შემუშავება;

➢ რისკის, სარგებლისა და ზარალის კრიტერიუმების დადგენა;

➢ ვარიანტების შერჩევა;

➢ დარჩენილ ვარიანტთა დაწვრილებითი შესწავლა;

➢ საბოლოო სახის მიცემა/პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით ვარიანტების შეცვლა.

პრეზენტაცია. კრიზისების რეგულირების მხარდაჭერისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს შესრულებული სამუშაოების შესახებ რეგულარული პრეზენტაციების ჩატარება, რადგანაც ეს უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღები ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის გადაცემის მთავარ არხს. მთავარი საკითხია თუ რა შევატყობინოთ ხელმძღვანელობას და რა არა. „ინფორმაციული გადატვირთვა“ - მზარდი პრობლემაა, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიებს შეუძლიათ დეტალური ინფორმაციისა და მისი შეფასებების მეყსეული უზრუნველყოფა. აუცილებელია მოკლე ბრიფინგების, ოპერატიული ცნობებისა და პრეზენტაციების დროული შედგენა მოქმედებათა ალტერნატიული კურსის შესახებ, რასაც თან უნდა ერთვოდეს რეკომენდაციები და ლოგიკური დასაბუთება.

კრიზისის რეგულირებასთან დაკავშირებული ამოცანები:

➢ პრეზენტაციისათვის ინფორმაციის გადარჩევა;

➢ მოკლე ბრიფინგების მომზადება და ჩატარება, საჭიროების შემთხვევაში პრეზენტაცია;

➢ რეკომენდაციების და მათი ლოგიკური დასაბუთების მომზადება და წარმოდგენა.

შესრულება. აქ შედის დაგეგმარებასთან დაკავშირებული მთელი სამუშაოები, რომელიც კონკრეტულ მოქმედებათა შესახებ ფორმალური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყება, რომელთა განხორციელება აუცილებლად უნდა მოხდეს არჩეული სტრატეგიის/ვარიანტების ფარგლებში. ეს სამუშაოები შეიცავს შეიარაღებული ძალების შერჩევასა და დაკომპლექტებას, პოლიტიკური, სამხედრო და ეკოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც შეასრულებენ საჭირო მოქმედებებს, კოორდინირებულს მოკავშირეებთან. აქვე შედის გადაზიდვებისა და ტრანსპორტის დეტალური დაგეგმვა.

კრიზისის რეგულირებასთან დაკავშირებული ამოცანები:

➢ ამოცანათა კომპლექსში (პოლიტიკური, სამხედრო, ინფრასტრუქტურა, ლოგისტიკური და სამედიცინო უზრუნველყოფა, ადგილმდებარეობის ხასიათი, კლიმატური პირობები) ვარიანტების შესრულების შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრა;

➢ პაკეტური გადაწყვეტილების შესრულებისათვის განკუთვნილი ძალების დაკომპლექტების ალტერნატიული ვარიანტების შეცვლა;

➢ გადაზიდვებისა და ტრანსპორტირების გეგმების შედგენა;

➢ მოკავშირეებთან მესამე მხარესთან და აუცილებლობის შემთხვევაში კრიზისის მხარეებთან კოორდინაცია.

საქართველოში არსებული ზოგიერთი კრიზისის მოკლე მიმოხილვა

აფხაზეთი. რა მიზნებს ემსახურებოდა სამოქალაქო ომის პირობებში აფხაზეთში შეიარაღებული ეთნოკონფლიქტის დაწყება? იურისდიქციის აღდგენას, რომელიც ნაწილობრივ დაკარგული იყო, ყურადღების გადატანას სამოქალაქო ომიდან ეთნიკურ ომზე და საზოგადოების გაერთიანების მცდელობას? ჰქონდა თუ არა მაშინდელ ხელისუფლებას საერთოდ გააზრებული ამ კამპანიის დაწყების მიზანი? ამ შეკითხვებზე დღესაც ბოლომდე არ არის პასუხი გაცემული.

საომარი მოქმედებების დაწყება გამართლებულია იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლებას კრიზისი სერიოზულად მიაჩნია, კერძოდ კი ის უნდა ემუქრებოდეს ქვეყნის უმაღლეს ღირებულებებსა და მიზნებს, საფრთხე უნდა იყოს რეალური, დაუშვებლად ფართომასშტაბიანი და გარდაუვალი ხასიათის.

დრომ დაგვანახა, რომ ომი მოუმზადებელი იყო, რასაც კატასტროფა მოჰყვა. არის მოსაზრება, რომ 300 000 ქართველის გამოძევებას აფხაზეთის ხელისუფლება ვერ მოახერხებდა ომი, რომ არ დაწყებულიყო. კრიზისი ფართომასშტაბიანი იყო, მაგრამ არა გარდაუვალი. აქედან გამომდინარე, არსებობდა დროის რესურსი საპასუხო რეაგირების დასაგეგმად. აფხაზეთის კონფლიქტის შესწავლა აუცილებელი პირობაა ქვეყანაში კრიზისული მართვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, აფხაზეთის დასაბრუნებლად.

პანკისის ხეობა. პანკისის ხეობის კრიზისი მცირე მასშტაბისაა, მაგრამ დროულად მოსაგვარებელი. კრიზისის პრობლემა შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად:

1.დევნილების პრობლემა. ეს პრობლემა ერთი მხრივ ჰუმანიტარული ხასიათისაა. მისი დროებით განეიტრალება ჰუმანიტარული ოპერაციების კარგად ორგანიზებით შეიძლება. საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების ხელშეწყობა ამ პროცესში დიდ მნიშვნელობას იძენს. მეორე მხრივ, პრობლემის საბოლოო გადაჭრა ლტოლვილების **სამშობლოში დაბრუნებაა.** ნათელია, რომ მათი **ძალით განდევნა გამორიცხულია.** ამიტომ ეს **საკითხი პოლიტიკური** მოლაპარაკების საგანია. **საერთაშორისო ორგანიზაციებისა** და მეგობარი **ქვეყნების დახმარებით** შესაძლებელია ამ საკითხის მომზადება, მაგრამ პრობლემის საბოლოო გადაჭრა შეუძლებელია, სანამ ჩეჩნეთში საომარი ოპერაციები მიმდინარეობს.

2. ბოევიკები. „ჩეჩნეთის კონფლიქტში“ ორი ძირითადი მხარეა ჩართული: რუსეთი და ჩეჩნეთი. თუ საქართველო თავის ტერიტორიაზე მყოფი ბოევიკების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს დაიწყებს, ეს უნდა განხორციელდეს დროის მცირე მონაკვეთში და სპეციალური ოპერაციის სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საომარი მოქმედებები დროში გაიწელა, ჩვენ ამ კონფლიქტში მონაწილე მხარე გავხდებით, რაც დაუშვებელია. მდგომარეობას ართულებს ამ კონფლიქტში საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების მონაწილეობა. ჩვენს ტერიტორიაზე ამ ორგანიზაციებს მხოლოდ ლოკალური სამხედრო/პოლიციური ოპერაციებით უნდა ვებრძოლოთ.

3. ადგილობრივი (ქისტური) კრიმინალური დაჯგუფებები. ადგილობრივმა კრიმინალებმა გამოიყენეს ჩეჩნეთის კონფლიქტი, კერძოდ პანკისის ხეობაში ბოევიკების ყოფნა და არნახული დანაშაულებრივი საქმიანობა გააჩაღეს, რამაც პანკისის პრობლემას კრიზისის სიმწვავე შემატა. პანკისის კრიზისის სამი პრობლემიდან პირველი რიგის გადაუდებელი პრობლემა სწორედ კრიმინალური დაჯგუფებების პანკისის ხეობიდან მოშორებაა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხეობაში კრიმინალური საქმიანობის ალაგმვა და სამართლებრივი წესრიგის აღდგენა გადაჭრის სამართლებრივ კრიზისს, დაარეგულირებს ჰუმანიტარულ პრობლემებს, გააადვილებს ტერორიზმთან ბრძოლას და შექმნის წინაპირობებს, რომ ბოევიკებმა ხეობა საქართველოს მხრიდან სპეციოპერაციების ჩატარების გარეშე, მოლაპარაკებების გზით დატოვონ (რაც თავიდან აგვარიდებს ფიზიკურ დანაკარგებს). შესაბამისი საერთაშორისო მხარდაჭერის მეშვეობით ეს შესაძლებელია. სასურველია პანკისის კრიზისის დარეგულირების კოორდინაციისა და მართვისათვის დროებით შეიქმნას კრიზისული მართვის ცენტრი.

კრიზისის რეგულირების ორგანიზაცია და ღონისძიებები

კრიზისულ სიტუაციებზე სწორი რეაგირებისათვის ქვეყანას ესაჭიროება სტანდარტული წესები და პროცედურები. დადგენილი სტანდარტული წესები და პროცედურები უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს კრიზისის შეკავების და, უკეთეს შემთხვევაში, ლიკვიდაციის აუცილებელ პირობას. სტანდარტული და მუდმივ განახლებადი წესები და პროცედურები აუცილებელია, როგორც **შინაგანი კრიზისებისათვის** (მაგალითად: წყალდიდობა და კატასტროფული გვალვა, ტერორისტული ქმედებები (ბომბების აფეთქება) და სხვა მსხვილმასშტაბიანი ავარიები), ასევე საერთაშორისო კრიზისების დროს (მაგ: სასაზღვრო დავები ან შეიარაღებული თავდასხმები და სა-

ტრანსპორტო საშუალებათა გატაცება). კრიზისული სიტუაციებისათვის განკუთვნილი წესები და პროცედურები შეიძლება სისტემატიზირებულ იქნას „კრიზისების რეგულირების ნაციონალურ ცნობარში."

სახელმწიფოსათვის კრიზისის რეგულირების საბოლოო მიზანს წარმოადგენს შინაგანი (ნაციონალური) წესრიგისა და მშვიდობის შენარჩუნება. როგორც წესი, ეროვნულ კონტექსტში ხელისუფლების მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურებისა და ქვეყნის მოქალაქეების დაცვა. ჩვეულებრივ, კრიზისული სიტუაციების განმავლობაში თავიდან ყურადღება გამახვილებულია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებზე. ეს ინტერესები შეგვიძლია დავყოთ სხვადასხვა კატეგორიებად. კარგად ცნობილ და ტრადიციულ მიეკუთვნება - სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, კანონიერება და საზოგადოებრივი წესრიგი. რეს სასიცოცხლო ინტერესებში შეიძლება შევიყვანოთ ისეთი ასპექტები, როგორიცაა ეკონომიკა (ტრანსპორტი და გამანაწილებელი სისტემები), სოციალური წესრიგი (ლტოლვილები და ემიგრანტები) და ეკოლოგიური (გარემოს დაბინძურება და ქიმიური დაბინძურება). დღევანდელ დღეს არ შეიძლება კრიზისი მხოლოდ ეროვნული ინტერესების საკითხებთან დავაკავშიროთ.

კრიზისის მიზეზისა და წყაროსაგან დამოუკიდებლად, ქვეყნისათვის განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს მექანიზმების სტანდარტული სისტემის წინასწარ დადგენა, რაც დაგვეხმარება წინ აღუდგეთ კრიზისულ სიტუაციებში წარმოქმნილ პრობლემებს. უცილებელია გაგვაჩნდეს კარგად შემუშავებული და გამოყენებისათვის მზადყოფნაში მყოფი მექანიზმები, რადგანაც კრიზისის დროს, ჩვეულებრივი, საკომუნიკაციო ხაზები დარღვეულია ან გამოსაყენებლად არაადეკვატურია. ყველაზე ხშირად შეფერხებები წარმოიშვება საკომუნიკაციო სფეროში: მიმდინარე რემონტი, შრომის ტევადობისა და სიძვირის გამო, ბევრ დროს მოითხოვს, რისი რესურსებიც კრიზისის დროს არ გაგვაჩნია. შესაბამისად, კრიზისული სიტუაციების უმეტეს შემთხვევაში გარდუვალია წესების შეცვლა და გამოიყენება ზომების მოკლე ვარიანტები (მინიმუმამდე დადის მონაწილეთა რაოდენობა) და მუშაობას იწყებენ ე.წ. კრიზისული ცენტრები.

კრიზისულ ცენტრს გააჩნია რამდენიმე ფუნქცია. მათ შორის მნიშვნელოვანია - ინფორმაციის შეგროვება, მისი ანალიზი, გადაწყვეტილებების მიღება, კოორდინირება, ინფორმაციის გავრცელება, და ბოლოს, რეგისტრაცია და შეფასება. თუ კრიზისი ფუნქციონალური (ვერტიკალური გავრცელება - ერთი სფეროს ჩარჩოებში ინტენსიფიკაცია) ხასიათისაა (მაგ.: კრიტიკული ინფექციური დაავადება), მაშინ ჩვეულებრივ ეს მხოლოდ ერთ სამინისტროს ეხება და შესაბამისად საჭიროა მხოლოდ ერთი კრიზისული ცენტრის პერსონალით დაკომპლექტება (მაგ.: ჯანდაცვის სამინისტრო). როდესაც კრიზისი ჰორიზონტალურად ვრცელდება (მოიცავს რამდენიმე სფეროს) მთავრობას დასჭირდება სხვა სამინისტროების კრიზისული ცენტრების ამოქმედება (მაგ.: შინაგან საქმეთა სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო). მსხვილი კრიზისის პეროიდში შეიძლება წარმოიშვას აუცილებლობა დამატებით ჩამოყალიბდეს ეროვნული კრიზისული ცენტრი ან დაევალოს ერთ-ერთ (ყველაზე მეტად ჩართულ და/ან მომზადებულ) სამინისტროს კრიზისულ ცენტრს ამ ფუნქციის შესრულება.

ეროვნული კრიზისული ცენტრის სტრუქტურა და დამატებითი ელემენტები ძირითადად განისაზღვრება (მოსალოდნელ) კრიზისთა (ზოგადი) მაჩვენებლებით და კრიზისის შეკავების, ან მისი ლიკვიდაციის (საერთო) მოთხოვნებით. პასუხისმგებლობისა და ამოცანების ხასიათი, რომელიც შეიძლება დაევალოს ეროვნულ კრიზისულ ცენტრს, დამოკიდებულია კრიზისის სერიოზულობასა და მასშტაბებზე. საერთო პასუხისმგებლობა და ამოცანები შეიძლება წინასწარ განისაზღვროს, რომლებიც დაკონკრეტდება რეალური კრიზისის წარმოქმნის პერიოდში. ეროვნული კრიზისული ცენტრის ბირთვი შეიძლება გარდაიქმნას ე.წ. სამინისტროთა შორის კონსულტაციურ მართველობაში, რომელშიც შევლენ პროცესში ჩართული ყველა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები. ასეთი მაღალი რანგის ორგანომ უნდა შეძლოს გადაჭრას განვითარებადი კრიზისის ყველა ასპექტი და, ვითარებიდან გამომდინარე, გააჩნდეს საკმაოდ ფართო მანდატის უფლებამოსილებები. ამ მართველობის შიგნით, თუ ამას მოვლენათა განვითარება მოითხოვს, შეიძლება შეიქმნას ქვეჯგუფები. მაღალი რანგის ხელმძღვანელებისაგან შემდგარი, ამ ფორუმის პარალელურად, შეიძლება შეიქმნას მინისტრებისაგან შემდგარი (მმართველი) კომიტეტი, რომელიც სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესების დროს შეიძლება მოწვეულ იქნას მუდმივი სესიის სახით პრემიერ-მინისტრის/პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. დუბლირებისა და საქმიანობაში შეფერხებების გამორიცხვის მიზნით აუცილებელია მკაცრად განისაზღვროს ორივე ორგანოს პასუხისმგებლობის სივრცე და ამოცანები (ხელმძღვანელი პირებისა და სამინისტროს თანამშრომლების). იმ შემთხვევაში თუ სიტუაცია უმსხვილეს კრიზისში გადაიზარდა, გონივრული იქნება საკონსულტაციო მმართველობის მუშაობის შეჩერება და კრიზისის რეგულირების ხელმძღვანელობის მთელი სამუშაოების თავმოყრა მინისტრთა მუდმივი სესიის ხელში.

სრულად დაკომპლექტებული ეროვნული კრიზისული ცენტრი უნდა შედგებოდეს: რამდენიმე მორიგე ოფიცრისა და დამხმარე პერსონალისაგან; დაგეგმარების ჯგუფისაგან; იურიდიული ჯგუფისაგან; კავშირგაბმულობის ჯგუფისაგან.

ეროვნული კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მორიგე პერსონალის, დაგეგმარების ჯგუფის, იურიდიულ კონსულტანტთა ჯგუფისა და კავშირგაბმულობის ჯგუფის სამუშაოებზე. ის ინსტრუქციებს იღებს უწყებათაშორისი საკონსულტაციო მართველობის თავჯდომარის ან მინისტრთა მართველობისაგან.

საინფორმაციო ცენტრი ყოველთვის უნდა მუშაობდეს კრიზისული ცენტრის პარალელურად, რადგანაც მკვეთრად იზრდება საზოგადოებრივი ინფორმაციის მნიშვნლობა, განსაკუთრებით კრიზისული სიტუაციის დროს. აქ უნდა უზრუნველყოფილ იქნას საკონსულტაციო და მინისტრთა ოფიციალური ჯგუფების მაღალი რანგის სხდომათა ჩატარებისათვის აუცილებელი პირობები.

უწყებათაშორისი საკონსულტაციო მართველობის შემაგენლობა უმჯობესია წინასწარ იყოს განსაზღვრული, იმის და მიხედვით თუ რა ხასიათის სიტუაცია შეიქმნება. მაგალითად: საერთაშორისო უსაფრთხოების კრიზისის დროს, საშხედრო კრიზისის შემთხვევასთან ერთად; ეროვნული უსაფრთხოების კუთხით საშინაო კრიზისის დროს (ტერაქტები, ადამიანთა შეპყრობა); კატასტროფულ ავარიების დროს (ატომურ ელადგური).

უწყებათაშორისი საკონსულტაციო მართველობის წევრთა რაოდენობა მინიმალური უნდა იყოს: თუ მართველობის შემადგენლობა ძალიან ფართოა, მაშინ გადაწყვეტილების მიღებას ბევრი დრო დასჭირდება და საქმიანობაც ზარალი მიადგება. ლოგორც წესი მართველობაში შედიან მხოლოდ იმ დეპარტამენტთა წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული კრიზისსა და მის შედეგებში. მუდმივი წევრები არიან ეროვნული კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი და სახოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელი. იმ შემთხვევაში, თუ საკონსულტაციო მართველობის შემადგენლობა ძალიან ფართოვდება, აუცილებელია შეიქმნას ქვეჯგუფები, სადაც წარმოდგენილი იქნებიან შესაბამისი სამინისტროების უმრავლესობა. ამ ცენტრმა კონცენტრირება უნდა მოახდინოს შემდგომი გადაწყვეტილებების ძებნაზე და უნდა შეასრულოს სტრატეგიული ორგანოს ფუნქცია. ის მჭიდრო კონტაქტში უნდა იყოს სამინისტროების ხელმძღვანელობასთან. მაგალითად, წამყვანი სამინისტროს ხელმძღვანელობასთან.

უწყებათაშორისი საკონსულტაციო მართველობის მოთავარი ამოცანაა - მინისტრების, და აუცილებლობის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის/პრეზიდენტის წინასწარი და გამაფრთხილებელი ზომების შესახებ დროული ინფორმირება და სწორი კონსულტირება. მათი კონსულტაციები განსაკუთრებით საჭირო იქნება საგანგებო სიტუაციების შემთხვეკებში კანონმდებლობის საკითხებზე.

ეროვნული კრიზისული ცენტრის ჯგუფების ამოცანები.

1. დაგეგმარების ჯგუფი. შესაბამისი ექსპერტული ცენტრების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამოყენებით გეგმავს გამაფრთხილებელ ზომებსა და მოქმედებებს, ამას გარდა დახმარებას უწევს საკონსულტაციო მართველობას. აგროვებს, რეგისტრაციას უწევს და აფასებს კრიზისთან დაკავშირებულ მთელ ინფორმაციას, და ახდენს კრიზისის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ ყველაზე უფრო შესაძლებელ და საშიში სიტუაციების შეფასებას. გარდა ამისა, მის მოვალეობაში შედის საერთაშორისო შედეგების გასაზღვრა.

2. იურიდიული ჯგუფი. კრიზისთან, მის შეკავებასა და დარეგულირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და იურიდიული საკითხების დაგეგმვა და კონსულტირება. ამ ჯგუფის პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია განსაკუთრებულ შემთხვევათა და ღონისძიებათა შესახებ კანონმდებლობისა და მისი ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა. ხშირად იურიდიული ჯგუფი ფლობს ყველზე უკეთეს საშუალებებს კრიზისების რეგულირების სტრუქტურის ფარგლებში ოფიციალური წერილებისა და ხვა დოკუმენტაციის შესადგენად. გარდა ამისა, იურიდიულ ჯგუფს შეუძლია პროტოკოლის წაყვანა შესაბამის სხდომებზე და დისკუსიების დროს კრიზისულ ცენტრში.

3. კავშირგაბმულობის ჯგუფი. ხელს უწყობს კომუნიკაციებისა და ინფორმაციის შეგროვების ამოცანების შესრულებას. აკომპლექტებს პირად შემადგენლობასა და საკომუნიკაციო მოწყობილობის დაცვას. კავშირგაბმულობის ჯგუფი პასუხისმგებელია მთელ შემომავალ და გამავალ ინფორმაციაზე, მის რეგისტრაციასა და გავრცელებაზე. ჯგუფს შეიძლება აგრეთვე დაევალოს მიმდინარე სიტუაციის შესახებ მოხსენების მომზადება და გავრცელება.

საზოგადობასთან ურთიერთობის ბიუროორ მნიშვნელოვან დავალებას ასრულებს. პირველ რიგში ბიურო პასუხისმგებელია საინფორმაციო გეგმის გავრცელებაზე, რომელშიც წყდება ისეთი საკითხები, როგორიცაა საინფორმაციო მიზნები, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის გავრცელება. სხვა ამოცანები ეხება ინფორმაციით ფაქტიურ უზრუნველყოფასა და მასმედიასთან კონტაქტისას ხელმძღვანელობის მხარდაჭერას.

კრიზისების რეგულირების ნაციონალურ ცნობარში უაღრესად მნიშვნელოვანია ზემოთ მოყვანილი ოპერაციის რეჟიმის მკაფიოდ ჩამოყალიბება და ის, თუ როგორ უნდა გადაწყდეს (ადმინისტრაციული) საკითხები კრიზისის პერიოდში. ცნობარის საფუძველზე ყველა უწყებამ უნდა შეადგინოს განყოფილების ცნობარის პროექტი, რომელშიც შევა:

- შესაძლო კრიზისების ნუსხა, რომლითაც, სავარაუდოდ, დაკავებული იქნება მათი უწყება, კრიზისების დახასიათება საშინაო და საერთა-

შორისო შედეგები, კრიზისის შეკავების საერთო სტრუქტურა და მისი დარეგულირების გეგმა;

- ერთი უწყებისა და უწყებათა შორის დონეზე სამუშაოების კოორდინაციის და გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურის გრაფიკი;
- კრიზისის შეკავებასა და დარეგულირებაში ჩართული ყველა აღმასრულებელი ორგანიზაციის მოკლე აღწერა (მაგ.: ადგილობრივი ხელმძღვანელობა და ორგანიზაციები);
- კრიზისის დარეგულირების ორგანიზებისათვის საჭიროოპერატიული შემადგენლობის მინიმუმი;
- ყველაზე ბოლო დეტალური ნომენკლატურული სია;
- საგანგებო შემთხვევების მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის მოკლე აღწერა;
- კომუნიკაციების გეგმა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა.

ცნობარში მოცემული სტანდარტული წესებისა და პროცედურების გარდა კრიზისის წარმატებით რეგულირებისათვის აუცილებელია დეტალური მომზადების გატარება, რომელიც წვრთნების რეგულარულ ჩატარებას მოითხოვს. მომზადების მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის აუცილებელია სულ ცოტა წელიწადში ერთხელ კრიზისის შემთხვევაზე ეროვნული წვრთნების ჩატარება. ამ წვრთნებზე სასურველია მოვიზიდოთ მთავრობის წევრების (მინისტრების) მაქსიმალური რაოდენობა.

საქართველოში არსებული კრიზისების მართვის სისტემა (განვითარების პერსპექტივები)

ამჟამად საქართველოში არ არსებობს კრიზისული მართვის ერთიანი სისტემა ცალკეულ უწყებებში შექმნილია საინფორმაციო ან საინფორმაციო-ანალიტიკური ჯგუფები, მაგალითად, უშუშროების საბჭოში - საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახური, განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროში - საინფორმციო-ანალიტიკური განყოფილება, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში - საინფორმციო განყოფილება. ზოგიერთ სამინისტროებში ფუნქციონირებს უფრო ფართო დატვირთვის ორგანოები, მაგალითად ეკონომიკის სამინისტროში - სოციალური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი. შინაგან საქმეთა სამინისტროში - საგანგებო მდგომარეობებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი (საგანგებო მდგომარეობის მენეჯმენტის პროგრამა), უშიშროების სამინისტროში - ანალიზისა და პროგნოზირების ბიურო. მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში არის შექმნილი ამ პროფილის ქვედანაყოფი - კრიზისების მართვის სამმართველო (დაზვერვის დეპარტამენტი). ამჟამად იგეგმება კრიზისების მართვის ცენტრის შექმნა გენერალურ შტაბთან, რაც ნატო-ს სტანდარტებით არის დადგენილი. როგორც ვხედავთ, კრიზისების მართვის სისტემა საქართველოში, როგორც ერთიანი და კოორდინირებული სისტემა არ არსებოს. ასეთი სისტემის შექმნა აქტუალურია მთელი რიგი პრობლემების გამო, რაც სახელმწიფოს წინაშე დგას ან მოსალოდნელია.

- პირველ ეტაპზე გარკვეული პროფილის სამინისტროებში უნდა შეიქმნას ან სადაც არსებობს გაძლიერდეს კრიზისული მართვის ცენტრები. კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს მათი მოქმედების სამართლებრივი ჩარჩოები აგრეთვე დაიხვეწოს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა უფლება-მოვალეობების მკაფიოდ დადგენის კუთხით.
- მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს კრიზისული ცენტრების ჰორიზონტალური ინტეგრაცია და ურთიერთ კოორდინირება: ინფორმაციის სისტემატიური გაცვლა, ერთობლივი მოქმედებების გეგმების შემუშავება, ერთობლივი წვრთნები და სხვა ღონისძიებები, რომელთა უმთავრესი მიზანი კრზისების მართვის ერთიანი სისტემის შექმნაა.
- მომდევნო ეტაპზე შესაძლებელი იქნება ეროვნული კრიზისული მართვის ცენტრის შექმნა.

მამუკა ნებიერიძე

დანართი

თავდაცვის სამინისტროს კრიზისების მართვის სამმართველოს მუშაობა და განვითარების გზები:

იმდენად რამდენადაც ზოგიერთი კრიზისული სიტუაციის დროს საჭიროა ჩაერთოს შეიარაღებული ძალები, რათა მართული იქნეს კრიზისი, საჭიროა კრიზისების მართვის ცენტრის არსებობა თავდაცვის სამინისტროშიც. როგორც ცნობილია საომარ ვითარებაში ან მიახლოებულ სიტუაციაში ყველა სახის შეიარაღებული ფორმირების ოპერატიული მართვა ხდება თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მიერ. ხოლო იმისათვის რომ, კრიზისული სიტუაცია მართული იყოს საჭიროა წინმსწრები ინფორმაციის მოპოვება, კლასიფიცირება, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს გენერალურმა შტაბმა და ოპერატიულმა ქვედანაყოფებმა. დღეისათვის ამგვარი ცენტრი შექმნილია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტში. აღნიშნულ ცენტრში ხდება ყველა სახის ინფორმაციის აკუმულირება თავდაცვის სამინისტროს ჯარების ყველა სახეობიდან. ცენტრი შედგება სადღეღამისო სამსახურისაგან, რომელშიც ხდება ყველა სახის ღია და დახურული სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის შეგროვება და ნახევრად-ავტომატიზირებული პროგრამით კლასიფიცირება, ხოლო ანალიზის ჯგუფის მეშვეობით ხდება მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარების მოდელირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

დღეისათვის ცენტრი ფუნქციონირებს მხოლოდ შიდა უწყებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იმისათვის, რომ თავდაცვის სამინისტრომ რეაგირება მოახდინოს მისი ფუნქციონალური მოვალეობიდან გამომდინარე კრიზისულ სიტუაციაზე, აუცილებელია აღნიშნულ ცენტრში შემოდიოდეს შესაბამისი ხასიათის ინფორმაცია სხვა უწყებებიდან და ატარებდეს რეგულარულ ხასიათს, ხოლო თუ ამდაგვარი ორგანოები იქნება გახსნილი სხვა უწყებებშიც, ეს გააადვილებს უწყებებს შორის ინფორმაციის ჰორიზონტალური და ყოველდღიური გაცვლის სისტემატიზებას, შექმნის წინაპირობას კრიზისულ სიტუაციებში კოორდინირებული მოქმედებების ორგანიზებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.კრიზისის საერთო რეგულირების ნატოს სახელმძღვანელო,

2. Oran Young, The Intermediaries: Third parties in international Crisis.(Princeton: Princeton University Press, 1967),

3.Glenn h. Snyder and Paul Diesing, Conflict Among Nations: Bargaining, Decision Making and system Structure in international Crisis (Princeton: Princeton University Press, 1977),

4. Michael Brecher and Jonathan Wilkenfeld, Crisis, Conflict and instability(New York: Pergamon Press, 1989).

5.თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახურის მასალები, 2001-2002.



დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირების დამთავრებას მოჰყვა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ძირფესვიანი ტრანსფორმაცია, თუმცა ჯერჯერობით ამ გარდაქმნათა მხოლოდ საწყის ეტაპზე ვიმყოფებით: ჯერაც არ შექმნილა არც „ახალი მსოფლიო წესრიგი“ და არც უსაფრთხოების რაიმე სხვა უნივერსალური სისტემა. უფრო მეტიც, დღესდღეობით ჯერაც შეუძლებელია განისაზღვროს მომავალი სისტემის არსი და ჩამოყალიბდეს მისი ძირითადი პრინციპები, ნორმები და ფუნქციონირების თავისებურებანი.

ცივი ომის დამთავრებამ, ვარშავის ხელშეკრულების რღვევამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ ბოლო მოუღო ბიპოლარულ სისტემას. ეს იყო გეოპოლიტიკური ძვრა, რომელიც შეიძლება პირველი ან მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას შევადაროთ. თუმცა, ამ სამ მოვლენას შორის არის არსებითი განსხვავებებიც: **პირველი** - მეოცე საუკუნის 90-იან წლებში არ არსებობს ისეთი გამარჯვებული მხარე, რომელიც შეძლებდა დანარჩენებისათვის ძალით მოეხვია თავზე მსოფლიო წესრიგის მისეული გაგება; **მეორე** - ცივი ომის ეპოქის დამთავრებას თან ახლავს ლოკალური ომების პერიოდის განახლება.

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებების არსებულში „ორი ბლოკის ლოგიკის“ შემცველი რამდენიმე პარადიგმა მოიპოვება:

პირველი - აქცენტს აკეთებს სივრცობრივ განსხვავებაზე ცენტრსა და პერიფერიას შორის, ამასთან, პერიფერიას უპირისპირებს ცენტრს, განვითარებად ქვეყნებს - განვითარებულებს, სამხრეთს - ჩრდილოეთს. ამ დროს ერთი სახის ფუნდამენტალიზმს ცვლის მეორე სახის ფუნდამენტალიზმი: პოლიტიკური რელიგიების ადგილას მოდის რელიგიათა პოლიტიზაცია, რაც, მრავალი მკვლევარის აზრით, გარდაუვლად წარმოშობს ახალ კრიზისებს.

მეორე პარადიგმა ყურადღებას ამახვილებს სამხედრო დარგში მომხდარ ცვლილებებზე. საუბარია ომების ძველ და ახალ თაობებს შორის განსხვავებაზე. ოპერაციამ „ქარიშხალი უდაბნოში“ მოახდინა ტრადიციული სტრატეგიული ხელოვნების დასასრულის დაწყების დემონსტრირება: როდესაც სამხედრო ოპერაციის მიზანი არა მტრის ცოცხალი ძალის განადგურებაა, არამედ - კავშირგაბმულობის მოსპობით მართვის სისტემის მოშლა და ამით მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალის განეიტრალება. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების სერიოზულობა კიდევ ერთხელ დაადასტურა ნატო-ს ოპერაციამ იუგოსლავიაში, თალიბების ელვისებურმა კრახმ აღლანეთში.

მესამე პარადიგმა - ეროვნული, ითვალისწინებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების რენაციონალიზირების პრობლემას. მრავალეროვანი იმპერიების კრახმა სიცოცხლე შთაბერა ეროვნული იდენტურობის პრობლემას. ეთნიკური, კლანური, რელიგიური წინააღმდეგობები ემორჩილებიან ნაცია-სახელმწიფოს ჩამოყალიბების დინამიკას.

მეოთხე პარადიგმა ასახავს იმ რეგიონალური სისტემების ფუნქციონირების კანონზომიერებებს და თავისებურებებს, რომელთაგან თითოეულის ცენტრში იმყოფება სახელმწიფო, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოვლენების განვითარებაზე რეგიონში: „დიდი ირანი“, „დიდი ჩინეთი“, „დიდი პაკისტანი“ და ა.შ. ჰ. კისინჯერი თვლის, რომ XXI საუკუნის საერთაშორისო სისტემა წარმოდგენილი იქნება ექვსი ძირითადი ძალის ცენტრით მაინც. ესენია: აშშ, ევროპა, იაპონია, რუსეთი, ჩინეთი და ალბათ ინდოეთი. ამის გარდა, იარსებებს საშუალო და მცირე სახელმწიფოთა სიმრავლე. კისინჯერის ექვსი ძირითადი „ძალის ცენტრი“ მიეკუთვნება ხუთ სხვადასხვა ცივილიზაციას, ამიტომ იგი თვლის, რომ XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა განპირობებული იქნებასხვადასხვაცივილიზაციებისურთიერთქმედებით.

და ბოლოს, **მეხუთე პარადიგმა** განისაზღვრება ცივილიზაციათა შეჯახების იდეით. ცნობილი პოლიტოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტრატეგიული კვლევის ცენტრის დირექტორი ჰანტინგტონი თვლის, რომ არ არსებობს ზოგადად „კაცობრიობა“, არამედ არსებობენ ცივილიზაციები: იუდეო-ქრისტიანული, მუსლიმანური, ცივილიზაცია, რომლის საფუძველში დევს ბუდიზმი და ა.შ. უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ ის კონფლიქტები, რომელთა წინააღმდეგობის ხაზი ემთხვევა ცივილიზაციათა შორის ბზარის ხაზს.

საერთაშორისო ურთიერთობების ახალი, ფორმირების პროცესში მყოფი სისტემის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ არც ერთი

ზემოთ მოყვანილი პარადიგმიდან არ დომინირებს, ისინი ერთდროულად ურთიერთქმედებენ.

აშშ-ის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის ეგიდით მომზადებული მოხსენების ავტორთა აზრით, ფორმირებადი მსოფლიო წესრიგის საბოლოო სახე დამოკიდებული იქნება ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა:

- აშშ-ს მსოფლიო საქმეებში ჩართულობის ხარისხი;
- ევროპული ინტეგრაციის პროგრესი, როგორც ევროკავშირის ფარგლებში, ასევე მთელ ევროპაზე დასავლეთის ინსტიტუტების გავრცელების გზაზე;
- რუსეთთან ურთიერთობების განვითარება დარუსეთის დამოკიდებულებამეზობელ ქვეყნებთან;
- იაპონიის მიერ ახალი საერთაშორისო ვალდებულებების თავის თავზე აღების ხარისხი;
- ჩინეთის უნარი, შეინარჩუნოს მთლიანობა და განაგრძოს მშვიდობიანი განვითარების გზა;
- ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლი.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოს პოტენციური პრობლემები და გამოწვევები ლერძზე სამხრეთი-ჩრდილოეთი, ისლამური სამყაროს მზარდი მნიშვნელობა, თანაფარდობა უსაფრთხოებასა და განვითარებას შორის და ა.შ.

საქმეს ის არის, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოიშვა ახალი ვანზომილება, რომლის მთავარი ასპექტი შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: დღეგანდელ მსოფლიოში, საერთაშორისოს მთავარი წყარო, არის არა სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტები, არამედ კონფლიქტები ერთი ქვეყნის შიგნით (მათ შორის) და საერთაშორისო ტერორიზმი, რომელსაც მხარს უჭერენ ე.წ. განდგომილი ქვეყნები.

ეს პრობლემები განსაკუთრებული აქტუალობით წამოიჭრა იმ დროს, როცა მსოფლიო ომის გაჩაღებასა და წინასწარ ბირთვული დარტყმის საშიშროება ფაქტიურად ნულამდე იქნა დაყვანილი. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კონფლიქტების ხასიათმა და ინტენსიურობამ: კომუნისტურ აღმოსავლეთსა და დემოკრატიულ დასავლეთს შორის იდეოლოგიური ანტაგონიზმით და ბლოკური დაპირისპირებით გამოწვეული სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები თანდათანობით წარსულს ჩაბარდა.

შეიცვალა მუქარათა ხასიათიც უსაფრთხოების სფეროში. წარსულში უსაფრთხოების გაგება ასოციირდებოდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სამხედრო ბალანსის შენარჩუნებასთან. აქედან გამომდინარე, შეიარაღებაზე კონტროლის პროცესი მიმართული იყო მოწინააღმდეგე ბლოკების სამხედრო პოტენციალების თანაფარდობის ასიმეტრიის აღკვეთისაკენ, შეიარაღებული ძალების და შეიარაღების დონის შემცირებისაკენ; ამავე დროს, ცდილობდნენ ურთიერთობების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა გახსნილობაზე, ტრანსპარენტულობაზე და ამოცნობადობაზე. ასეთმა პოლიტიკურმა ფილოსოფიამ ხელი შეუწყო როგორც ზესახელმწიფოებს შორის სტრატეგიული ბირთვული ძალების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების, ასევე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ მრავალმხრივი ხელშეკრულების დადებას. იმდენად რამდენადაც საერთაშორისო პოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებს ჰქონდა, იგულისხმებოდა, რომ ლოკალურ კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდებოდა შესაბამისი ბლოკის შიგნით. განვითარებადი ქვეყნების პრობლემები, ასევე იმ სახელმწიფოთა შეიარაღების ზრდის საკითხები, რომლებიც არცერთ ბლოკში არ შედიოდნენ, პრიორიტეტულების რიცხვში არ ხვდებოდნენ.

ამჟამად სიტუაცია მკვეთრად არის შეცვლილი:

1. უსაფრთხოება და თავდაცვა დიდ სახელმწიფოთა, ასევე მთელ რიგ სახელმწიფოთა მიერ გაიაზრება გაცილებით ფართოდ, ვიდრე ადრე. ისინი უკვე აღარ დაიყვანება მხოლოდ სამხედრო განზომილებაზე, თუმცა ეს უკანასკნელი კვლავ რჩება არსებით კომპონენტად. უსაფრთხოების გაგება სულ უფრო და უფრო მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა ეკონომიკა, ეკოლოგია, დემოგრაფია, კომუნიკაციები, ცივილიზაციისა და ტექნოლოგიების განვითარება.

2. დაძაბულობა და მუქარები, რომლებიც ადრე ატარებდნენ ბლოკთაშორის ხასიათს და კონცეტრირებული იყვნენ გაყოფის ხაზზე აღმოსავლეთი-დასავლეთი, ამჟამად მეღავნდებიან მრავალ რეგიონში. ამავდროულად პოტენციური ანტაგონიზმის ვექტორები მიმართულია ხაზისკენ ჩრდილოეთი-სამხრეთი. ეს გარკვეულწილად დაკავშირებულია იმ ტიპის კონფრონტაციასთან, რომელიც აღწერა თავის „ცივილიზაციათა შეჯახებაში“ სამუელ ჰანტინგტონმა, ასევე - თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ტენდენციებთან.

3. ცივი ომის შემდეგ კონფლიქტები ატარებენ საშინაო ან რეგიონალურ ხასიათს. ცივი ომის დროინდელი ბლოკებს შორის კონფლიქტების შეკავების მიზნით შექმნილი უსაფრთხოების ინსტიტუტები და სტრუქტურები ადეკვატურად ვერ პასუხობენ თანამედროვე ამოცანებს. მიუხედავად ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის მიერ წინ გადადგმული დიდი ნაბიჯებისა, შესაბამისი ინსტიტუტებისა და სტრუქტურების ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ შორსაა სასურველი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის შექმნისაგან.

რიგი ფუნდამენტალური საკითხებისა წარმოიშვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ როლთან დაკავშირებით. მთავარი დილემა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უნდა გაატაროს საერთაშორისო თანამეგობრობამ თავისი ლონისძიებები: ერთ-ერთი სახელმწიფოს ინიციატივით ან ხელმძღვანელობით, თუ გაერო-მ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციამ, განახორციელოს

დამოუკიდებელი ქმედებები. სხვაგვარად, ვინ იქნება მსოფლიოში წესრიგის გარანტი?.

ეს პრობლემა ეხება არა იმდენად საერთაშორისო ურთიერთობების ახალ სისტემას, რამდენადაც (რაც უფრო მნიშვნელოვანია) მისი შინაარსის ძირეულ შეცვლას. საჭიროა მოხდეს თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის ისეთი პრინციპების ახლებურად გააზრება, როგორიცაა ერთი მხრივ, სახელმწიფოთა თანასწორობა და ჩაურევლობა და გენოციდისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევებისა თუ საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში მხილების შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცალკეულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება, მეორე მხრივ.

ამ თვალსაზრისით, ძნელია გადააფასო ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიერ ავღანეთში თალიბანთა წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებათა მნიშვნელობა. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის ძონწყობაში ეჭვმიტანილი არაბი მულტიმილიონერის ბინ ლადენის სავარაუდო ადგილსამყოფელის დადგენის შემდეგ აშშ-მა დაიწყო სამხედრო ოპერაცია ოფიციალურად გამოცხადებული მიზნით - საერთაშორისო ტერორიზმის მფარველი რეჟიმის ხელისუფლებიდან მოცილება და ნომერ პირველი ტერორისტის უვნებელყოფა.

კლასიკურ საერთაშორისო სამართალში ეს განხილულ იქნებოდა, როგორც საშინაო საქმეებში ჩარევა. კერძოდ, შეიარაღებული ინტერვენციის აკრძალვის დარღვევა. მაგრამ რაკი წანამძღვრად გვევლინება საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის პოლიტიკა, შეჭრა განიხილება, როგორც შეიარაღებული მშვიდობისმყოფელი აქცია (თუნდაც გაერო-ს მანდატის არარსებობის მდუმარე აღიარებით). ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლოა მოასწავებს ნახტომს კლასიკური საერთაშორისო სამართლიდან მსოფლიო სამოქალაქო კოსმოპოლიტური სამართლისკენ მიმავალ გზაზე.

შევეცდებით უფრო ფართოდ განვიხილოთ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ტენდენციები ზემოაღნიშნული პარადიგმების ფარგლებში და ამ კონტექსტში წარმოვადგინოთ საქართველოს ადგილისა და როლის ჩვენეული ხედვა.

* * *

ეროვნული უსაფრთხოება ნებისმიერი ქვეყნისათვის ამოუწურავი თემაა, რადგან თვით ყველაზე ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოებიც არ არიან ამ მხრივ აბსოლუტურად გარანტირებული. ეს თვითონ ქვეყნის პოლიტიკის მართებულობასა და ძალისხმევაზეა დამოკიდებული. მით უფრო, საქართველოს, რომელიც ახლახან შეუდგა დიდი ხნის „დავიწყებული“ სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ეროვნული უსაფრთხოების სფეროში ძალიან ბევრი რამ აქვს გასააზრებელი და გასაკეთებელიც.

ეროვნული უსაფრთხოება მრავალ სხვადასხვა მიმართულებებს, ასპექტებსა თუ ფაქტორებს მოიცავს. წინამდებარე წერილის მიზანია მსოფლიო პოლიტიკის ცივილიზაციური ასპექტების განხილვა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებასთან მიმართებაში.

სამუელ ჰანტინგტონის განმარტებით, კაცობრიობის ისტორია ცივილიზაციათა ისტორიაა. ცივილიზაცია არის ცნობიერების, მენტალიტეტის, რელიგიის, კულტურის, ცხოვრებისა და აზროვნების წესის ერთობლიობა, რომელიც ერის, სოციუმის, სახელმწიფოსა და სახელმწიფოთა კავშირების ჩამოყალიბების პროცესს განსაზღვრავს.

სახელმწიფოთა სამხედრო, პოლიტიკური თუ სხვა სახის კავშირები, მათი დაჯგუფება რომელიმე ლიდერი ქვეყნის გარშემო არასდროს იქმნება მარტო იმისთვის, რომ შეიქმნას. იგი მუდამ პოტენციურად ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ არის მიმართული, რასაც საუკეთესო შემთხვევაში თავდაცვითი ხასიათი აქვს. არ არის აუცილებელი სახელმწიფოთა ალიანსის ან რეგიონული ორგანიზაციის წარმოშობის ერთადერთი მიზეზი ცივილიზაციური იდენტურობა იყოს; შეიძლება (და უფრო ხშირად ასეც არის), მხოლოდ და მხოლოდ მოცემული პოლიტიკური მიმეტრიდან გამომდინარე, ინტერესთა თანხვედრას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ცივილიზაციური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა არ იქნებოდა მარტივული:

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰანტინგტონი თვლის, რომ ცივი ომის შემდეგ პირველი, რაც შეინიშნება, ეს არის სერიოზული ცვლილებები ხალხთა მორ საკუთარი ცივილიზაციური იდენტურობის „დაბუსტების“ თვალსაზრისით; ხდება მსოფლიო პოლიტიკის „სტრუქტურირება“ კულტურათა საზღვრების გასწვრივ. ცივი ომის დროინდელი ბიპოლარული სატყარი ეტაპობრივად გადადის მულტიპოლარულ და მულტიცივილიზაციურ განზომილებაში. ამერიკელი პოლიტოლოგის აზრით, ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში დაპირისპირების სიმძლიერის ცენტრი იდეოლოგიური სფეროდან აუცილებლად გადაინაცვლებს ცივილიზაციურში, ანუ ადგილი იქნება ცივილიზაციათა შეჯახებას (Crash of Civilizations).

მომავალში ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება არა იდეოლოგიური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური, არამედ კულტურული სხვაობა ხალხთა შორის. ხალხები და ერები კვლავ ითხოვენ პასუხს საკრამენტულ კითხვაზე: ვინ ვართ ჩვენ? საიდან მოვდივართ და საით მივდივართ? გარკვეული პასუხი კი ისევ არ ჩანს. ადამიანები ერთმანეთს მოიაზრებენ ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ, რელიგიურ, ისტორიულ, სახელმწიფოებრივ, რეგიონულ და ბოლოს, ცივილიზაციურ ერთობაში. გარკვეულ პასუხს კითხვაზე - ვინ ვართ ჩვენ?, მივიღებთ მაშინ როდესაც გვეცოდინება თუ ვინ არა ვართ. ასევე მაშინ გავიგებთ ყველაზე ზუსტად, თუ ვისი ან რისი წინააღმდეგი შეიძლება და უნდა ვიყოთ.

პოლიტიკა და აქედან გამომდინარე პოლიტიკური აზროვნება, სახელმწიფოებრიობის პირველი ნიშნების გაჩენისთანავე წარმოიშვა და მას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც ცივილიზებულ კაცობრიობას. ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე: იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაცია და კონიუნქტურა, იცვლებოდა ინტერესები, შეხედულებები და კრიტერიუმები, რელიგიები, იდეოლოგიები, თვით სახელმწიფოები და რეგიონები, მაგრამ ერთი რამ იყო და არის მუდმივი: პოლიტიკურ აზროვნებას, მის მიმართულებასა და ორიენტირებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეროვნული მენტალიტეტი, რომელსაც, თავის მხრივ, ცივილიზაციური კუთვნილება განაპირობებს. ყოველი ადამიანის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ წმინდა ფილოსოფიურ ნაზრევში ჩანს მისი ერის მენტალიტეტი და შესაბამისად, ცივილიზაციური კუთვნილება. საილუსტრაციოდ შეგვიძლია შემოგთავაზოთ, სხვადასხვა დროის ზოგიერთი ცნობილი პოლიტიკოსისა და ფილოსოფოსის შეხედულებანი განსახილველი საკითხის გარშემო.

არისტოტელეს განმარტებით „ყოველი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადგენს, ნებისმიერი კავშირი კი რაიმე სიკეთის მიღწევას ისახავს მიზნად, რადგან ყველა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რაც სიკეთე ჰგონია.“ სახელმწიფო არის ოჯახებისა და გვარების კავშირი შექმნილი ბედნიერი, სრულყოფილი და თავისუფალი ცხოვრებისათვის. არისტოტელე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რომლის გარეშეც სახელმწიფო წყვეტს არსებობას და გაურკვეველ ტერიტორია-აბსტრაქტად გადაიქცევა. ეს მოსაზრება განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს დღეს, მრავალეროვანი იმპერიების კრახის ეპოქაში, როდესაც მთავარი აქცენტი გადატანილია სახელმწიფო-ნაციის ჩამოყალიბებაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ძნელი სათქმელია თუ რა მიმართულებით წავა ეს პროცესი გლობალიზაციისა და ინტეგრაციის დღევანდელი ტემპების პირობებში.

არისტოტელესეული კლასიფიკაციით სახელმწიფოები იყოფიან დადებით სახელმწიფოებად და მათ დამახინჯებულ ფორმებად. ტირანია, იგივე დიქტატურა, არისტოტელეს მონარქიის დამახინჯებად მიაჩნია, ანარქია - დემოკრატიის, ოლიგარქია კი - არისტოკრატიის. რამდენადაც ტირანია სახელმწიფოს ხელმძღვანელის პირად ინტერესებს ემსახურება, ოლიგარქია - მდიდართა ფენის, ანარქია კი ღარიბთა ინტერესებს გამოხატავს, **სამივე უარყოფით სახ**ელმწიფოთა ჯგუფს მიე**კუთვნება, ვინაიდან ზრუ**ნავენ საზოგადოების მხ**ოლოდ ნაწილზე და არა მთლ**იანად, საზოგადოებაზე.

სახელმწიფოს ყველაზე უარყოფითი ფორმა არის ტირანია (დიქტატურა). ტირანი ზრუნავს მხოლოდ თავის პირად კეთილდღეობაზე და არა ხალხზე. იგი აღატაკებს მოსახლეობას, მუდმივად აწარმოებს ომებს, რათა თავისი, როგორც სახელმწიფოს დამცველის საჭიროება დაასაბუთოს, არ ენდობა საკუთარ გარემოცვასაც კი. დიქტატურის ყველაზე დიდი დანაშაულია ე.წ. ოსტარკიზმი, ანუ გამოჩენილი და ღირსეული ადამიანების დევნა-განადგურება, მაშინ, როდესაც დიდ პატივში არიან მლიქვნელები და დემაგოგები, რომლებიც ტირანის ყოველგვარ ბოროტებას ხოტბას ასხამენ.

ტირანიას ბუნებრივად უპირისპირდება დემოკრატია - ხალხის მმართველობა. რამდენადაც არისტოტელე ადამიანს განსაზღვრავს როგორც პოლიტიკურ არსებას (Zoon politikon), მისი აზრით, ადამიანი ყოველთვის მიისწრაფის საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ, ანუ პოლიტიკისაკენ. პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო მას მიაჩნია საერთო სახალხო სფეროდ, რადგან ის ეხება თითოეული ადამიანის ინტერესებს. არისტოტელე მოითხოვდა სახელმწიფოს მართვაში ჩაბმულიყო მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა, ვინაიდან „ყველანი ერთად ან უკეთესნი არიან ერთ რომელიმე მცოდნეზე, ან სულაც არ არიან მასზე უარესნი“. უმრავლესობა გაცილებით უკეთ განსჯის ვიდრე ერთი ადამიანი. როგორც ვხედავთ, აშკარაა არისტოტელეს უაღრესად დადებითი განწყობა დემოკრატიული სახელმწიფო სისტემის მიმართ, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ არისტოტელე ყოველმხრივ დადებითად აფასებდა დემოკრატიას. აქვე შეიძლება უინსტონ ჩერჩილის ცნობილი სიტყვებიც გავიხსენოთ: „დემოკრატია ძალიან ცუდი წყობაა, მაგრამ სამწუხაროდ უკეთესი ჯერ არ შექმნილა.“

არისტოტელე მომხრე იყო კანონის წინაშე თანასწორობისა, მაგრამ ღირსეული ადამიანების ულირსებთან რეალური უფლებრივი გათანაბრება კი უსამართლობად მიაჩნდა. არისტოტელეს მიხედვით დემოკრატია აგებს არისტოკრატიასთან, რადგან დემოკრატია ემყარება მოსახლეობის უმოვარ ფენებს, ხოლო არისტიკრატია, ანუ რჩეულთა შორის რჩეულთა მმართველობა - ღირსეულ და ზნემაღალ ადამიანებს. არისტოკრატიას ახასიათებს განათლება, ზნეობა და კეთილშობილი წარმოშობა, დემოკრატიას კი, პირიქით - მდაბიო წარმოშობა, სიღატაკე და უკულტურობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიდი ფილოსოფოსის სიმპატიები არისტოკრატიული რესპუბლიკისაკენ უფრო იხრებოდა.

არისტოტელეს თავისი მოსაზრება აქვს სუბორდინაციისა და იერარქიული სტრუქტურის თაობაზე, რასაც საკმაოდ ორიგინალური ფორმით გამოხატავს. მისი აზრით საზოგადოება მონობისათვის და ბატონობისათვის მოწოდებულ ადამიანებად იყოფა. არიან ბუნებით მორჩილებად და მბრძანებლებად, ანუ მეთაურებად დაბადებული ადამიანები. როდესაც ერთი მეორეს ემორჩილება, ეს ორივესთვის სასარგებლოა, ვინაიდან დაცულია ბუნებრივი ჰარმონია, მაგრამ დიდი უსამართლო-

ბაა, როცა მონად დაბადებულებს ემორჩილებიან საბატონოდ დაბადებულნი.

სახელმწიფოს საქმიანობას არისტოტელე აზროვნებას უკავშირებს, აზროვნების ადგილ-სამყოფელად კი სულს მიიჩნევს. სულს არისტოტელე ორ ნაწილად ყოფს. რაციონალურ, ანუ გონიერ და ირაციონალურ, ანუ გრძნობიერ (რომელსაც იგი უგუნურსაც უწოდებს) ნაწილებად. ალბათ აქედან იღებს სათავეს racio-ს ცნობილი ფენომენი, რომელიც შემდგომში მთელი ევროპული მენტალიტეტის საფუძველი გახდა.

იმავე პერიოდში არანაკლებ პოპულარული იყო სულ სხვა, საპირისპირო პოლიტიკური თეორიები: სოკრატესა და პლატონის, შეიძლება ითქვას, წმინდა წყლის კომუნისტურ გამთანაბრებლური შეხედულებები, რომელებიც ცოლებისა და შვილების გაერთიანებასაც კი ქადაგებდნენ. ამაზეც კი საერთო საკუთრების დაწესებას ითხოვდნენ, წარმოების საშუალებებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ასე რომ, ჩვენს სამყაროში ახალი არაფერი ხდება და ცარიელ ადგილას არაფერი იქმნება. ყუელი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. ზემოთ თქმულიცა ამის დადასტურებას წარმოადგენს.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ცივილიზაციური ცვლილებები, რომლებიც დროთა მანძილზე ამა თუ იმ ერის ორგანულ განუყოფელ ნაწილად და სხვებისგან განმასხვავებელ ძირითად ნიშნად იქცევა, მეტად მარტივად გასაგები, პრაგმატული მიზნებითაა განპირობებული, ამაღლებული და რომანტიული საფარის მიუხედავად. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მარტინ ლუთერის მოღვაწეობა გერმანიაში, და საერთოდ რეფორმაცია XIV საუკუნის ევროპაში.

გავრცელებული აზრის მიხედვით, იმ დროისათვის გერმანია, როგორც რელიგიური და მრავალნაწილად კულტურული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით რომის მორჩილ ქვეყანას წარმოადგენდა, რადგან კაიზერი (იმპერატორი) მხოლოდ მაშინ ითვლებოდა ლეგიტიმურ ხელისუფლად, თუ იგი რომის პაპისგან იყო კურთხეული და ტახტზე დამტკიცებული. რელიგიური და სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა, ისევე როგორც ოფიციალური პოლიტიკური დოკუმენტები და დიპლომატიური შეთანხმებები, როგორც წესი, ლათინურად იწერებოდა. ეკლესიაში ღვთისმსახურება მხოლოდ ლათინურად ტარდებოდა. მრევლის უმრავლესობას, რომელსაც უმთავრესად საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენლები შეადგენდა, ამ „უცხო ენის“ არაფერი გაეგებოდა.

ასეთ პირობებში გერმანელ ხალხს არ ქონდა თავისი ეროვნული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის სრულფასოვანი განვითარების საშუალება. სწორედ ამიტომ გამოიწვია გერმანიაში უდიდესი აჟიოტაჟი 1517 წელს ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორის მარტინ ლუთერის მიერ ქალაქის ეკლესიის კარებზე გამოკრულმა ოთხმოცდათხუთმეტმა თეზისმა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმდინარეობას ქრისტიანულ რელიგიაში - პროტესტანტიზმს, რომელმაც გერმანიასა და სკანდინავიაში ლუთერანიზმის სახელი მიიღო. გერმანელი ხალხისათვის ეს არა მარტო რელიგიური რეფორმა, არამედ ეროვნული მოძრაობის ტოლფასი მოვლენა იყო, რომელსაც გერმანული არისტოკრატიის დიდმა ნაწილმაც დაუჭირა მხარი.

ლუთერი რიმელმაც თავისი მოძღვრება, ძირითადად პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეს საფუძველზე ააგო, და რომელმაც პირველად თარგმნა წმინდა წერილი ლათინურიდან გერმანულად, წინა პლანზე წამოსწია რწმენის ფაქტორი, ხოლო გონებრივი, აზრობრივი მომენტი მეორეხარისხოვნად მიიჩნია. იგი საერთოდ უარყოფდა ყოველგვარ სქოლასტიკას. მისი აზრით, სადაც გონება და სწავლა გაერეოდა, იქ რწმენა იკარგებოდა. ლუთერი აკრიტიკებდა კათოლიკური ეკლესიის წოდებრივ-იერარქიულ სტრუქტურას, პომპეზურ რიტუალებს და დოგმატურ-სქოლასტიკურ სისტემას, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ურთიერთობა ღმერთთან, მხოლოდ პაპისა და სამღვდელოების შუამავლობით იყო დასაშვები. ლუთერი გმობდა ინდულგენციებით ვაჭრობას, როგორც სამარცხვინო ფაქტს ყოველი ქრისტიანისათვის, რომელიც მდიდარს საშუალებას აძლევდა ფულით გამოესყიდა ცოდვები, უქონელი კი ამის საშუალებას მოკლებული იყო. ლუთერისათვის ყველაფრის საწყისს შინაგანი რწმენა წარმოადგენდა, რომლის თანახმად, თითოეულ ადამიანში არის ღვთის მადლი, ადამიანს შეუძლია პირდაპირი, უშუალო კავშირი ჰქონდეს ღმერთთან და ყველას შეუძლია თავის თავის მღვდელი იყოს, რადგან ჭეშმარიტად მორწმუნე ქრისტიანი ისევე ძლიერია, როგორც თავად იესო ქრისტე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მარტინ ლუთერი ნამდვილად პირველადი სარწმუნეობის ერთგული მიმდევარი და ხალხზე მზრუნველი ადამიანია, რომ არა ორი საჩოთირო მომენტი: ლუთერი სასტიკად დაუპირისპირდა სახალხო მოძრაობას ტომას მიუნცერის (ეს უკანასკნელი ლუთერს თავის სულიერ მამად და მასწავლებლად თვლიდა) მეთაურობით, რომელიც არა მარტო რომის დიქტატის, არამედ ადგილობრივი ფეოდალური ელიტის წინააღმდეგაც იყო მიმართული; იგი აშკარად მოუწოდებდა მეამბოხე გლეხობის დაუნდობელი გაჟლეტისაკენ და საერთოდ, ლუთერისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო ადამიანთა უფლებრივ თანასწორობაზე საუბარიც კი. და მეორე, ცნობილია ლუთერის სრული შეურიგებლობა ნებისმიერი განსხვავებული აზრის მიმართ, თანამორწმუნეებისგანაც კი; და ეს იმ დროს, როდესაც თვითონ კათოლიკურ დოგმატიზმს ებრძოდა. აღსანიშნავია ჰეგელის მოსაზრება იმაზე, რომ ცხოვრებისა და აზროვნების ლუთერისეული წესი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ბურჟუას ცხოვრებისა

და აზროვნების წესისაგან. ყოველივე ამის შემდეგ ძნელია ბოლომდე ირწმუნო ლუთერის მისწრაფება უზენაესი ჭეშმარიტებისაკენ და ეჭვი არ შეგეპაროს მის გულწრფელობაში.

რაც შეეხება ე.წ. ინგლისურ რეფორმაციას, იგი თავიდან ბოლომდე მეფე ჰენრი VIII-ს ფინანსური და მატრიმონიალური პრობლემებით იყო განპირობებული. თავად რეფორმა არსებითად ერთობ ზედაპირული გახლდათ, თუმც კი მონასტრებისა და კარდინალის ინსტიტუტის გაუქმებამ სამეფო ხაზინას დიდი შემოსავალი მოუტანა. ამიტომაცაა, რომ პროტესტანტულ ეკლესიებს შორის ანგლიკანური ანუ ეპისკოპალური ეკლესია კანონიკური და სტრუქტურული თვალსაზრისით ყველაზე ახლოსაა კათოლიკურთან.

სწორედ ამ საკითხში იჩენს თავს წმინდა ცივილიზაციური ფაქტორების როლი. პროტესტანტიზმი წარმატებით განვითარდა და საყოველთაო გავრცელება ჰპოვა ეთნოგენეტიკურად გერმანული ჯგუფის ქვეყნებში (ავსტრიის გარდა). რომანულ-ლათინური მოდგმის ერებში კი რეფორმაციას არავითარი წარმატება არ ჰქონია, რადგან ამ ხალხებისათვის ყოველივე რომაული მენტალიტეტის განუყოფელ ნაწილს და ეროვნული კულტურის საფუძველს წარმოადგენს. ასე რომ, ვფიქრობთ მცირეოდენ გადახედვას საჭიროებს ჰანტინგტონის პოპულარული მოსაზრება დასავლური სამყაროს სრული ცივილიზაციური იდენტურობის თაობაზე, რომელიც მსოფლიოს ხუთ ცივილიზაციად ჰყოფს: *ევროპა-ამერიკა - იგი დასავლეთ ევროპას და ამერიკის მთელ კონტინენტს მოიცავს და მისი საზღვარი გადის ბალკანეთის კათოლიკურ-მუსლიმანურ და მართლმადიდებლურ ნაწილებს შორის; ევრაზია-პოსტსაბჭოური სივრცე საბერძნეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან და სერბია-ჩერნოგორიასთან ერთად და ყოფილი საბჭოთა კავშირი, ცენტრალური აზიის გარეშე; ისლამსტანი - სამყარო მაროკოდან ინდონეზიამდე; ინდური ცივილიზაცია; ე.წ. კონფუციანა-ჩინეთი, ინდოჩინეთი, კორეა და იაპონია.*

აქ შეიძლება წმინდა ცივილიზაციურ საკითხებზეც ვიდავოთ: ჩინეთის, კორეისა და ვიეტნამისათვის ორგანული კონფუციენელობა, არ გვგონია, რომ იაპონიაზეც ვრცელდებოდეს.

კიდევ ერთი კითხვა შეიძლება დაიბადოს: რატომ მოიაზრება სომხეთი მართლმადიდებლურ ცივილიზაციაში? ხოლო, რაც შეეხება საბერძნეთს, იგი დიდი ხანია ნატო-ს და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა, რაშიც მას „აღმოსალური ორთოდოქსობა“ აბსოლუტურად არ უშლის ხელს. და ბოლოს, რა „დაეშავა“ აფრიკას? რატომ არ არის იგი ჰანტინგტონისეულ არც ერთ ცივილიზაციაში?

ვფიქრობთ, ალბათ ეს მსოფლიო პოლიტიკური ელიტისათვის, ასე ვთქვათ, „სამუშაოს სქემაა“, რომელიც დროებით ხასიათს ატარებს და საფუძვლად შეიძლება გამოდგეს მომავალი ე.წ. მსოფლიო წესრიგისათვის. მანამდე კი, ალბათ, მრავალჯერ დაექვემდებარება გადასინჯვას.

ზემოთქმულის თვალსაჩინო დადასტურებაა თუნდაც ოსვალდ შპენგლერი - XX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი გერმანელი პოლიტოლოგი და ფილოსოფოსი, რომლის აზრებსა და შეხედულებებს საერთო უფრო მეტი კლასიკურ აღმოსავლურ აბსოლუტიზმთან და დესპოტიასთან უფრო აქვს, თითქოს, ვიდრე დასავლურ პოლიტიკურ აზროვნებასთან. შპენგლერი უგულებელყოფს სახემწიფოს მართვის დემოკრატიულ სისტემას, როგორც რეალობას; იგი მას ერთგვარ შირმად, აბრად მიიჩნევს, სახელმწიფო შპენგლერისათვის ძლიერი, ავტორიტარული რეჟიმის განსახიერებას წარმოადგენს. ქვეყნის მმართველი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური მრწამსისა და იდეოლოგიისაგან, მისი მიზანი მხოლოდ სახელმწიფოს სიძლიერე უნდა იყოს და ამ მიზნის მისაღწევად ნებისმიერი გზა დასაშვებია. საგარეო პოლიტიკის წარმოების ძირითად საშუალებად კი შპენგლერს ომი მიაჩნია. მისი თეორიის თანახმად დროებითი მშვიდობიანობის პერიოდშიც კი მიმდინარეობს ფარული ომი, ანუ მზადება დიდი, „ნამდვილი“ ომისათვის. შპენგლერის ცნობილი ფორმულა: ისტორია არის პოლიტიკა, პოლიტიკა კი - ომი. რაოდენ მისაღებია ეს ფორმულა ადამიანებისათვის, რომელთა აზროვნებაც აგებულია სახელგანთქმული ბრიტანული პარლამენტარიზმის, ფრანგული ლიბერალიზმისა და ამერიკული დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე?! სახელმწიფო პოლიტიკაში შპენგლერის იდეალია ე.წ. ცეზარიზმი, რაც შესაძლოა სავსებით მიესადაგებოდა რომის იმპერიის მონარქიული პერიოდის პოლიტიკურ აზროვნებას, მაგრამ სრულიად შეუთავსებელია თანამედროვე დასავლური მენტალიტეტისათვის.

თეოდორ დოსტოევსკი, გამოუცნობი რუსული სულის მესაიდუმლე, თვლიდა, რომ ქვეყნად ყველაზე დიადი იდეაც კი არ ღირს ბავშვის ერთ ცრემლად და ამავე დროს გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ დადგა დრო რუსეთის ძლევამოსილი არმიის მიერ წმინდა ქალაქ კონსტანტინოპოლის განთავისუფლებისათვის, რითაც აშკარად ეწინააღმდეგება საკუთარ თავს. მას ალბათ ვერ წარმოედგინა, რომ რუსეთის არმიაც კი ვერ შესძლებდა უსისხლოდ და უცრემლოდ გაენთავისუფლებინა წმინდა ქალაქი. თუ ოსვალდ შპენგლერი პოლიტოლოგია, რომელსაც უმთავრესად ლოგიკური აზროვნება და ცივი გონება მართავს, დოსტოევსკი არის მწერალი-ჰუმანისტი, უფრო, ასე ვთქვათ, სულიერად მოაზროვნე ადამიანი და ამდენად, საკვირველია მისგან ასეთი ოდიოზური და ურთიერთგამორიცხავი მოსაზრებანი. ვფიქრობთ, ბევრი რამ არის საერთო გერმანულ და რუსულ მენტალიტეტში, კერძოდ, პოლიტიკურ აზროვნებაში, რომელსაც ხშირად ფილოსოფიური ფასადი ფარავს. რუსული და გერმანული აზროვნებისთვის დამახასიათებელია შინაგანი,

Friedrich-Ebert-Stiftung 69 Bonn Bibliothek

ეზოთერული ფიქრთმეტყველება, საკუთარი ისტორიისა და კულტურის გაფეტიშება, სისხლხორცეული, გენეტიკური მილიტარიზმი და რაც მთავარია, მარადიული ნოსტალგია და ძიება რაღაც დაკარგულის მიმართ, რომლის რაობას ნათლად ვერც აცნობიერებენ, რომელიც ხან გუშინდელი დღიდან მოსძახის, ხანაც საუკუნეთა სიღრმიდან უხმობს, დაუკმაყოფილებლობის მუდმივი და უმტკივნეულესი განცდა, დამცირებულისა და შეურაცყოფილის საბედისწერო კომპლექსი. და მუდამ, როგორც წესი, ყველაფერში სხვა არის დამნაშავე, რაღაც გარეშე ძალები, კონკრეტული თუ აბსტრაქტული, მინიერი თუ ზეციური, მაგრამ სხვა, აუცილებლად სხვა! საკუთარ თავში მიზეზის ძიება იმთავითვე გამორიცხულია. დღეისათვის ამგვარი შედარება შეიძლება ნაკლებ-ეფექტურად ჩანდეს, ვინაიდან თანამედროვე გერმანულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ და კულტურამ წარმატებით გადალახა ის ბარიერები, რაც აქამდე ვერ გადაულახავს რუსეთს, მაგრამ ჩვენ ეთნოგენეტიკასა და მენტალიტეტზე ვსაუბრობთ, რომელიც არასდროს ქრება ბოლომდე, იგი სადღაც ძალიან ღრმად იმალება და საჭიროების, ანუ ხელსაყრელი მომენტის დროს აუცილებლად იფეთქებს. ჩვენი აზრით, ევროპის სხვა არცერთ ქვეყანაში არ დაიბადება და არც დაბადებულა ნიცშე, შტაინერი და ბერდიაევი. შეიძლება ითქვას, რომ პროტესტანტულ გერმანიას, მრავალ ასპექტში, მართლმადიდებლურ რუსეთთან მეტი აქვს საერთო, ვიდრე ზოგიერთ თანამორწმუნე ქვეყანასთან. მართალია რუსეთსა და გერმანიას ხშირად ჰქონიათ ერთმანეთთან საომარი დაპირისპირება, მაგრამ ეს უფრო გეოპოლიტიკურ ინტერესთა შეჯახებით იყო განპირობებული, ვიდრე ცივილიზაციური შეუთავსებლობით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ცივილიზაციურად იდენტური ქვეყნები - რუსეთი და ბულგარეთი, ორივე მსოფლიო ომში ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. სამუელ ჰანტინგტონი კი რუსებსა და გერმანელებს შორის მკვეთრ ცივილიზაციურ მიჯნას აწესებს და მათ ერთად ყოფნას შეუძლებლად თვლის. და კიდევ: როდესაც დასავლეთზე (ევროამერიკა), როგორც თავისუფლებისა და პროგრესის ანალოგიურ მცნებაზე, როგორც დემოკრატიული, ლიბერალური და ჰუმანისტური ფასეულობებით აღსავსე სამყაროზე ვსაუბრობთ, რომლისთვისაც მიუღებელია სხვა ცივილიზაციებთან ახლო კონტაქტი, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ორი ყველაზე ტოტალიტარული, ექსტრემისტული და ანტიჰუმანური იდეოლოგია: კომუნიზმი და ფაშიზმი, სწორედ განათლებულ ევროპაში იშვა და არა სადღაც, აღმოსავლეთში.

რა შეიძლება ითქვას ჩვენს მიერ განსახილველ ასპექტში საქართველოსთან მიმართებით? საქართველომ ერთხელ უკვე გააკეთა ცივილიზაციური არჩევანი 200 წლის წინ, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფოებრიობის დაკარგვად დაუჯდა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა ეროვნული ცნობიერების დაკნინება-დაჩლუნგების და სულიერ-კულტურული ასიმილაციის საქმეში არც ერთ მუსლიმ თუ წარმართ დამპყრობელს არ მიუღწევია ისეთი წარმატებისათვის, როგორსაც მიაღწია ერთმორწმუნე რუსეთმა. მეორე ანქესია ქართველების სურვილზე აღარ იყო დამოკიდებული; 1921 წელს საქართველოსთვის, სამწუხაროდ, არაფერი უკითხავთ. თუმცა, ცივილიზაციური ფაქტორი მცირე დოზით აქაც ფიგურირებდა: საქმე ის გახლავთ, რომ პირველი რესპუბლიკის მმართველ სოციალ-დემოკრატებს, იგივე მარქსისტებს, იდეოლოგიური თვალსაზრისით რუს ბოლშევიკებთან მეტი ჰქონდათ საერთო, ვიდრე ქართველ ნაციონალ-პატრიოტებთან. საბჭოთა კავშირი კი, ჩვენი პირადი შეხედულებით, თავისი სოციალისტური ბლოკით, არა მარტო ზესახელმწიფოსა და ტოტალიტარულ იმპერიას, არამედ მთელ ცივილიზაციას წარმოადგენდა, ავი იყო თუ კარგი, მაინც ცივილიზაცია გახლდათ, რადგან მასში დამკვიდრებული ფასეულობებისა და მენტალიტეტის ანალოგი მსოფლიოში არ მოიძებნებოდა. ასე რომ, 1991 წლის დეკემბერში დაინგრა არა მარტო ბორიტების იმპერია, არამედ მთელი ცივილიზაცია, რომელიც მეტეორივით შემოიჭრა კაცობრიობის ისტორიაში, მძლავრად შეარყია და ააფორიაქა მსოფლიო, მაგრამ ერთ საუკუნესაც ვერ გაუძლო, სამოცდაათ წელიწადში გაქრა ისევე უეცრად, როგორც გამოჩნდა; თუმცა იმ ავბედითი ცივილიზაციის გადოინაშთები და რეციდივები ახლაც საკმაოდ ხშირად გვახსენებენ თავს.

ამჟამად, დამოუკიდებელი საქართველო კიდევ ერთხელ დგება ისტორიული არჩევანის წინაშე: ვინ დაიგულოს უპირველეს მოკავშირედ და თუ გნებავთ, მფარველად, ვისზე აიღოს ორიენტაცია, რომ იტყვიან, ვის მიეკედლოს? ეს მტანჯველი კითხვა ყველა მცირერიცხოვანი ერის ხვედრია, მით უფრო დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ჩვენზე გაცილებით დიდ სახელმწიფოებსაც აღარ ძალუძთ ყველაფრის დამოუკიდებლად გადაწყვეტა და განხორციელება. განსაკუთრებით აქტუალურია ორიენტაციის საკითხი საქართველოსათვის, მისი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. აქ სხვადასხვა ფაქტორებისა და ასპექტების დიდი ერთობლიობა იყრის თავს. მათ შორის ერთერთი უმნიშვნელოვანესია ცივილიზაციური ფაქტორი, ამ კუთხით კი მწარე გაკვეთილები ისტორიას ჩვენთვის არ დანანებია. საქართველომ დიდი ხანია ამოწურა შეცდომების ლიმიტი, მეტი შეცდომის დაშვების უფლება მას აღარ აქვს. ლოდინი, თუ როდის ჩამოყალიბდება ჩვენი ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობელი სამართლებრივ, სამოქალაქო, დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელსაც ენდობი, შეიძლება ძალიან

ძვირი დაგვიჯდეს. რუსეთი კიდევ დიდხანს ვერ განთავისუფლდება იმპერიული და სუპერდერჟავული წარსულის მაზოხიზმისაგან. იგი დღესაც ისე გვიყურებს, როგორც თავის დროებით დაკარგულ პროვინციას, თუ გუბერნიას და არა როგორც სახელმწიფოს, მაგრამ ყველაზე უდიერი ის არის, რომ ვერც ჩვენ განვთავისუფლებურვართ ბოლომდე კოლონიური კომპლექსისაგან და ხშირად გვიჭირს დამოუკიდებლად მოქმედება, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე. არადა, თუ უპირველეს ყოვლისა ჩვენ არ ვირწმუნეთ, რომ სახელმწიფო ვართ, სხვა მით უფრო არ ირწმუნებს და ვერავის მოვთხოვთ პატივი გვცეს თუ თვითონ არ ვეცით ჩვენს თავს პატივი. ამ ფონზე, უდავოდ მისასალმებელია პარტნიორული ურთიერთობების შესამჩნევი გააქტიურება ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მთლიანად დასავლეთთან ანტიტერორისტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობისაკენ. ცივილიზაციურად აშშ არ არის ჩვენი მონათესავე ქვეყანა, მაგრამ მას აქვს ჩვენი ქვექნის მიმართ გარკვეული სერიოზული ინტერესები, რომლებიც სავსებით ემთხვევა საქართველოს არცთუ მოკლევადიან ეროვნულ ინტერესებს. იგი ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი გახლავთ.

რაც შეეხება რუსეთს, მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საწინაალმდეგო, წესით, არავის უნდა ჰქონდეს რაიმე. პირიქით, სასურველიც არის თუ საუკუნოვან ტრადიციებს შორის საუკეთესოს შევინარჩუნებთ, მაგრამ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ალბათ მისგან მაქსიმალურად შორს ყოფნა აჯობებს.

ნუგზარ დურმიშიძე
ირაკლი ტორონჯაძე

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არისტოტელე. პოლიტიკა; 1995წ., თბილისი;
2. რელიგიური ფილოსოფიის საკითხები, მეცნიერებათა აკადემია, ფილოსოფიის ინსტიტუტი;
3. ოსვალდ შპენგლერი. პოლიტიკის ფილოსოფია, 1995წ.;
4. Samuel Huntington, The Crash of Civilizations, 1993;
5. Henry Kisinger, Diplomacy, 1993.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. ცენტრი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვით, მათი ინტერესების ლობირებისა და სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის გზით ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობას. ცენტრი ცდილობს მხარი დაუჭიროს საზოგადოების იმ ჯგუფებს და ცალკეულ პირებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ რეფორმებს და ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური ინსტიტუტის ჩამოყალიბებას.

საზ. ყველა სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით და გამჭვირვალობის, თანასწორობისა და შემოქმედებითი მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით ორგანიზაცია ცდილობს ინფორმირებული, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების დამკვიდრებას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარანტია.

ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- *სამოქალაქო განვითარება*
- *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

თითოეული ამ პრიორიტეტული მიმართულებით სამოქალაქოებულია და მოქმედებს სამუშაო ჯგუფები.

ცენტრის მუშაობის მეთოდებია:

➢ პრობლემის განსაზღვრა, გამოკვლევა და შესაბამისი ინფორმაციის და რეკომენდაციების მიწოდება მომხმარებლებისათვის;

➢ ეფექტური სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის პროგრამებისა და მიდგომების შემუშავება-განხორციელება;

➢ მოქალაქეთა და სამოქალაქო ჯგუფების სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა, მათი გადაწყვეტილების მღების პროცესში აქტიური ჩართვა, რათა მოხდეს მათი უფლებების უფრო ეფექტური დაცვა და საზოგადოებასა და მთავრობას შორის ურთიერთანგარიშვალდებულების ზრდა;

➢ ლობირების მექნიზმის შემუშავება და მათი ეფექტური ამოქმედება;

➢ მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა ქსელთან მუშაობა;

➢ სამუშაო შეხვედრების, სემინარების, საჯარო განხილვების მოწყობა;

➢ ცენტრის რეგულარულ გამოცემებში/ბიულეტენებში* გამოკვლევების რეგულარული გამოქვეყნება;

➢ საზოგადოებაში დემოკრატიული და სამოქალაქო მიდგომების ხელშეწყობა მასმედიის საშუალებით.

** - საქართველოს ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების ირგვლივ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ცენტრი თავისი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით რეგულარულად გამოსცემს ბიულეტენს და ლიფლეტებს, რომლებიც მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებების, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურების, მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს – გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.*

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები:

- კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონცეფცია;
- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროექტი;
- თვითმმართველობა საზოგადოებრივ სამსახურში;
- სამუშაო ჯგუფი „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება“;
- შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის კოორდინირება.

- ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების შემდგომი სამწლიანი პროექტის დაგეგმვისათვის შუალედური პერიოდი;
- შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ფუნქციონირება და პოპულარიზაცია;
- ცენტრის ინსტიტუციური განვითარება.
- სამუშაო ჯგუფი „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება“;
- სამუშაო ჯგუფი „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა“;
- მოქალაქეთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვა;
- საქართველოში სათემო მოძრაობის გაძლიერება.

ცენტრის დონორი ორგანიზაციები

➢ **NOVIB** - ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის;
➢ **FES** - ფრიდრიხ ებერტის ფონდი;
➢ მსოფლიო ბანკის მცირე გრანტების პროგრამა;
➢ ბრიტანეთის საელჩოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი;

ცენტრის მხარდამჭერები

❖ ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი" მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა ხემინარსა და საჯარო დონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

❖ ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა ხემინარსა და საჯარო დონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა", კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი დიფლეტში. დონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი".

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, დონისძიების მოსაწვევებში მოხსენებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

❖ ცალეული დონისძიების სპონსორი კომპანია დონისძიების მოსაწვევებში მოხსენებული იქნება, როგორც დონისძიების „სპონსორი" და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება დონისძიებებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები

❖კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი **(Zenith Gamma Consulting)**
❖პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე
❖პროფესორი თეიმურაზ გოჩიტაშვილი

მხარდამჭერობით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის გარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე

ცენტრის საძმიანოებით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.

ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33ᵃ, ბინა 22.
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net

ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის გარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, ————————————————————

სამუშაო ადგილი ————————————————————

თანამდებობა ————————————————————

მისამართი ————————————————————

ტელეფონი ——————————————ფაქსი ——————

კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება ——————————————————————————

მისამართი ——————————————————————————————

ტელეფონი ——————————————————— ფაქსი ——————————

საკონტაქტო პირი ——————————————————————————
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დაიბეჭდა შ.პ.ს. „კომპიუტერში“
ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3